გამოცემა „ქარ. ~~ზეპირს~~ წ.-კითხვის გამავრც. საზოგად.“ № 66.

ნარკვევი ინგლისის ისტორიიდან

ჩარლზ პარნელი

(ბიოგრაფია)

რუსულიდან.

ვ. ლ—ძე.

ელ. ნინოშვილის სახელობის ... ბიბლიოთეკა
ბიბლიოთეკა
ბიბლიოთეკა

Дозволено цензурою. Тифлисъ, 29 го декабря 1903 г.

ჩარლზ პარნელი

(ბიოგრაფია)

I

პარნელის მამა ინგლისელი პროტესტანტი იყო. მისი წინაპრები ძველად გადასახლდნენ ირლანდიაში—ავონდელის ოლქში, და იმ თავითვე შეეთვისნენ ირლანდიელებს, შეაყვარეს მათ თავი, თუმცა ტომითაც და სარწმუნოებითაც განსხვავდებოდნენ მკვიდრთაგან.

პარნელის მამა, სერ ჯონი, ამერიკაში მოგზაურობის დროს შეხვდა მისს სტიუარტს, ამერიკელ ვიცე-ადმირალის ქალს, შეირთო იგი ცოლად და 1846 წ. 2 ივნისს ავონდელში დაიბადა ჩარლზ პარნელი. ექვს წლამდე ბავშვი მშობლების ხელში იყო; ექვსი წლისა კი ინგლისში წაიყვანეს და ვიდაც ბარტონის სკოლაში მისცეს. აქ მან მიიღო საშუალო განათლება და შემდეგ შეიდ[illegible] უნივერსიტეტში.

როგორი იყო ამ დროს პარნელის მიმართულება[illegible] ძნელია სთქვას კაცმა, რადგან ერთობ გულ-ჩახვეული ადამიანი იყო და არავის უნაწილებდა თავის აზრებს[illegible] შემდეგში თვითონ პარნელს უთქვამს, რომ იგი ბავშვი[illegible]

ბიდანვე შეიქნა მტერი თავის ერისა და მოყვარე მისთვის უცხო ირლანდიელებისა, და ამ გარეშოების მიზეზი შემდეგი შემთხვევა ყოფილა.

ავონდელში სცხოვრობდა მოხუცი მეკარე, რომელსაც პარნელი ძალიან დაუმეგობრდა და რომელიც ხშირად ართობდა მას სხვა-და-სხვა ამბებით. მოხუცს კარგად ახსოვდა 1798 წელი, როცა სარწმუნოებრივ დევნითა და შიმშილით მოთმინებიდან გამოსული ირლანდიელნი აუჯანყდნენ ინგლისს. ახსოვდა აგრეთვე საშინელი დაცხრომა ამ აჯანყებისა. ერთი ეპიზოდი ამ დაცხრომისა ეამბნა მოხუც მეკარეს პარნელისათვის: როდელიღაც ინსურგენტი (აჯანყებული) ტყვედ დაიჭირეს და გადაუწყვიტეს როზგის ქვეშ სიკვდილი. ინგლისელმა პოლკოვნიკმა, რომელსაც სისრულეში უნდა მოეყვანა ეს გარდაწყვეტილება, ბრძანა მისი ურემზედ მიკვრა და ჩუცელზე როზგის ცემა. ტყუილა ემუდარებოდა საბრალო ტყვე მტარვალებს, რომ იგი ერთბაშად მოეკლათ: საშინელ წამების შემდეგ როზგს ქვეშ ამოხდა უბედურს სული.

ამ მოთხრობამ ჩაუნერგა პარნელს გულში ინგლიისა ბატონობის სიმძულვარე.

კემბრიჯის უნივერსიტეტში იგი 18 წლისა შევიდა დაჰყო იქ ოთხი წელი. აქაც არავის უზიარებდა თავის აზრებს და ამიტომაც არ ვიცით, როგორი იყო მ აზრების მიმართულება.

1869 წელს პარნელი უნივერსიტეტს თავს ანებებს, ისე კი, რომ არც ერთი სამეცნიერო ხარისხი არ მიუღია, და ამხანაგებიც ისე უყურებდნენ მას, როგორც

ქარაფშუტა ახალგაზდას, რომელსაც კროკეტი და ყოველგვარი სპორტი უფრო აინტერესებდა, ვიდრე ძეცნიერება.

1867 წელს მოხდა ერთი ამბავი, რომელმაც მეტად დიდი გავლენა იქონია მის ცხოვრებაზე და, მახლობლების აზრით, საბოლოო მიმართულება მისცა მის პოლიტიკურ შეხედულებას. სამოციან წლებში ფენიების *) მოძრაობა განცხოველდა; გახშირდა პოლიტიკური მკვლელობა. მთავრობა ფენიებთან ბრძოლის დროს ლოიალურად (კანონიერად) იქცეოდა: მას არ მიუმართავს განსაკუთრებულ კანონებისათვის; ფენიების გამსამართლებელნი ჩვეულებრივი ნაფიცი მსაჯულები იყვნენ. მანჩესტერის სატუსაღოში რამდენიმე ფენია იჯდა. 1867 წელს პატიმართა ამხანაგებმა სცადეს მათი განთავისუფლება და ამ ცდის დროს მოჰკლეს ერთი დარაჯი. დამნაშავენი დაიჭირეს, გაასამართლეს და სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს. ისინი ჩამოახრჩეს მანჩესტერში. პარნელი მეტად შეაძრწუნა ამ საქმემ და, მისი დის სიტყვით, ღრმა ცვლილება მოახდინა მასში: დაჰკარგა ჩვეულებრივი აღუშფოთველობა, სიბრაზით ლაპარაკობდა ინგლისელებზე და დიდხანს ვერ მოახერხა დამშვიდება; მაგრამ რამდენისამე ხნის შემდეგ პარნელი ისევ ჩვეულებრივ ცხოვრებას შეუდგა.

1869-დან 1874-მდე პარნელი თავის საგვარეულო მამულში სცხოვრობდა ავონდელის ახლო და ეს ცხოვ-

*) პოლიტიკური პარტია ირლანდიაში, რომელიც ტერორით, პოლიტიკურის მკვლელობით სცდილობდა დაებრუნებინა ირლანდიისათვის თავისუფლება.

ება ნამდვილ სოფლელ მებატონის ცხოვრება იყო— ფარმაცი, უქში და მოსაწყენი. ამ დროს ის, გარეგნად საინც, ტიპიური ინგლისელი არისტოკრატი იყო. სპორტის მეტს ის არას მისდევდა. ცურვა, თევზაობა, ნადირობა, ცხენით სეირნობა—აი მისი ამ დროინდელ ცხოვრების პროგრამა.

სამოც-და-ათიან წლებიდან პარნელი იწყებს ირლანდიელთა საქმეების ჩაკვირვებას და ეცნობა მაშინდელ ბოძრაობის წარმომადგენლებს.

პირველ ყოვლისა მას ესმის ისააკ ბიუტის სახელი, რომ ისააკ ბიუტის სახელი, რომელმაც 1870 წელს დააარსა „ჰომრულის (ირლანდიის თვით-მართველობის) საზოგადოება“ და რომელსაც დიდის იმედებით შესცქეროდნენ. ისააკ ბიუტი სინიდისიერი პოლიტიკური მოღვაწე იყო და, რაც შეეხება მის მიზართულებას, იმედი ჰქონდა, რომ ინგლისის პარლამენტი თავის დროზე მისცემდა ირლანდიას თვით-მართველობას და შეასრულებდა ირლანდიელ პატრიოტების სურვილებს, თუ ინგლისს არ გააგულისებდნენ და არ დააფრთხობდნენ.

ამ დროს ინგლისის პარლამენტში იჯდა სამოცამდე ირლანდიელი ჰომრულერი. ამათგან ნახევარზე მეტი ინგლისელი ვიგები (ლიბერალები) იყვნენ. ეს ვიგები წინააღმდეგი იყვნენ, რომ ირლანდიაში საგანგებო სასტიკი კანონები შემოეღოთ. საფიქრებელი იყო აგრეთვე, რომ, თუ ვინიცობაა ირლანდიის თვით-მართველობის პროექტი იქნებოდა წარდგენილი პალატაში, ისინი ამ პროექტს მხარს მისცემდნენ. ნამდვილ ირლანდიელ დეპუტატების რიცხვი, ესე იგი, იმისთანა დეპუტა-

ტებისა, რომელთაც თავიანთ დეპუტატობის მიზნად ირ-
ლანდიისათვის ჰომრულის (თვით-მართველობის) შემოღება
მიაჩნდათ, არ აღემატებოდა ოც და ათს. ასეთ პირობებში
ისაკ ბიუტი ბევრს ვერას ახერხებდა: ახსენებდა პალატას
ირლანდიის საქმეებს, ეხვეწებოდა და ემუდარებოდა მას
სხვა-და-სხვა საჭიროების დაკმაყოფილებას და ამისათვის
ურიგდებოდა პარლამენტის სხვა-და-სხვა ჯგუფებს; საზო-
გადოდ იქცეოდა ისე, თითქო დარწმუნებული იყო, რომ
თუ ინგლისი არ აძლევდა თვით-მართველობას ირლანდიას,
ამის მიზეზი რაღაც ბედითი გაუგებრობა იყო და არა სხვა რა-
მე: საჭიროა ამ გაუგებრობის მოსპობა და ყველაფერი კარ-
გად წავალ. ბიუტი გულ-კეთილი და რბილი კაცი იყო:
ვერც პარლამენტში და ვერც ირლანდიაში ვერ ახერხებდა
ნამდვილ ბრძოლას. გარდა ამისა იგი მეტად ღარიბი კაცი
იყო: მუდამ დღე სიღატაკეს ებრძოდა; ერთხელ სატუსალო-
შიაც იჯდა ვალებისათვის და სწორედ საარჩევანო აგი-
ტაციის დროს, როცა მისი ირლანდიაში ყოფნა განსა
კუთრებით საჭირო იყო.

თუ ირლანდიელ წარმომადგენელთა ჯგუფი მცირე
სუსტი და უფერული იყო, სამაგიეროდ მისი მიზანი
იდეალი ცხადად გამორკვეული იყო, რასაც მეტად დი
დი მნიშვნელობა აქვს როგორც საპარლამენტო ცხოვ
რებაში, ისე პარლამენტის გარედაც.

1798 წ. ირლანდიაში აჯანყება მოხდა ინგლისი
წინააღმდეგ; აჯანყებულები დამარცხდნენ და ინგლისი
მთავრობამ გამოსცა ბილი (კანონი)—ეგრედ წოდებულ
„საბოლოო უნია“; ამ ბილის ძალით ირლანდია გახდ
ბრიტანიის სამეფოს განუყოფელი ნაწილი და როგორ

ეგეთს, ეძლეოდა უფლება ეგზავნა ინგლისის პარლამენტში 32 პერი ლორდების პალატაში და ასი დეპუტატი ათემო პალატაში. ამ ას წარმომადგენელიდან ნახევარზე მეტი ირლანდიაში მცხოვრები ინგლისელები ირჩეოდენ ხოლმე, და ამ გვარად ირლანდია მოკლებული იყო ამდვილ წარმომადგენლობას. ამიტომაც მე-19-ე საუკუნის დაწყებიდანვე, ირლანდიელ პარტიის მიზანი იყო ეროვნიის მოსპობა და ირლანდიისათვის საკუთარ პარლამენტის დაარსება. ეს პარლამენტი უნდა ყოფილიყო ირლანდიის ყველა საქმეების გამგე; მხოლოდ გარეშე პოლიტიკის ზოგიერთ კითხვებში ინგლისის პარლამენტსაც უნდა ჰქონოდა ხმა.

ეი ეს მიზანი აქვს ირლანდიელთა მოძრაობას მე-XIX-ე საუკუნეში. ხანდახან ეს მოძრაობა იფეთქებდა ისე მოულოდნელად და ძლიერად, რომ მთელის ქვეყნის ურადღებას მიიპყრობდა. ასე იყო, მაგალითად, ოკონელის დროს 30-იან და 40-იან წლებში, და ყოველთვის, როცა ირლანდიას პერიოდიულად შიმშილობა ეწვევოდა.

სოციალური და პოლიტიკური კითხვები აქ მჭიდროდ არიან გადაბმული ერთი-ერთმანერთზე. თვით-მარველობას, ჰომრულს უყურებდნენ როგორც ეკონომიურ უბედურების უებარ წამალს; ანტაგონისმი, რომელიც მუდამ არსებობდა კელტებსა და ანგლო-საქსებ შორის (რასებრივი ანტაგონისმი), ამწვავებდა და აშმაგებდა ერ მებრძოლ პარტიას; და სწორედ ეს არის მიზეზი, რომ ჰომრულისათვის ბრძოლა ხშირად ასე დიდი და ადი იყო.

თუ დიდი ბრიტანიის ისტორიის ფურცლებზე ეს

ხანა სისხლით არის აღბეჭდილი, ამის მიზეზი უნდა ვეძ-
ძიოთ იმ გარემოებაში, რომ აქ, ამ ბრძოლაში, სამ-
ელემენტია ერთი მეორეზე გადაბმული: ეროვნული ან-
ტაგონისმი, კლასური ელემენტი და განსაზღვრული დ-
გამორკვეული უახლოესი იდეალი. ფენიები, რომელნი-
ძალას ხმარობდნენ ინგლისელ ლენდ-ლორდების (მება-
ტონეების) და მოხელეების წინააღმდეგ, წარმოადგენდ-
ნენ პარლამენტის გარე მოძრაობას; პარლამენტში რო-
გორ იყო წარმოდგენილი ეს მოძრაობა, ჩვენ კიდეკ-
ვნახეთ. ისააკ ბიუტს ეჯავრებოდა ფენიები. მისი შეხ-
დულებით, ფენიები მხოლოდ აბრაზებდნენ ინგლისელებ-
და ხელს უშლიდნენ კითხვის საკანონმდებლო გზით გა-
დაწყვეტას.

II

1874 წელს უნდა მომხდარიყო საპარლამენტ-
არჩევნები. ბიუტი სააგიტაციოდ დუბლინში იმყოფებო-
და. ერთ მშვენიერ დღეს მასთან მოვიდა ახალგაზდ-
ჩარლზ პარნელი და გამოუცხადა, რომ სურს კენჭი იყა-
როს, როგორც ირლანდიის პარტიის წევრს, და აზრად-
აქვს დაიდგას ყუთი უიკლოუს ოლქში. ბიუტი სახტად-
დარჩა, რადგან პირველად ხედავდა ამ ახალგაზდა კაცს.

მართლაც, საკვირველი იყო პარნელის ქცევა: აქამ-
დე, ესე იგი 28 წლამდე, მას არავისთან არ ულაპარაკ-
ნია თავის პოლიტიკურ მიმართულებაზე და სპორტი-
მეტს არას მისდევდა. გარდა ამისა, პარნელი გარეგნო-
ბით ნამდვილი ინგლისელი მებატონე იყო და ლაპარაკ-

ს კილოც (accent) ბუნებით ბრიტანელისა ჰქონდა, რა-
ც ირლანდიელი ამომრჩეველი ყოველთვის ეჭვის თვა-
ით უყურებს ხოლმე. მაგრამ ამასთანავე ცნობილი იყო,
ომ პარნელის პაპა და მამა ირლანდიელების მომხრენი
ვნენ და ხალხიც დიდ პატივს სცემდა ამ ოჯახს. პარ-
ელის შეძლებაც სათვალავში მისაღები იყო: პარტიას არ
ეირდებოდა მისთვის ჯამაგირის ძღევა და, მაშასადამე,
არნელის არჩევა პარტიის კასისათვის დიდი ეკონომია
ნებოდა.

ამგვარად პარტიას არ ჰქონდა მიზეზი უარი ეთქვა
არნელისათვის. ბიუტმა მოახსენა „ჰომრულის კომიტეტს"
არნელის თხოვნა და, მცირეოდენის ყოყმანის შემდეგ,
ომიტეტმა გადასწყვიტა დახმარებოდა ახალგაზდა კან-
ნდიდატს. ერთ საარჩევნო მიტინგზე პარნელი გააცნეს
ზოგადოებას, როგორც მომავალ პარლამენტის სასურ-
ელი წევრი, და კანდიდატს საარჩევანო სიტყვის თქმის
�ება მისცეს. პარნელი ავიდა ტრიბუნაზე, მაგრამ აქ
ეტად უსიამოვნო და მოულოდნელი რამ მოხდა: ლა-
ვრაკი აჩქარებულად დაიწყო, სიტყვები არ ისმოდა,
ალასაც თავისთვის ბუტბუტებდა და ბოლოს შეჩერდა
ეა სიტყვაზე. მეტად ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა
მენელებზე ახალგაზდა კანდიდატმა; უკვირდათ კიდეც,
ომიტეტმა როგორ წარმოგვიდგინა ამისთანა უნიჭო კა-
ი, როგორც სასურველი კანდიდატი. რასაკვირველია,
არნელი გააშავეს დიდის ხმის უმეტესობით.

ამ უსიამოვნო შემთხვევამ ვერა დააკლო რა პარ-
ელის გადაწყვეტილებას. ყველაფერი აუშფოთებლად
ადაიტანა და გამოაცხადა, რომ ყუთს დაიდგამს, რო-

გორც კი რომელიმე დამატებითი არჩევანი მოხდება, შემთხვევაც მალე გამოჩნდა. **მასმ** (სახელია) ოლქი წარმომადგენელი მოკვდა 1875 წ. და მის მაგიერ ახალი უნდა აერჩიათ. პარნელმა იყარა კენჭი და არჩეულ იქმნა 1875 წლის აპრილში.

1875 წელს აპრილის 22-ს, საღამოს, პარნელმა პირველად შესდგა ფეხი ინგლისის პარლამენტში.

1875 წლის გაზაფხულის სესია მეტად საინტერესო იყო ირლანდიელთა პარტიისათვის, რადგანაც მთავრობას აზრად ჰქონდა წარმოედგინა სასტიკი რეპრესიული კანონ-პროეკტი ფენიების წინააღმდეგ. ამ ზომამისი მომხრეები რეპრესიას როდი ეძახდნენ; მათის ტერმინოლოგიით იგი იყო კანონი ირლანდიაში მშვიდობიანობის დაცვისა: 1872 წ. აგრარულ დანაშაულობათ (მებატონეთა წინააღმდეგ მოქმედება) რიცხვი 245-მდე ავიდა; 73-ში—254-მდე, 74-ში—263-მდე; ამიტომაც მაშინდელ სამინისტროს წევრი მიხეილ გიქს-ბიჩი ამტკიცებდა, რომ საჭიროა განსაკუთრებულ კანონების მოქმედების განგრძობა და ირლანდიის გამგებელის უფლებების გაძლიერებაო. ირლანდიის წარმომადგენლებმ პროტესტი განაცხადეს, მაგრამ სუსტად, უსისტემოდ ერთმანერთთან შეუთანხმებლად.

26 აპრილს პარნელმა წარმოსთქვა პარლამენტში თავისი პირველი სიტყვა. ამ საღამოს იგი შესანიშნავად ლაპარაკობდა, ისე როგორც ყოველთვის შემდეგში ირლანდიაში მიტინგზე რომ აირია და ლაპარაკი ვერ მოახერხა, პირველი და უკანასკნელი იყო მის ცხოვრებაში. ლაპარაკი მისი აუშფოთებელი, გარკვეული დ

ს ბედული იყო; ამასთანავე ფრაზიორობას სრულებით
ა აკლებული; ასე რომ აუდიტორია ძალა-უნებურად გულ-
ი-დგინედ უსმენდა მას.

„მე მაკვირვებსო,—სთქვა მან,—რომ რამდენისამე
ვნ)მთხვევის გამო, რომელიც ირლანდიის ერთ-ერთ კუ-
ლ-ეში მოხდა, მთავრობამ უნდა შემოიღოს განსაკუთრე-
ბული კანონები კუნძულის ყველა მცხოვრებლებისათვის.
ა-ეუბნებიან. რომ ინგლისელ მებატონეთა საკუთრების
ნ-ულება საშიშარ მდგომარეობაში არისო. ჩვენ ყოველ-
ა-ის გვესმის აქ საკუთრების უფლებაზე ლაპარაკი, მაგ-
რ-ამ არასოდეს არა უთქვამთრა საკუთრების მოგალეობა-
რ-ე.... ბატონი დერრის წარმომადგენელი (გიქს-ბიჩი)
ა-ამბობენ, რომ თვითონ ირლანდიელი არენდატორებიც
ი-ელ (მოიჯარადრე) მომხრენი არიან განსაკუთრებულ კა-
ნ-ონებისაო. მე არა ვფიქრობ, რომ ირლანდიელი არენ-
ლ-ატორი იმდენად გატაცებული იყოს თავის კერძო კლა-
ს-ებურ ინტერესებით, რომ მათ თავის ქვეყნის ინტერესე-
ბ-ს ანაცვალოს. შეიძლება დადგეს ის დღეც, როდესაც
ირ-ლანდიის არენდატორი დაინახავს, რომ მე ისეთივე
ა-ლანგარო მეგობარი ვარ მისი, როგორც მაგ. ბ-ნი დერ-
ბ-ის წარმომადგენელი. მე ამას პირდაპირ ვამბობ, რად-
ა-�ნაც ვიცი, რომ არენდატორისათვის მეტად დიდი მნიშ-
ვ-ნელობა აქვს საარენდო მიწის უზრუნველყოფას; მაგ-
ა-ამ ისიც ვიცი, რომ ფესვი ირლანდიის არევ-დარევისა
ირ-ლანდიის ჰომრულის პრინციპების მივიწყებაშია... არ
ა-ეიძლება ვუყურეთ ირლანდიას, როგორც ინგლისის
ე-ოგრაფიულ ნაწილს: ირლანდია გეოგრაფიული ნაწი-
ა-ი არ არის, იგი ერია“.

პარნელის შემდეგ სხვა ირლანდიის წარმომადგენ-
ლებმაც ილაპარაკეს და განიმეორეს წინად თქმული სი-
ტყვები. როგორც მოსალოდნელი იყო, მთავრობის პრო-
ექტი კანონად იქცა.

პარნელი ულკვირდებოდა თავის ამხანაგებს, რომელ-
თაც ეხლა პირველად შეხვდა, და შემდეგ დასკვნამდე მი-
ვიდა: ის, რასაც ისააკ ბიუტი თავის პარტიას ეძა-
ხდა, არ იყო ღირსი ამ სახელისა. იმ პირთა რიცხვი-
რომელნიც თავის თავს „ირლანდიელ პატრიოტებს“ ეძა-
ხდნენ, არ აღემატებოდა ორმოცს; ხანდახან ამათ მხარ-
აძლევდნენ ინგლისელი ვიგები, მაგრამ მათი ანგარიშშ-
ჩათვლა მეტის გულ-უბრყვილობის ნიშანი იქნებოდა-
რიცხვის სიმკირესთან ერთობაც აკლდათ ირლანდიის
წარმომადგენლებს: ესენი ერთმანერთს აშლოდნენ დ-
მერე ისეთის ეფექტით, ისე აშკარად, რომ პარლამენტშ-
უცხო პირები დარწმუნებით ლაპარაკობდნენ: ირლან-
დიელი დეპუტატები ერთმანერთს ხმას არ სცემენ და რა-
მე საქმეზე სალაპარაკოდ ინგლისელებს, თავიანთ მტრებს,
უგზავნიან მოციქულად ერთმანერთსო. გარდა ამისა,
ბიუხედავად იმ გარემოებისა, რომ იდეალი, ჰომრული,
ყველასათვის ცხადი იყო, პარტიის თვითეულ წევრს მო-
ქმედების გეგმა თავისი საკუთარი ჰქონდა, და ამ გვარად
ერთი პროგრამის მაგიერ ორმოცი იყო. თვითეული მა-
ონგანი თავის პროგრამას მისდევდა და, რასაკვირველია,
ინგლისელ ირლანდიის პარლამენტისათვის ამ გვარ პარტიის წინაა-
ბამდეგობა მაინც და მაინც საყურადღებო არ ყოფილა.

ბევრი სხვა რამეც აშორებდა პარნელს ამხანაგებს:
ისააკ ბიუტი და ბევრი ირლანდიელი დეპუტატი არა თუ

ეარ ყოფდნენ ფენიებს, პირდაპირ მტრულად უყურებ-
ენენ მათ.

პარნელს ფენიებთან კავშირი არ ჰქონია; არც იმათ
პოლიტიკის შესახებ გამოუთქვამს თავისი შეხედულება;
ოაგრამ მას შემდეგ, რაც მის სტუდენტობის დროს რა-
ოდენიმე ფენია ჩამოაღრჩევეს, პარნელი შეიქნა შეურიგე-
ელი მტერი ყველა იმ ზომებისა, რომელსაც ხმარობდა
ინგლისის მთავრობა მათ წინააღმდეგ. პარნელის გაცნო-
ებისათანავე ყველასათვის ცხადი შეიქნა, რომ იგი არ
იყო ფენიების ოპონენტი. რა იყო ამ თანაგრძნობის მი-
ზეზი, პარნელის ფანატიური ტემპერამენტი, მანჩესტერ-
ში მომხდარ ამბავის შთაბეჭდილება, თეორეტიული მო-
საზრებანი, თუ ყველა ეს მიზეზები ერთად, —ეს ჩვენ არ
ვიცით. საკმარისია ვთქვათ, რომ ბიუტმა და ირლანდიის
სხვა წარმომადგენლებმა შეამჩნიეს ეს თანაგრძნობა და
ამ გარემოებით მეტად უკმაყოფილონი დარჩნენ. თითონ
ფენიებმა, რომელნიც სრულებით უარჰყოფდნენ ბიუ-
ტისთანა პირების მოღვაწეობას, თავიდანვე ნდობა იგრ-
ძნეს პარნელისადმი. როცა 1876 წელს, ივნისში, გიქს-
ბიჩმა ფენიებს მკვლელები უწოდა, პარნელმა ხმა-მაღლა
განაცხადა პროტესტი და ამით პირველად დიდი სენსა-
ცია გამოიწვია.

არც 1875-ში, არც 1876-ში პარნელს დიდი მონა-
წილეობა არ მიუღია საპარლამენტო ცხოვრებაში; იგი
უფრო უკვირდებოდა საქმეთა მიმდინარეობას და ბრძოლი-
სათვის ემზადებოდა.

საქმის ისე წაყვანა, როგორც აქამდე მიჰყავდათ
ირლანდიელებს, მას უსარგებლოდ მიაჩნდა: ცხადი იყო,

რომ თხოვნით და მუდარით ინგლისის პარლამენტი ირ-
ლანდიას ჰომრულს არ მისცემდა; ამასთანავე ირლან-
დიელ დეპუტატების რიცხვი ისე მცირე იყო, რომ, თუ-
ნდაც სრული ერთობა ჰქონოდათ, მთავრობის გადაყ-
ნებას ვერც კი ეცდებოდნენ.

პარნელმა მოქმედების სხვა გეგმა შეიმუშავა და
მოიყვანა კიდეც სისრულეში: მან გადასწყვიტა ინგლი-
სის კონსტიტუციის მოქმედების შეფერხება და შეჩერე-
�ყველა იმ წეს-უფლებების მოხმარებით, რომელსაც კა-
ნონი აძლევს ყოველ დეპუტატს. განზრახვა მეტად გაბ-
დული იყო და ამ განზრახვის სისრულეში მოყვანა ნ-
შნავდა იმ საზღვრამდე მისვლას, რომელიც კანონიერ-
ლეგალურ ბრძოლასა და არა-ლეგალურ, რევოლიუციო-
ნურ ბრძოლას შუა დევს. რა კი მიზანი საპარლამენტ-
ცხოვრების შეფერხება იყო, ირლანდიელები ინგლისელ-
ლიბერალებსაც უნდა გადაჰკიდებოდნენ; ყოველი ლიბ-
რალი ისეთივე წინააღმდეგი უნდა ყოფილიყო ამ განზ-
რახვისა როგორც კონსერვატორების მეთაური ბიკონს-
ფილდი.

ისააკ ბიუტი პირველშივე წინააღუდგა პარნელი-
გეგმას. მართალია, ირლანდიელების პარტიას წინადა-
მიუმართავს ობსტრუქციისათვის, მაგრამ იშვიათად ე-
სპორადიულად, ისიც იმ მიზნით, რომ რომელიმე არ-
სასიამოვნო პროექტის განხილვა დროებით გადადებულ-
ყოფილიყო. პარნელის პლანი კი ნიშნავდა მთელ პარ-
ლამენტის (განურჩევლად დასებისა) საომრად გამოწვ-
ვას, პალატის სახელის გატეხის ცდას, სახელმწიფო ცხო-
ვრების შეფერხებას. ბიუტისა და პარნელის პოლიტიკ-

ერიგება შეუძლებელი იყო. ბიუტის შეხედულებით, ირლანდია მხოლოდ მაშინ მიაღწევდა მიზანს, თუ მისი არმომადგენლები პარლამენტს არ გააბრაზებდნენ. პარ-ელი კი სულ წინააღმდეგს ჰფიქრობდა. ბიუტს ისე არა-ჯრის ეშინოდა, როგორც პარლამენტთან კავშირის შე-ყვეტისა; პარნელი კი განზრახ მიიწევდა ამ მიზნისაკენ.

ირლანდიელებმა არ იცოდნენ, ვის გაჰყოლოდნენ. 1877 წ. უმრავლესობას ბიუტის მხარე ეჭირა; დანარჩე-ნები ზოგი ნეიტრალი იყო და ზოგიც პარნელის მომ-ხრე; ამათ რიცხვში იყო ვიწმე ბიგგარიც, რომელიც პარნელამდე იყო პარნელიტი: რამდენჯერმე უცდია ობს-ტრუქციის მოხმარება და ეხლა, როცა ობსტრუქცია სისტემად უნდა გამხდარიყო, სიხარულით მიემხრო პარ-ნელს და რამდენიმე სხვაც დაარწმუნა ამ მეთოდის სის-წორეში.

7 ივნისს პარლამენტს უნდა განეხილა კანონ-პრო-ექტი სატუსაღოების შესახებ; ეს პროექტი კერძო ხასია-თის იყო და დიდად არავის არ აინტერესებდა, მაგრამ პარნელი კრიჭაში ჩაუდგა მომხსენებელს და კითხვას კი-თხვაზე აძლევდა: მთელი დღე წვრილმანებს მოუნდნენ და ბილი გადადებულ იქმნა. ეს იყო ობსტრუქციონე-ლების დებიუტი, სცენაზე პირველი გამოსვლა. პარლა-მენტის აზრით, ეს დებიუტი კერძო ხასიათის ობსტრუქ-ცია იყო, თუმცა ძალიან უკვირდათ, რად მიაქციეს ირ-ლანდიელებმა ყურადღება მათთვის სრულებით უმნიშვ-ნელო კანონს. მაგრამ პალატა მალე დარწმუნდა, რომ ეს კერძო ხასიათის, შემთხვევითი ობსტრუქცია კი არა, პრინციპიალური იყო. ერთის თვის შემდეგ პალატაში ირ-

ჩეოდა ბილი სამხედრო სასამართლოებზე. პარნელი ისევ ჩაერია საქმეში და იმდენი ილაპარაკა და ალაპარაკა სხვებიც, რომ სხდომა გაგრძელდა ორ ივლისის ნაშუადღევის ოთხ საათიდან სამ ივლისის დილის შვიდ საათამდე, და საქმე კი ისევ გადაუწყვეტელი დარჩა. პარლამენტი მეტად აღელვებული იყო. პარნელის ქცევა ცხადად ამბობდა: ან მისცემთ ირლანდიას ჰომრულს, ანა და მთელ სესიაში საჭირო კანონების მეოთხედსაც ვერ გაიყვანთო.

ასეთ მდგომარეობას არა ეშველებოდა რა, რადგანაც პარნელი კანონიერ ნიადაგს არ გასცილებია.

სამი კვირის შემდეგ კითხვა ეხებოდა სამხრეთ-აფრიკის კოლონიებს და დამოკიდებულებას ტრანსვაალთან, რომლის შემოერთებას მაშინ ინგლისი ჰფიქრობდა. ტყუილად სცდილობდა ლორდ-კანცლერი საქმის მალე გათავებას; პარლამენტის წევრების ხმა-მაღლა ლაპარაკმაც ვერ გააჩერეს დაუღალავი პარნელი; პირიქით ეს ხელსაც უწყობდა მას, რადგანაც ამ ხმაურობის მომიზეზებით რამდენჯერმე იმეორებდა ერთსა და იმავეს. სხვა ირლანდიელებიც მხარს აძლევდნენ მას. დრო კი მიდიოდა და მიდიოდა. პარლამენტს ჯავრი და სიფიცხე ემატებოდა და სწორედ იმ მდგომარეობამდე მივიდა, როცა ავ-შეკავებულ კაცსაც შეუძლია რამე უკიდურესობა აიდინოს. მაგრამ ამ დროს პალატის წევრები მეტის ყურადღებით დაუწყებენ მოსმენას ორატორს; იგი ირლანდიაზე ლაპარაკობს, ადარებს მას სამხრეთ-აფრიკას და [illegible]ულოდნელი დასკვნები [illegible] ჩემის [illegible]ბრითო, [illegible]მბობდა იგი, ბრიტ[illegible] პარლამენტმა [illegible]ერ [illegible]ამ ერე-

ბთან უნდა მოაწყოს საქმეები, რომელნიც მას ეხლა ექ-
ჯემდებარებიან, და მერმედ მოჰკიდოს ხელი სამხრეთ-აფ-
რიკის კითხვას. მე მგონია, რომ სამხრეთ-აფრიკის ქვეყნე-
ბის განზრახული კონფედერაცია არის მხოლოდ ნაწილი
ბრიტანიის ანგაარებით აღსავსე პოლიტიკისა. ინგლისის
მთავრობას არ სურს იცოდეს სხვისი სურვილები და
ინტერესებით უყურადღებოდ სტოვებს თავის კოლონიების
ინტერესებს. თქვენ. ბატონებო, თხოულობთ ეხლა ჩვე-
ნგან, რომ დაგეხმაროთ, შემდეგშიაც განახორციელოთ
ასმგვარი ეგოისტური პოლიტიკა? არა! მე მოვსულვარ
ირლანდიიდან, იმ ქვეყნიდან, რომელმაც სავსებით გა-
ბმოსცადა ინგლისის საქმეებში ჩარევის შედეგი, მისი ტი-
რანია (მტარვალობა) და სიმკაცრე, და ამიტომაც მე
განსაკუთრებულ სიამოვნებას ვგრძნობ, წინააღვუდგე
მთავრობის განზრახვებს სამხრეთ-აფრიკის შესახებ". ეს
ყველაფერი წარმოთქმული იყო დამშვიდებით, აღუშფო-
თებლად და, როგორც მაყურებლები გვარწმუნებენ, უსა-
ზღვრო ზიზღით. გაბრაზებული ხაზინის კანცლერი წამო-
ვარდა თავის ადგილიდან და მოითხოვა, რომ პარნე-
ლის სიტყვები ოქმში შეეტანათ: პარნელი მთელ სე-
ესიის განავლობაში გვიშლიდა მშვიდობიანად შრომას,
ეაფერხებდა საქმეებს, პირში დასცინოდა პალატას და
ათავებს იმითი, რომ ბედავს ბრიტანიის ერის შეურაცხ
ყოფას! კანცლერს თავი ხელთ არა ჰქონდა და მაშინვე წი-
ნადადება შეიტანა, რომ პარნელი სამის დღით განედევ
ნათ პალატიდან.

პარნელი აღუშფოთებელი, როგორც თვით გაყინუ
ლი მშვიდობიანობა, წამოდგება და იმის მაგიერ რო

არსებითად პასუხი გაეცა კანცლერისათვის, ამ ინცი-
დენტსაც საობსტრუქციოდ ხმარობს: „რომელის საფუ-
ძვლით შემოაქვს ბ. კანცლერს ახალი ბილი (ჩემი პა-
ლატიდან განდევნა), როდესაც წინედ შემოტანილი ბი-
ლი (სამხრეთ აფრიკის საქმე) ჯერ არ გათავებულა? ე
კანონის წინააღმდეგია!“

კილო მისის სიტყვისა და ქცევისა იმდენად შეურაცხ-
მყოფელი იყო, რომ პალატა, როგორც ერთი კაცი-
აშფოთდა მის წინააღმდეგ, მაგრამ რა უნდა ექნა-
პარნელის ნათქვამი კონსტიტუციის წინააღმდეგი არ ყო-
ფილა: აზრის გამოთქმის უფლება ყველას აქვს და პარ-
ლამენტის წევრი ამისათვის პასუხის გებაში არ მიიცემა-
თქმის კილოსათვის მანერისათვის სასჯელი არ არსებობს
მთელ პალატაში მარტო პარნელს არ ეტყობოდა შეშ
ფოთება; ყველა დატანჯული იყო ფიზიკურად, ყველ
ღელავდა, ზოგი კი ულონო მრისხანებამ მოიცვა დ
თრთოდა. პარნელმა კარგად იცოდა, რომ ინგლისშ
ვერც მთავრობა, ვერც პალატა ვერ გაბედავდა კანონი
დარღვევას, როგორიც უნდა ყოფილიყო იგი; კანცლ
რის წინადადება უარ-ყოფილ იქნა. ინციდენტის გმი
რი ხელ-ახლავ წამოდგა, გაიმეორა წინად ნათქვამი ინგ
ლისის ანგაარებაზე; იძლეოდა ურიცხვ კითხვებს და ა
გვარად აჭიანურებდა საქმის განჩილვას. ბიგგარი და კ
დევ ექვსიოდე ირლანდიელი მხარს აძლევდნენ. რა
დენიც დრო მიდიოდა, პარნელი უფრო მეტს მხნეობ
და ძალას იჩენდა. დიდი ხანი იყო, რაც დაღამდა, დ
საქმე კი ოოტის ოდენაც არ წაწეულა წინ. დილის ექვს

ᲙᲐᲗᲮᲔ ᲞᲐᲚᲐᲢᲐ ᲓᲐᲘᲨᲐᲚᲐ, ᲑᲘᲚᲘ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ-ᲐᲤᲠᲘᲙᲘᲡᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲙᲕᲘᲠᲘᲗ ᲒᲐᲓᲐᲘᲓᲝ.

ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲔᲠᲗᲘ ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲐᲪ, 31 ᲘᲕᲚᲘᲡᲨᲘ, ᲡᲮᲓᲝᲛᲘᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲘᲡᲐᲗᲐᲜᲐᲕᲔ ᲑᲘᲒᲒᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲞᲐᲠᲜᲔᲚᲘ ᲘᲡᲔᲕ ᲨᲔᲣᲓᲒᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲕᲘᲡ ᲨᲔᲤᲔᲠᲮᲔᲑᲐᲡ. ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲤᲠᲐᲖᲐ ᲛᲮᲡᲜᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲪᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲐᲠ ᲒᲐᲣᲨᲕᲘᲐᲗ ᲨᲔᲣᲛᲩᲜᲔᲕᲚᲐᲓ, ᲐᲞᲐᲡᲣᲮᲝᲓ. ᲡᲬᲝᲠᲐᲓ ᲬᲐᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲦᲘᲠᲡᲘᲐ ᲐᲛ ᲡᲮᲓᲝᲛᲘᲡ ᲝᲥᲠᲝ. ᲬᲐᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘ ᲓᲐᲘᲜᲐᲮᲐᲕᲡ, ᲗᲣ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲓᲐᲣᲨᲠᲔᲢᲔᲑᲘᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲐ ᲓᲐ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲮᲔᲠᲮᲘᲐᲜᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲝᲜᲔᲑᲐ! 31 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ ᲓᲐᲚᲐᲛᲓᲐ, ᲒᲐᲕᲘᲓᲐ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲦᲐᲛᲔᲪ ᲓᲐ ᲓᲐᲗᲔᲜᲔᲑᲘᲡᲐᲡ ᲞᲐᲠᲜᲔᲚᲘ ᲘᲡᲔᲗᲘᲡᲐᲕᲔ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲘᲗ ᲓᲐ ᲛᲮᲜᲔᲝᲑᲘᲗ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ, ᲣᲡᲛᲔᲜᲓᲐ ᲛᲝᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲗ, ᲬᲔᲠᲓᲐ, ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲡ ᲐᲫᲚᲔᲕᲓᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲡ ᲐᲛᲑᲝᲑᲓᲐ. ᲛᲐᲨᲘᲜ ᲞᲐᲚᲐᲢᲐ ᲛᲘᲦᲛᲔᲢ ᲯᲒᲣᲤᲐᲓ ᲓᲐᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲓᲐᲐᲓᲒᲘᲜᲐ, ᲗᲕᲘᲗᲝᲔᲣᲚ ᲯᲒᲣᲤᲡ ᲠᲘᲒ-ᲠᲘᲒᲐᲓ ᲔᲒᲓᲝ ᲧᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲜᲔᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜ ᲯᲒᲣᲤᲔᲑᲡ ᲙᲘ ᲐᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲔᲫᲘᲜᲐᲗ. ᲔᲡ ᲗᲝᲛᲐ ᲡᲐᲞᲐᲠᲚᲐᲜᲢᲝ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ ᲣᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲝᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲞᲐᲠᲜᲔᲚᲘ ᲐᲛᲐᲠᲪ ᲕᲔᲠ ᲨᲔᲐᲤᲔᲠᲮᲐ: ᲐᲥᲕᲔ ᲒᲐᲛᲝᲣᲪᲮᲐᲓᲐ ᲑᲘᲒᲒᲐᲠᲡ, ᲠᲝᲛ ᲘᲧᲘᲜᲘᲪ ᲘᲛᲭᲠᲘᲒᲔᲑᲔᲜ—ᲔᲠᲗᲘᲡ ᲛᲝᲡᲕᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ, ᲛᲔᲝᲠᲔᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲔᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲜᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲔᲥᲪᲘᲐ ᲞᲐᲚᲐᲢᲐ. ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲛᲔᲠᲔ ᲛᲝᲘᲥᲪᲜᲔᲜ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲞᲐᲠᲜᲔᲚᲘ ᲐᲠ ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲑᲓᲐ ᲛᲝᲦᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲘᲗ—ᲛᲘᲡᲛᲐ ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲐᲒᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲛ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲠᲘᲠᲘ ᲐᲘᲢᲐᲜᲐ. ᲠᲝᲪᲐ ᲑᲘᲒᲒᲐᲠᲡ ᲛᲘᲔᲫᲘᲜᲔᲑᲝᲓᲐ. ᲞᲐᲚᲐᲢᲘᲡ ᲙᲘᲕᲠᲔᲑᲘ ᲛᲫᲘᲛᲔ „ᲚᲣᲠᲯ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲡ“ ᲒᲐᲓᲛᲝᲰᲧᲠᲘᲓᲜᲔᲜ ᲘᲐᲢᲐᲙᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲔᲚᲕᲘᲫᲔᲑᲘᲜᲐᲗ ᲓᲐ ᲛᲝᲡᲕᲔᲜᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲛᲘᲔᲪᲐᲗ. ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲡ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲜᲘ ᲒᲐᲜᲪᲕᲘᲤᲠᲔᲑᲘᲗ ᲰᲙᲘᲗᲮᲣᲚᲝᲑᲓᲜᲔᲜ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ ᲒᲐᲖᲗᲔᲑᲨᲘ, ᲠᲝᲛ ᲞᲐᲚᲐᲢᲘᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲘᲡ ᲯᲔᲠᲐᲪ ᲐᲠ ᲒᲐᲗᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘᲧᲝ. ᲑᲝᲚᲝᲚᲝᲡ, ᲝᲪ ᲓᲐ ᲔᲥᲕᲡᲘ

საათის განუწყვეტელ სხდომის შემდეგ ბილი მიღებულ იქნა.

III

ისააკ ბიუტი და მისი მომხრე ირლანდიელები ისევე ჯავრობდნენ პარნელზე, როგორც თვით ინგლისელები. ეს უკანასკნელნი ერთობ შეეჩვივნენ ბიუტის აუჩქარებელ ტაქტიკას და, რასაკვირველია, არაფრად ეპაშნიკათ პარნელის შეურიგებელი, გამწვავებული ბრძოლა. თავის მხრივ ბიუტი მიხვდა, რომ პარნელის ასეთ მოქმედების შემდეგ, ინგლისის კეთილი განწყობილება ირლანდიისადმი შეუძლებელი ხდებოდა. ლონდონში და მთელ ინგლისში მხოლოდ პარნელზე და ობსტრუქციაზ[illegible] ლაპარაკობდნენ; საკანონმდებლო პერიოდმა სულ უქმად ჩაიარა; ჰომრული დღიური ვარამი შეიქნა. ბრძოლა[illegible] რომელიც პარნელმა პარლამენტს გამოუცხადა, უნდა გ[illegible] თავებულიყო ან პარნელის გამარჯვებით, ან სახელმწიფ[illegible] ცხოვრების შეჩერებით, ან საპარლამენტო წესის ძირითა[illegible] დის შეცვლით. მაგრამ ინგლისელი ძალიან უფრთხის ყ[illegible] ველ გვარ ძირითად ცვლილებას. ბევრს კიდევ ის იმ[illegible] დი აგულიანებდა, რომ პარნელის ბანაკი ცალიერი იყო[illegible] ისააკ ბიუტი უცბად საყვარელი პირი შეიქნა. მას უ[illegible] ხადებდნენ სიმპატიას და თანაგრძნობას იმისთანა პირ[illegible] ბიც კი, რომელთა შეხედულებით ირლანდია მარტ[illegible] მკაცრ განსაკუთრებულ კანონებს საჭიროებდა.

პარლამენტს მალე გაუცრუვდა იმედები პარნელი[illegible] მარტოობის შესახებ. როგორც პარნელს, ისე ბიუტსაც[illegible]

და სხვა ირლანდიელ დეპუტატებსაც კარგად ესმოდათ, რომ ბიუტის და პარნელის ტაქტიკის შერიგება და საჭელო გზის გამონახვა შეუძლებელი იყო; ისიც კარგად ესმოდათ, რომ არჩევანი ამ ორ ტაქტიკას შორის რაც შეიძლება ადრე უნდა მომხდარიყო. მაგრამ თუ ეს არჩევანი დეპუტატებისათვის ჯერ კიდევ საკითხავი იყო, ირლანდიაში ეს კითხვა გადაწყდა კიდეც. ირლანდია წელში გაიმართა: მოიგონა წარსული, გაიღვიძა ო'კონელის დროის ტრადიციებმა. იმ ღრმა, შეურიგებელმა და შეგნებულმა მძულვარებამ ინგლისელებისადმი, რომელიც არასოდეს არ ჰკარგავს ირლანდიაში თავის ძალას და ყოველთვის სცდილობს თავი იჩინოს, ობსტრუქციის ამბის მოსვლისათანავე ყველა პარნელიტებად გახადა. პარლამენტის სესია ცამეტ აგვისტოს გათავდა და პარნელი მაშინვე ირლანდიაში წავიდა. 21 დუბლინში გაიმართა მის პატივსაცემად დიადი მიტინგი. პარნელი ტაშებით იქნა მიღებული და მიტინგმა დაადგინა, გამოუცხადოს მხურვალე თანაგრძნობა ახალ პირებს და ახალ პოლიტიკას...

ო'კონელის შემდეგ ეს პირველი იყო, რომ ირლანდიამ თავის თავი ძლიერად იგრძნო; და ეს ძალა გამოქმედა პარნელმა ისე, რომ ერთი წვეთი სისხლიც არ დაუღვრია. გარდა ამისა ობსტრუქციამ ისევე შეხუთა და დაებორკა პარლამენტი, როგორც ინგლისელებმა ირლანდია. ეს სამაგიეროს გადახდა და შურისძიება იყო. ამასთან ერთად დუბლინელებს ახსოვდათ და იმეორებდნენ პარნელის სიტყვას სამხრეთ აფრიკაზე და დიდად აფასებდნენ ბილოს, რომლითაც იგი სათემო პალატაში ლაპარაკობ-

და. და მერე ვინ იყო ეს ირლანდიის კეთილის მყოფე
ლი? ლენდ-ლორდი (მებატონე), პროტესტანტი და სის
ხლით წმინდა ანგლო-საქსონელი; ირლანდიის ნაციონა
ლისტებს შეეძლოთ ეთქვათ მთელის ქვეყნისთვის, რო
მათი მდგომარეობა აშფოთებს არა თუ იმათ, ვინც მი
იტანჯება, არამედ იმათაც, ვინც გაბატონებულები
წრეს ეკუთვნის. ისააკ ბიუტს და მის თანამგრძნობლებ
კარგად ესმოდათ, რომ მათი დრო წასული იყო. როც
ექიმი, რომელიც სწამლობდა ავადმყოფ ბიუტს, გამხნევ
ბას დაუწყებდა მას, საბრალო მოხუცი სულ ერთსა დ
იმავეს იმეორებდა: „არა, ჩემი დრო წასულია! მალე ც
ცხლი სრულებით ჩაჰქრება“.

რამდენიმე თვის განმავლობაში მთელი ირლანდი
ახალგაზდა დეპუტატის მომხრე გახდა და ბიუტის სიკ
დილს არაფერი ცვლილებები გამოუწვევია საქმის მ
მდინარეობაში. პარნელიტები ხმამაღლა აცხადებდნ
რომ მათ სძულთ ინგლისის მთავრობა, პატივს არა სცა
მენ მას, იბრძოლებენ მასთან უკიდურესობამდე და არ
ფერს დასთმობენ თავის პროგრამიდან.

ამასობაში ობსტრუქცია არ შეწყვეტილა პარლამ
ნტში. 1878 წელს ბიკონსფილდი იძულებული შეიქ
პირველად თვითონ დასდგომოდა დათმობის გზას: გამო
ცა ახალი კანონი ირლანდიაში სწავლა-განათლების შეს
ხებ, მერე ისეთი, როგორიც პარნელს უნდოდა.

აქამდე, ე. ი. სანამ ბიუტის „უწყინარი პოლ
ტიკა“ მეფობდა, ინგლისის პარლამენტი და მთ
რობა ყრუ იყო ირლანდიელთა ყოველ სურვილისათვ
ეხლა ცხადად დაინახა ქვეყანამ პარნელისმის სარგებლ

ლა და ხალხი აღტაცებით შეჰყურებდა თავის გმირს.

ამავე დროს, ესე იგი 1877 წ. და 1879 წ., ირლანდიაში დაიწყო ახალი მოძრაობა. აქაც პარნელს შეხვდა პირველ როლის შესრულება.

ირლანდიას შიმშილობა ეწვია: კარტოფილის მოუსავლობამ ისეთი საშინელი უბედურება გამოიწვია, იმ-ოდენი ხალხი დახოცა, რომ ირლანდია სასოწარკვეთილ-ებას მიეცა. ირლანდიის გამგედ ამ დროს სერი ჯემს ლოუ-ტერი იყო. სერი ლოუტერი დარწმუნებული იყო, რომ გრასოდეს შიმშილობა არ იქნებოდა, რომ აგიტატორები არ აღელვებდნენ ხალხს და შიმშილობაზე არ ლაპარაკობდნენ.

ყოველ შემთხვევაში ის იმ აზრს ადგა, რომ ბიკონ-ფილდის შეწუხება ირლანდიის ამბებით უსარგებლო და საწყენელი იყო; ამიტომაც, რამდენსაც არ დაეკით-ებოდნენ, იგი ყოველთვის შეურყევლად უპასუხებდა, რომ ირლანდიაში შიმშილობა არ არის, არის მხოლოდ ოდნავ მოუსავლობაო. პარნელმა და მისმა მეგობრებმა ძალიან აუხილეს ინგლისის საზოგადოებას, გააცნეს ირ-ლანდიის მდგომარეობა და გამოიწვიეს თანაგრძნობის ფაფი მოძრაობა. შიმშილობამ ერთხელ კიდევ დაანახვა საზოგადოებას, რომ თუ ჰომრული აუცილებელი იყო, ეკონომიურ პოლიტიკურ, ისე სოციალურ ცხოვრების გა-ბაუმჯობესებლად, სანამ ეს ჰომრული განხორციელდე-ბოდა, საჭირო იყო ეკონომიურ ხასიათის ზომები.

მიხეილ დევიტი, ახალგაზდა ირლანდიელი, რომე-ლიც მონაწილეობას იღებდა ფენიების მოძრაობაში და ტატორლაში იქნა გაგზავნილი შვიდის წლით, დაბრუნ-

და კატორღიდან სასჯელის მოხდის შემდეგ და, საშინელ შიმშილობის შთაბეჭდილების ქვეშ, გადასწყვიტა „საადგილ-მამულო ლიგის“ (კავშირის) დაარსება. მიზანი ლიგისა იყო საკანონმდებლო გზით ირლანდიელ მოიჯარადრე ფერმერების მესაკუთრეებად გადაქცევა. ეს საქმეთან და თან უნდა განხორციელებულიყო. ჯერ უნდა შემოეღოთ იჯარა უვადო, ესე იგი მოიჯარადრის სიკვდილამდე, მერმე იჯარა მემკვიდრეობითი და სხვა. საქმის სისრულეში მოყვანისთვის დევიტმა დახმარება სთხოვა პარნელს.

რატომ მიმართა დევიტმა პარნელს? რატომ იყო, რომ ყოველი მოძრაობა მაშინ ითვლებოდა საიმედოდ, როცა მას პარნელი მიემხრობოდა? რად იყო, რომ ძლიერი, ენერგიული და პატივმოყვარე პირები ქედს იხრიდნენ მის წინაშე და მისი ჯარის უბრალო მეომრები ხდებოდნენ? ყველა ამაების მიზეზი, მის მცნობთა მოწმობით, პარნელის მიმზიდველი და მომხიბვლელი პიროვნები იყო. ჩვენ ვიცით, რომ ხშირად მოდიოდნენ პარნელის მიტინგზე მისი მოწინააღმდეგენი და მისი სიტყვის მოსმენის შემდეგ უკიდურესი პარნელიტები ხდებოდნენ. ოც და თოთხმეტი წლის პარნელი ირლანდიის „უგვირგვინო მეფე“ შეიქნა. იმ ასაკში, როცა პოლიტიკურ მოღვაწეთა უმრავლესობა იწყებს თავის კარიერას, პარნელს უსაზღვრო გავლენა ჰქონდა შეძენილი. იგი შესანიშნავი მოლაპარაკე იყო; ის გრძნობის სრული ბატონი და მეფე იყო: რაც უნდა ძლიერად და ღრმად ეგრძნო რამე მის გულს, ეს სხვებისთვის შეუმჩნეველი რჩებოდა. ხასიათი მტკიცე, შეუდრეკელი და უშიშარი ჰქო-

ლდა. ამასთან იგი იყო შესანიშნავი ორგანიზატორი და
რასეთი გულ-გრილი და ცივ-სისხლიანი, რომ თვით ინ-
შელისელები მოჰყავდა განცვიფრებაში. რა საკვირველია,
გრომ ასეთი პირი გამხდარიყო ირლანდიელთა დასის მე
რიაური!

ე დევიტი მოგვითხრობს, რომ სანამ იგი ლაპარაკობ
�ა თავის ლიგაზე, პარნელს ტყუილა ხმა არ ამოუღია
ლრითქო თავის სიგარის მეტი არა ეინტერესება რაო. რო
ოკა დევიტმა გაათავა ლაპარაკი, პარნელი წამოდგა, ჩა
ბოჰყარა სიგარის ფერფლი და სთქვა: „მე ამ საქმეს გა
რკვეთებ; არ ვიცი, მოვეწყობი თუ არა ყველა თქვენ
ძმხანაგებს, მაგრამ სულ ერთია, მე ამას გავაკეთებ“.

„საადგილ-მამულო ლიგის“ იდეების პროპაგანდისა
ვის საჭირო იყო ფულები. ფულებივე იყო საჭირო და
შეულ ირლანდიელებისათვისაც; მათ საშოვნელად პარ
ელმა გადასწყვიტა შეერთებულ-შტატებში წასვლა დ
ქ მიტინგებისა და საჯარო ლექციების გამართვა. ცოტ
ბაზე ადრე, სექტემბერში, 1879 წ. მან მიმართა ირლა
დიას პროკლამაციით, რომელშიაც ითხოვდა ყოველ
ვარი დახმარება აღმოეჩინათ ლიგისათვის და გაემგრე
ინათ იგი. ირლანდიელები დიდის ენერგიით შეუდგნ
საქმეს და პროვინციაში ბევრი ფილიალური განყოფილე
ები გაიხსნა; გამგე ყველა ამ განყოფილებებისა დუბლი
ის კომიტეტი იყო. 29 სექტემბერს პარნელმა სიტყვ
წარმოსთქვა; ამ სიტყვაში იგი შეეხო ფენიებს, დიდი
ანაგრძნობით ლაპარაკობდა საზოგადოდ იმ ირლანდიე
ებზე, რომელნიც ამა თუ იმ მიზეზის გამო იძულ
ულნი არიან სამშობლოს თავი დაანებონ და უცხოეთ

ში იცხოვრონ, წარმოსთქვა რამდენიმე აზრი ყველა ირ-
ლანდიელების ფედერაციაზე და კავშირზე საზოგადო
მტერთან — ინგლისთან — საბრძოლველად. ამავე 1879
წლის ოქტომბერში პარნელი აირჩიეს ახალ ლიგის თავ-
მჯდომარედ. მან, ცოტა არ იყოს, შესცვალა დევიტის
პროგრამა პოლიტიკურ ელემენტის შიგ შეტანით, მაგ.,
გამოაცხადა, რომ ლიგის ბრძოლის მიზანი მარტო მი-
წის საკუთრებად შეძენა როდი არის; მისივე მიზანია—
ჰომრულიც. აქაც არ უღალატნია პარნელს თავისის
ტაქტიკისათვის, აქაც ნიღაბის ჩამოფარების წინააღმდეგ
იყო: იგი პირდაპირ აცხადებდა, რომ ახალ ლიგის და-
ნიშნულება ინგლისის მტრობა და მასთან ბრძოლაა. ფე-
ნიები, რომელნიც იმ თავითვე სიმპატიით უყურებდნენ
პარნელს, სარგებლობდნენ ყოველის შემთხვევით. თა-
ვიანთი სიყვარული და სიმპატია გამოეცხადებინათ მის-
თვის. „ვისაც როგორ შეუძლია, ისე ებრძოლოს ინგ-
ლისს, ინგლისის მტრები ჩვენი მოკავშირენი არიანო, "ბევრ-
ჯელ უთქვამს პარნელს 1879 წელში და ეს სიტყვებ-
ესმოდათ, როგორც ატლანტიკის ოკეანეს იქით, ისე სა-
პატიმროებშიაც. რაც შეეხება ლიგის პროგრამის ეკო-
ნომიურ მხარეს, აქაც უფრო შორს მიდიოდა იგი: „მი-
წის საშუალო ქირის ფასში უნდა შედიოდეს მიწის ლი-
რებულობაც; ასე რომ ოც და ათის წლის განმავლობა-
ში მიწა არენდატორების საკუთრება უნდა გახდეს. მე-
ბატონეს არ უნდა ჰქონდეს არენდატორის გაგდების
უფლება".

როცა მთავრობამ გაიგო, რომ პარნელი ასე ცხარ-
მონაწილეობას იღებდა ახალ ლიგის საქმეებში, იგი ერ-

ბთობ დაფთხა და გულ-მოდგინედ ადევნებდა თვალ-ყურს ლიგის წევრებს. დეკემბრის პირველ რიცხვებში დაიპატიმრეს დევიტი და კიდევ ორი სხვა წევრი რევოლიუციონურ სიტყვების გამო, რომელნიც მათ წარმოეთქვათ ურთ მიტინგზე. ეს დიდი უბედურება იყო ჯერ კიდევ ეზ-მოუმაგრებელ საზოგადოებისათვის; მაგრამ რამდენად უფრო ძნელდებოდა ბრძოლის პირობები, იმდენად იზრდებოდა პარნელის ენერგია. რადგანაც იგი იმ აზრს აღიარებდა, რომ ფული ომის ძარღვია, ამიტომ საჩქაროდ შეუდგა ამერიკაში წასვლის სამზადისს და 21 დეკემბერს კვინსტაუნიდან გავიდა; 1 იანვარს 1880 წელს პარნელი უკვე ამერიკაში იყო.

IV

ირლანდია ყოველთვის სხვა ქვეყნებზე მეტ ემიგრანტებს უგზავნიდა შეერთებულ შტატებს. სამოც და ათიან წლებში, მაგალითად ჩრდილოეთ ამერიკაში, იყო $12^1/_2$ მილიონი მუშა, მიწის მომქმედი თუ მრეწველი; ამათგან კვიდრი ამერიკელი იყო 10 მილიონი, ერთ მილიონამდე ირლანდიელი და დანარჩენ ერებიდან (ჩინელი, ფრანგი, ინგლისელი, გერმანელი) მხოლოდ მილიონ-ნახევარი. ამიტომ პარნელი დაიმედებული უნდა ყოფილიყო, რომ შეერთებულ შტატებში მას თანამგრძნობი ეყოლებოდა. ჩარდა ირლანდიელებისა, თვით ამერიკელ საზოგადოების იმპატიის იმედიც უნდა ჰქონებოდა პარნელს, რადგანაც ამერიკელებს იმ თავითვე ირლანდიელების მხარე ეჭირათ, საკვირველია, უფრო იმიტომ, რომ ინგლისსა და ამე-

რიკას შუა ყოველთვის ანტაგონისმი და ქიშპობა არ-
სებობდა.

ფენიები უშიშარ თავ-შესაფარს პოულობდნენ აქ.
ირლანდიის დამშევის დროს ნიუ-იორკში და სხვა დიდ
ცენტროებში საქველ-მოქმედო ბაზრები იმართებოდა; ამე-
რიკული პრესსა ყოველთვის დიდის სიმპატიით აღნიშ-
ნავდა ირლანდიელ ოპოზიციის მოღვაწეობის ფაქტებს.
სისტემატიურ ობსტრუქციის დაწყებისათანავე პარნელს
დიდი ყურადღება მიაქციეს ამერიკელებმა და ბევრს ლა-
პარაკობდნენ მაზე; აქ ისიც იცოდნენ, რომ პარნელი
ამერიკაში მოდიოდა სააგიტაციოდ და მოუთმენლად მოე-
ლოდნენ მის მოსვლას როგორც ირლანდიელები, ისე
ამერიკელებიც. არა ნაკლების ინტერესით, მაგრამ სულ
სხვა გრძნობით, ადევნებდა თვალ-ყურს ამ მგზავრობას
ინგლისის პერიოდული მწერლობაც.

ერთმა ლონდონელმა ჟურნალისტმა, ფილიპე ბაჯე-
ალმა დასწერა პამფლეტი ამერიკელ ირლანდიელებზე.
აქ დაწვრილებით აღწერილია პარნელის მოგზაურობა და
ოყვანილია რამდენიმე მისი სიტყვა. კვინლენდში პარ-
ელმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელმაც ინგლისში დი-
ი ქარიშხმლი გამოიწვია. „მე ვნახე აქ შეიარაღებული
ირლანდიელი მილიციელებიო,—სთქვა მან, — მე მგონია,
ომ თვითეული მათგანი ნატრობს იმ დღეს, როცა
ეეძლება მოიხმაროს თავის იარაღი ირლანდიისათვის“.
აშის კვრამ და გრგვინვის მზგავსმა ვაშა-ვაშას ძახილმა
აწყვეტინა ორატორს ლაპარაკი. „არაფერიაო,—გა-
აგრძო მან,—ადრე იქმნება თუ გვიან, საქმე იარაღამ-
ეც მივაო“. თექვსმეტ თებერვალს პარნელი ლაპარა-

ლაკობდა პიტასტიუნში უამრავ მსმენელთა წინაშე. „გაძ-
ალლევთ სიტყვას,—ეუბნებოდა იგი იქ შეკრებილ ირლან-
ელიელებს,— რომ ვიბრძოლებ ისე მედგრად და დაუღა-
ალავად, როგორც თქვენთვის სასურველია. ლენდ-ლორ-
ალდები და მთავრობა აძევებენ ფერმერებს და მათ ოჯა-
ახებს მათის მიწებიდან, მაგრამ მამაც კონნემარელ დედა-
აკაცების იმ სისხლისაგან, რომელიც მათ დაღვარეს კე-
ალრას დამქცევთა წინააღმდეგ ბრძოლის დროს, ამოვა ძა-
ალლა, რომელიც წალეკავს არა თუ მიწად-მფლობელო-
ბების მთელ სისტემას, არამედ იმ უსვინიდისო მთავრო-
ალებასაც, რომელიც მფარველობას უწევს მას (სისტემას).“
ძ23 თებერვალს პარნელი ცინცინატში ლაპარაკობდა:
„მე დარწმუნებული ვარ, რომ ლენდ-ლორდობას მალე
მოვსპობთ. როცა ირლანდიის მიწა ირლანდიელებს დაუ-
ბრუნდება, მაშინ ჩვენ გვექნება საძირკველი, რომელ-
ზედაც ერის ცხოვრებას ავაშენებთ. როცა მოვსპობთ
ირლანდიაში ინგლისის ბატონ-პატრონობას, ირლანდიის
ერი დაიჭერს თავის ადგილს სხვა ერთა შორის. მაგრამ
ჩვენ იფიქრებთ ნურასოდეს, რომ ჰომრული, ჩვენი სა-
ბოლოო მიზანი იყოს. არც ერთი ჩვენგანი, ამერიკაში
ცხოვრობს იგი, თუ ირლანდიაში, არ იქნება კმაყო-
ფილი, სანამ არ გაწყდება უკანასკნელი ძაფი, ინგლი-
სისა და ირლანდიის შემაერთებელი“. პარნელის ორა-
ტორულმა ნიჭმა აქ ფართოდ გაშალა თავისი ფრთები
და იგი ლაპარაკობდა დაწყნარებით, აღუშფოთებელად, ის
როგორც პარლამენტში გაცხარებულ ბრძოლის დროს
მაგრამ ეს მისი აღუშფოთველობა, რომელიც მოკლებუ
ლი იყო ხელოვნურ, არა გულ-წრფელ გატაცებას, რწმე

ნის სიწრფელე, რომელიც ყოველ მის სიტყვას ემჩნეო
და, დიად შთაბეჭდილებას ახდენდა მსმენელების გონე
ბაზე. პარნელი ნამდვილი ანგლო-საქსონელ ტიპის ორა
ტორი იყო, ისე როგორც გამბეტა ფრანგულ ტიპისა

შეიძლება სთქვას კაცმა, რომ პარნელი ამერიკაში
წასვლისას ცნობილი კაცი იყო და იქიდან დაბრუნებუ
ლი კი სახელ-განთქმული. ოვაციებს ბოლო არ ჰქონ
და. ვაშინგტონში ნახევრად-ოფიციალურად იგი მიიპა
ტიჟეს კონგრესის ზალაში. შემოწირულება წყალივით
მოდიოდა. ორ თვეში „საადგილ-მამულო ლიგისათვის
შეჰკრიბა პარნელმა 350,000 დოლარი (700,000 მან.)
დამშეულთათვის შეკრებილი ფული კიდევ სხვა იყო
მოგზაურობის საქმის მატერიალურად და პოლიტიკურად
(ამერიკელების თანაგრძნობა) ბრწყინვალედ მსვლელობ
ყველას აფიქრებინებდა, რომ პარნელი ერთ ხანს კიდე
დარჩებოდა ამერიკაში, მაგრამ ამ დროს ბიკონსფილდმ
პარლამენტი დაითხოვა და ახალი არჩევნები დანიშნა
პარნელმა მაშინვე დაანება ყველაფერს თავი და ირლან
დიაში წავიდა.

პალატა დათხოვნილ იქნა 8 მარტს 1880 წელს
მეორე დღესვე გაზეთებმა დაჰბეჭდეს მთავარ-მინისტრი
წერილი ჰერცოგ მალბოროსადმი მიწერილი. აი რა
სწერდა ბიკონსფილდი ირლანდიის გამგებელს: „ირლან
დიას თავს ადგას განსაცდელი, რომელიც შიმშილზე დ
ეპიდემიაზე ნაკლებ საშიში არ არის. მკვიდრთა ერთ
ნაწილი სცდილობს შესწყვიტოს ის საკონსტიტუციო
კავშირი, რომელიც ინგლისსა და ირლანდიას აერთებს“.
შემდეგ მინისტრი ეხება იმ პირებს, რომელნიც ჰბედავე

ლექვი შეიტანონ ამ კავშირის სასურველობაზე, და განაგრძობს ეგრე: „პარლამენტის დაუყოვნებლივ დათხოვა მოხერხებულ შემთხვევას აძლევს ინგლისის ერს, აირჩიოს გზა, რომელსაც დიდი გავლენა ექნება ინგლისის რომავალ განვითარებაზე და ბედზე“. წერილის ბოლოს ვიკონსფილდი გამოსთქვამს იმედს, რომ ახალი პარლამენტი ღირსი იქნება ინგლისის ძლიერებისა და მტკიცედ დაეუდგება ამ ძლიერებ-ს დაცვის საქმეს.

საკმარისია ციფრების თვალის გადავლება, რომ დაინახოთ, თუ რა საშინლად დამარცხდნენ კონსერვატორები ამ არჩევნებში. დათხოვნილ პარლამენტში იყო 51 კონსერვატორი, 350 ლიბერალი და 51 ირლანდიელი; ახლად არჩეულ პარლამენტში კი 243 კონსერვატორი, 349 ლიბერალი და 60 ირლანდიელი. ბიკონსფილდი გადადგა და ახალ სამინისტროს შედგენა მიანდვეს ლიბერალების მოთავეს გლადსტონს.

1880 წელს არჩევნებმა ცხადად დაანახვა ყველას, რომ პარნელის გავლენა და ძალა შესანიშნავად გაზრდილიყო. იგი აირჩიეს სამ ოლქში; ეს ცოტაა: აირჩიეს ორედვე ყველა მისი კანდიდატები. 60 ირლანდიელ დეპუტატთაგან 30 ნამდვილი პარნელიტები იყვნენ (დანარჩენებს ჯერ კიდევ არ გადაეწყვიტათ, განეგრძოთ თუ ინგლისის პოლიტიკა, თუ პარნელს მიმხრობოდნენ). პარნელის გავლენა მის მომხრეებზე უსაზღვრო იყო; ის პირები, ვინც პარნელს პირადად იცნობდნენ, ამბობენ, რომ ეს გავლენა უმაგალითოა პარლამენტის ისტორიაში. კერძო ცხოვრებაში პარნელი მიუკარებელი იყო:

ვერც ერთი მისი მომხრე ვერ ჰბედავდა კერძო ცხოვ
რებაში მასთან დაახლოვებას; პარნელი კმაყოფილი იყო
თავისივე საზოგადოებით და მეგობრებს არ ეძებდა; ამი-
თი იგი ჰგავდა ბაირონს, რომელთანაც მას ბევრი სხვ-
მსგავსებაც ჰქონდა, როგორც ხასიათით, ისე ტემპერა
მენტითაც.

მთელი ირლანდია თანაუგრძნობდა მას; მისი პარ
ტია, რომელიც გაცილებით სჯობდა წინანდელ ჰომრუ-
ლიორების ჯგუფს, მტკიცე დისციპლინის მორჩილი და
მეთაურის სრული გამგონე იყო. ამ პირობებში პარნელს.
ცხადია, არ გაუჭირდებოდა ბრძოლის დაწყება; მაგრამ
იგი ჯერ გაჩერდა. რასაკვირველია, ისეთ ღრმა სკეპტიკს,
როგორიც პარნელი იყო, იმედი არ ჰქონებია, რომ
ლიბერალური სამინისტრო დააკმაყოფილებდა ირლანდიე-
ლების ყველა მოთხოვნილებას; ეს იმედი არ ყოფილა
მისი გაჩერების მიზეზი; მას უნდოდა დაენახვებინა მთე-
ლის ქვეყნისათვის, რომ ახალ ომის მიზეზი პარნელი კი არა,
გლადსტონია. ამისათვის საჭირო იყო ირლანდიელების
მოთხოვნათა წარდგენა და მთავრობის შეხედულების სა-
ჯაროდ გამოთქმა. წინედ გლადსტონს ირლანდიისათვის
ბევრი კარგი გაუკეთებია: მოსპო ანგლიკანურ ეკლე-
სიის სასარგებლოდ არსებული გადასახადი, შეამსუბუ-
ქა ფერმერების მდგომარეობა, არა ერთხელ წინააღმდე-
გობა გაუწევია ირლანდიაში განსაკუთრებულ ზომების
მემოღებისათვის. ეხლაც იმედი იყო, რომ პალიატივურ
ზომებს შემოიღებდა, მაგრამ პარნელს უნდოდა, ან ყვე-
ლაფერი ყოფილიყო ან სულ არაფერი.

გლადსტონის კაბინეტმა შეპირებით დაიწყო: დაჰ-

ვირდნენ „საადგილ-მამულო ლიგის“ ზოგიერთ მოთხოვ-
ნათა სისრულეში მოყვანას; მაგრამ დაპირება ცარიელ
დაპირებად დარჩა. სამინისტროს წევრმა გარინგტონმა
განაცხადა, რომ საქმე რეფორმები კი არ არის, არამედ
ირლანდიელ საქმეების კარგად გაცნობა; ეხლანდელ სა-
მინისტროს საზრუნავი რეფორმები კი არ არის, არამედ
დანიშვნა კომისიისა, რომელმაც უნდა დაიმუშაოს ფაქ-
ტიური მასალაო. პარნელის აზრით კი, რამდენიმე ათი
ათასი შიმშილით დახოცილი ირლანდიელი უცხადესს
ფაქტიურ მასალას წარმოადგენდა; მისის შეხედულებით,
სანამ კომისია კვლევა-ძიებაში იქნებოდა, ეს ფაქ-
ტიური მასალა ისე გაიზრდებოდა, რომ მისი გარჩევი-
სათვის ერთობ დიდი შრომა იქნებოდა საჭირო; ამიტო-
მაც პარნელმა პირდაპირ გამოაცხადა პარლამენტშიაც
და ირლანდიაშიაც, რომ გარინგტონი და გლადსტონი
ისეთივე მტრები არიან ირლანდიისა, როგორც ბიკონს-
ფილდი, მათი იმედი ირლანდიელებს არ უნდა ჰქონდეთ,
და ამიტომაც საჭიროა ბრძოლის განგრძობაო.

ახალმა სამინისტრომ ირლანდიის გამგებლად დანიშ-
ნა ფორსტერი, რომელიც ვითომ და განწყობილი იყო
ირლანდიისადმი. ირლანდიელ პარტიის ზოგიერთი წევ-
რები, რომელნიც ჯერ კიდევ ბიუტის აზრების მიმდე-
ვარნი იყვნენ, აღტაცებით მიეგებნენ ამ განკარგულებას.
პარნელი კი უყურებდა ამ ზომას როგორც ხერხს, რო-
მელიც სასარგებლო იყო მთავრობისათვის და სრულე-
ბით უსარგებლო პარტიისათვის და ქვეყნისათვის.

თუ ყურადღებით დავაკვირდებით პარნელის კარიე-
რას, დავინახავთ, რომ იგი ყოველთვის ასე იქცეოდა

როცა რომელიმე სამინისტრო მოინდომებდა მის დაახ
ლოვებას და ამ მიზნისათვის ზოგიერთ წვრილმან რამე
ში დააკმაყოფილებდა ირლანდიელების მოთხოვნას, იგ
უფრო მტკიცედ და სასტიკად ადგა თავის პროგრამას დ
იოტის ოდენასაც არ დაუთმობდა მთავრობას. ეხლაც
ეგრე იყო. იწყებოდა ბრძოლა ხანგრძლივი და მოუსვე
ნებელი, რომელიც წინანდელზე უფრო ძნელი იქნებო
და, რადგანაც 80-იან წლებში გლადსტონი ერის ნან
დვილ უმრავლესობის წარმომადგენელი იყო და არ
მხოლოდ ოფიციალური პრემიერი (მთავარი მინისტრი)
მაგრამ სანამ ბრძოლას დაიწყებდა, პარნელს ირლანდია
ში ჰქონდა მოსაწყობი პარტიის საქმეები.

იმ სოციალურ ძალთა შორის, რომელნიც ირლან
დიაში მოქმედებდნენ და ინგლისურ ელემენტს ებრძოდ
ნენ, თვალსაჩინო ადგილი ეჭირა ყოველთვის კათოლი
კე სასულიერო წოდებას. ეს სასულიერო წოდება იმ თა
ვითვე ოპოზიციას ეკუთვნოდა. ირლანდიელებმა ბრი
ტანელებზე ადრე მიიღეს ქრისტიანობა და, მიუხედავად
სარწმუნოების ერთობისა, დამოკიდებულება ორივე ქვეყ
ნის სამღვდელოებათა ყოველთვის მტრული იყო. ა
მოვლენის მიზეზთა შორის არა მცირედი ადგილი ეჭირ
რასებრივ სხვა-და-სხვაობას და აგრეთვე იმ გარემოებას
რომ ირლანდიელთა ეკლესია უძველესი იყო, რითა
აქაურ სამღვდელოებას დიდად მოჰქონდა თავი. მეთორ
მეტე საუკუნეში, როცა ინგლისელები ირლანდიის დ
პყრობას შეუდგნენ, კათოლიკე სამღვდელოება დიდ მო
ნაწილეობას იღებდა ეროვნულ თავის დაცვაში. მეთექვ
მეტე საუკუნეში ტიუდორების დროს, და მეჩვიდმეტეში

პირველ სტიუარტებისა და რესპუბლიკის დროს, ირლანდიელი კლირიკები (სამღვდელოება) იბრძოდნენ არა მარტო ეროვნებისათვის, არამედ კატოლიციზმისათვისაც, რადგანაც იგი დიდ საშიშროებაში იყო ანგლიკანურ და პურიტანულ ეკლესიებისაგან. მე-XVII-ე საუკუნის ბოლოდან სასულიერო წოდება ყოველთვის პროტესტს აცხადებდა იმ გადასახადის წინააღმდეგ, რომელიც ირლანდიელებს უნდა ეხადნათ ანგლიკანურ ეკლესიის სასარგებლოდ, და „ტესტ-აკტის“ წინააღმდეგ, რომლის ძალით ირლანდიელი ვერ შევიდოდა სახელმწიფო სამსახურში. კლირისათვის ერის დაჩაგვრა და კატოლიციზმის დევნა ერთი იყო; ამიტომაც ირლანდიელი სასულიერო წოდება ირლანდიის განთავისუფლების ენერგიული მქადაგებელი იყო და ინგლისელებთან ბრძოლას უყურებდა, როგორც სარწმუნოებრივ ღვაწლს. თუმ გვარი იყო ადგილობრივ კლირის მიმართულება, რომი მას მხარს არ აძლევდა. მართალია, ჰომრულიორეების მოწინააღმდეგენი ამბობდნენ, რომ ირლანდიელები ჰომრულს კი არა, რომრ-ულს (რომის მართებლობას, ადმინისტრაციას) იმზადებენო, მაგრამ ეს კალამბურია, როგორ-ელსაც სინამდვილესთან არა აქვს-რა საერთო. პაპი ლეო მე-XIII-ე „საადგილ მამულო ლიგის“ მოქმედების წინააღმდეგი იყო და მოსალოდნელი იყო, რომ 1880-ში სასულიერო წოდების ერთი ნაწილი გადაუდგებოდა ლიგისა და ჰომრულის საქმეს.

გარდა ამისა, თუ სასულიერო წოდება ბევრს იძლეოდა და მეტად სასარგებლო იყო საქმისათვის, მოსალოდნელი იყო, რომ იგი ბევრსაც მოითხოვდა და

სწოდედ ამის შიში ჰქონდა ირლანდიელების მოწინავე დასს. პარნელის მიმდევარნია შორის კლირიკებიც იყვნენ და ანტიკლერიკალებიც. პარნელის აზრით, სანამ უმთავრესი მიზანი მიუღწეველი იყო, ერთმანერთში ბრძოლის ატეხა უაზრობა იქნებოდა და ამიტომაც გადასწყვიტა ეხმარა მთელი თავისი ძალ-ღონე და დაეჯერებია კლირი და თავისუფალი მოაზრეები, რომ დაევიწყათ დროებით თავიანთი უთანხმოება და ხსომებოდათ მარტო ჰომრული და „საადგილ-მამულო ლიგის“ პროგრამა. პარნელის 1880 წლის ირლანდიაში მოგზაურობას ჰქონდა მიზნად ეს ორი საქმე: გაჩერება კლირის იმ ნაწილისა, რომელიც ააღელვა პაპის შეხედულობამ „საადგილ-მამულო ლიგის“ შესახებ და ჰომრულიოორთა ხსვა-და-ხსვა ფრაქციის შეთანხმება. მიაღწია კიდეც პარნელმა თავის მიზანს. ყველა კარგად შეხვდა მას: კათოლიკე სამღვდელოება მხურვალედ ლოცულობდა მისთვის (თუმცა პარნელი პროტესტანტი იყო); ირლანდიელების მოწინავე დასს ჭეშმარიტებად მიაჩნდა ყოველი მისი სიტყვა.

ამ მოგზაურობამ ერთხელ კიდევ დაანახვა ინგლისის მთავრობას და პარნელის არა-მომხრე ირლანდიელ დეპუტატებს, რომ მხოლოდ პარნელისმია ის პოლიტიკა, რომელიც სწამს და აღრჩევია ირლანდიის ერს.

გაზაფხულის საპარლამენტო სესია გათავდა გლადსტონისა და პარნელის აშკარა დაშორებით. პარნელი ამბობდა, რომ მალე ობსტრუქცია დაიწყებს თავის მოქმედებასო. როცა ეს მუქარა პრემიერმა გაიგონა, საჯაროდ გამოაცხადა: „პარნელი ახალგაზდაა, მე კი მოხუ-

ეკი; მაგრამ თუ ეს კამათი გაჭიანურდა, ინანებს ის, და
ფრა მე"-ო როგორც კი სესია გათავდა, პარნელი
ირლანდიაში წავიდა.

V

პარნელის მოღვაწეობის გარეგანი მხარე უნებურად
ლასალის მოკლე ხნის კარიერას მოგაგონებთ. განსაკუთ-
რებით ერთი მსგავსებაა თვალში მოსახვედრი: მოულოდ-
ნელი, საკვირველი მოგება ხალხის გულისა. ის ღრმა,
თავდაპირველად უმოტივო რწმენა და სიყვარული, რო-
ელმაც 1862 წელს ფეხზე დააყენა გერმანელი აგიტა-
ტორი, 1880 წელში წილად ხვდა პარნელს. არც გრა-
ტამს, არც ო'კონელს არ შეუძენია ხალხის ასეთი რწმე-
ნა. დიადი იყო ოვაციები, რომელიც პარნელს გაუკე-
თეს 1878 წ. ირლანდიაში და 1880 წ. ამერიკაში; მაგ-
რამ 1880 წლის ზაფხულის მოგზაურობამ სრულებით
აჩრდილა ისინი პარნელისავე სიტყვით. ამისთანა დახ-
ედრით თვით მეფეც კი კმაყოფილი იქნებოდა.

კორკში ნამდვილი აპოთეოზი გაუკეთეს პარნელს.
ალხის ბრბო, რომელიც ასიათასზე მეტი კაცისაგან შე-
დგებოდა, გარს ეხვია პარნელს და იმ სახლს, სადაც
ი გაჩერებული იყო; როგორც კი გამოჩნდებოდა პარ-
ელი, ვაშა-ვაშას ძახილსა და ტაშის ცემას საზღვარი
არა ჰქონდა; გატაცებული ეგებებოდნენ ყოველ მის სი-
ყვას; ანთებულ ჩირაღდნებით მისდევდნენ უკან მისს
ტლს; უგზავნიდნენ სხვა-და-სხვა დეპუტატებს, რომელ-
აც სულ ერთსა და იმავეს აბარებდნენ: „გადაეცით პარ-

ნელს, როგორ უყვარს იგი ირლანდიას და როგორ
რწმენა აქვს მისი". სხვას პარნელის ადგილას თავ-ბრუ
დაეხვეოდა ამ გვარ აღტაცებულის დახვედრით, და ვინ
იცის, რას არ ჩაიდენდა; პარნელი კი ისევე აღუშფოთე
ბელი, მტკიცე, გაბედვით და უბრალოდ მოლაპარაკ
იყო, როგორც წინად. რამდენჯერმე უთქვამს პარნელს
თავის თანამგზავრებისათვის, რომ იმ ცოტასთვის, რაც
მას აქამდე გაუკეთებია, ეს ოვაციები მეტად დიდი ჯილ
დო არისო. კლირი, ანტიკლერიკალები, რესპუბლიკე
ლები და სხვა ფრაქციები ერთ სულ და ერთ ხორც ხდე
ბოდნენ, როგორც კი პარნელი გამოჩნდებოდა.

სხვათა შორის, პარნელს აზრად ჰქონდა აეცილე
ბინა სარევოლიუციო გზას რამდენიმე გატაცებულ
ახალგაზდა პარნელიტი და მოახერხა კიდეც. საკმარისი
საიდუმლო პოლიციის აგენტის—ტომას ბიჩის—მემუარ
ბის წაკითხვა იმის დასანახავად, თუ რამდენად მოუ
ლოდნელი და გაუგებარი იყო გარეშე პირთათვის მხურ
ვალე რევოლიუციონერების თავდაჭერილ კონსტიტუ
ციონალისტებად გარდაქმნა. ფენიები თავის გზას ად
ნენ, მაგრამ პარნელის საზრუნავს ეს ხომ არ შეადგენ
და; მისი სურვილი იყო, რომ ლეგალური პირები, რო
მელთაც ერთ დროს პარლამენტის წევრობა შეეძლოთ
არ გარეოდნენ მათ საქმეში. ზაფხულის ბოლოს პარნ
ელი ლონდონში დაბრუნდა და მიიღო მონაწილეობა პარლ
მენტის საქმეებში. ეხლა პარნელი მარტო ერთი ოლქის წა
მომადგენელი როდი იყო, არამედ მთელის ირლანდიისა. სამ
ინისტრო მზად უნდა ყოფილიყო სასტიკ ბრძოლისათვის.

27 აგვისტოს უნდა გაერჩიათ სამინისტროს პრ

ექტი ირლანდიის პოლიციისათვის საჭირო ფულების შე-
ტანებ. სხდომა დაიწყო სამშაბათს ნაშუადღევის ოთხ სა-
ათზე და გათავდა ოთხშაბათს ნაშუადღევის პირველ სა-
ათზე. 21 საათის განმავლობაში პარნელი და მისი მომ-
ხრეები პარლამენტს კენჭის ყრის ნებას არ აძლევდნენ.
ბოლოს იქამდე მივიდა, რომ პარნელიტებმა (სულ 28 კა-
ცი იყო) პირდაპირ შემდეგი წინადადება მისცეს გლად-
სტონს, რომელსაც თანაუგრძნობდა პარლამენტის დიდი
ნაწილი: პოლიციელთა რიცხვი შემოკლებულ უნდა
იქმნას; პოლიციელს უფლება არ უნდა ჰქონდეს დაეხმაროს
ფერმერს ფერმერის განდევნაში მაშინაც-კი, როცა
ფერმერი ნებით არ მიდის; თუ ეს პირობები მიღებულ იქ-
ნება, პარნელი თანახმაა კენჭის ყრის ნება მისცეს პარ-
ლამენტს, si no—no (თუ არა—არა). ამ პირობების მი-
ღება გლადსტონს არ უნდოდა და სხდომა აღარ თავდე-
ბოდა. რაზედ არ ლაპარაკობდნენ ამ სხდომაზე პარნე-
ლიტები! იქამდე მივიდნენ, რომ წიგნების კითხვაც კი
დაიწყეს. ბოლოს სხდომა გადადებულ იქნა.

ამის შემდეგ, რასაკვირველია, იმედი აღარ იყო,
რომ ინგლისის მთავრობას დაეკმაყოფილებინა „საადგილ-
მამულო ლიგის“ სურვილები. პარნელი ამ სხდომის შემ-
დეგ ირლანდიაში წავიდა ახალის პაროლის (mot d' ordre)
საცემად. 19 სექტემბერს მან წარმოსთქვა ენისში
სიტყვა, რომელიც ეპოქას შეადგენს ირლანდიის ბრძო-
ლის ისტორიაში. იგი ამბობდა, რომ ირლანდიელ ფერ
მერების მთელი ყურადღება და ძალ-ღონე უნდა მოხ-
მარდეს განსაზღვრულ უფლებების შეძენას მიწაზეო; პარ-
ნელი უმტკიცებდა იქ შეკრებილ ხალხს, რომ ამ მიზ-

ნის მიღწევა შეიძლება მხოლოდ ერთის საშუალებით; ლენდ-ლორდი, რომელმაც ფერმერის განდევნა გაჰბედა, უნდა იქნეს ჩიყენებული იმისთანა მდგომარეობაში, რომ არ იცოდეს, რა ჰქნას: არც ერთმა ირლანდიელმა არ უნდა აიღოს იჯარით ის ადგილი, საიდანაც ლენდ-ლორდმა ფერმერი განდევნა; თუ ეს ასე მოხდება, მაშინ მებატონეები უფრო ფრთხილად იქნებიან. „თუ თქვენ არ მისცემთ მებატონეს აწეულ იჯარის ფასს, თუ თქვენ არ დაიკავებთ იმ ფერმას, საიდანაც თქვენი მოძმე განდევნეს, მაშინ აგრარული კითხვა გადაწყდება და გადაწყდება ჩვენდა სასარგებლოდ. როგორც ჰხედავთ, საქმის გადაწყვეტა თქვენ ხელთ არის. ვერც კომისიები და ვერც მთავრობა ვერ შეგეწევათ... მაგრამ როგორ უნდა მოექცეთ თქვენ იმ კაცს, რომელიც დაიკავებს ფერმას, საიდანაც ლენდ-ლორდმა წინანდელი ფერმერი განდევნა?“

— მოვკლათ იგი,—იგრიალა საპასუხოდ მსმენელებმა.—„არა, მე თქვენ გიჩვენებთ უკეთეს, უფრო ქრისტიანულ გზას, რომელიც შეძლებას მისცემს დამნაშავეს გასწორდეს. ვინც დაიჭერს ფერმას, საიდანაც გადგდეს წინანდელი ფერმერი, ნუ მიეკარებით მას, სადაც უნდა იყოს: დიდ გზაზე, თუ ქალაქის ქუჩებზე, დუქანში თუ ეკლესიაში; ყველგან მარტო უნდა იყოს იგი. უნდა მოშორდეს საზოგადოებას, როგორც გადამდებ სენით ავადმყოფი; თქვენ მას ზიზღით უნდა უყურებდეთ“.

პარნელის სიტყვები მომზადებულ ნიადაგზე დაეცენ. ირლანდიელები საშინლად იტანჯებოდნენ ფერმებიდან განდევნით; თვით გლადსტონის სიტყვით, 1880

ელს ლენდ-ლორდებმა 15 ათასი ცოცხალი სული გა-
ორეკეს ქუჩაზე. როგორც ვხედავთ, გლადსტონი უარს
არ ჰყოფდა ირლანდიის ავადმყოფობას, მაგრამ მისის შე-
ედეულებით, წამალი ამ ავადმყოფობისა საპარლამენტო
ომისია იყო, პარნელის აზრით კი, უფრო საიმედო იყო
ლენდ-ლორდების უარენდატოროდ დატოვება. ვინც ასე
ოუ ისე მებატონის მხარეს დაიჭერდა, მას საზოგადოე-
ის წყრომა და შეჩვენება უნდა რგებოდა წილად.

პარნელის სიტყვის გავლენამ მალე იჩინა თავი.
ლაუმესკში (ირლანდიაში) სცხოვრობდა ერთი ინგლისე-
ული კაპიტანი ბოიკოტი, რომელსაც იჯარით ჰქონდა
�deული ერთი ფერმა ლორდ ირნის მამულში და რო-
ელიც ამასთანავე ამ ლორდის აგენტი იყო. იმასთან
ოვიდნენ ერთხელ ირნის ყველა ფერმერები და ითხოვ-
ნენ იჯარის ფასის დაკლებას; ბოიკოტი არ დასთანხმდა
ა, სასამართლოს წესით, ფერმერების განდევნის საქ-
ეს შეუდგა. თანახმად პარნელის დარიგებისა, ფერმე-
ებმა შეჰკრეს პირი და ბოიკოტი შეაჩვენეს; ყველა
ოსამსახურეებმა და მუშებმა დაანებეს მას თავი; გასწ-
ვიტეს მასთან ყოველივე კავშირი, და, რადგანაც იგი
ოველ წუთს თავდასხმას მოელოდა, მთავრობამ ჯარი
ამოგზავნა მის დასაცველად. ბოლოს ბოიკოტი იძულე-
ული შეიქნა გადასახლებულიყო ინგლისში. ამის შემ-
ეგ პარნელის მიერ ნაჩვენებ ბრძოლის საშუალებას
„ბოიკოტი“ დაერქვა სახელად. ბოიკოტს, როგორც
ეგალურ საშუალებას, დიდი ძალა ჰქონდა იმ დროებ-
ი, და პარნელი მიუხედავად იმისა, თუ როგორ უყუ-
ებდა იგი ფენიებს, ყოველთვის იმის მაცადინი იყო,

ბოიკოტის განმხორციელებელნი კანონიერ გზას არ გ
დასდგომოდნენ და ძალ-მომრეობა არ დაეწყოთ. პარნ
ლიცა და მისი მომხრეებიც ყოველთვის სიფრთხილე
ურჩევდნენ ირლანდიელებს, ყოველთვის ახსენებდნ
მათ, რომ მებოიკოტები და ფენიები სხვა და-სხვა გზა
ადგანან და ფენიებისაგან მაგალითის აღება მეტი იქნ
ბოდა.

მიუხედავად ამისა, მთავრობა დაწყნარებული ვ
უყურებდა ირლანდიის საქმეების ამ გვარ მიმდინარეო
ბას. პარნელის აგიტაცია, ბოიკოტის გახშირება, ფენი
ბის მოძრაობის განცხოველება,—ყველა ეს დაკავშირ
ბული ეჩვენებოდა ინგლისის საზოგადოებას. საზოგადო
ბის შეშფოთებული აზრი თხოულობდა მთავრობისაგ
განსაკუთრებულ ზომებს პარნელისა და ირლანდიის წ
ნააღმდეგ. გლადსტონმაც გადასწყვიტა: 1) პარნელ
სამართალში მიცემა და 2) პალატაში ირლანდიის „დ
მშვიდების ბილის“ შემოტანა.

ოქტომბერში დააპატიმრეს პარნელის მდივანი გ
ლი, რადგანაც იგი ერთს თავის სიტყვაში ამართლებ
ფენიების მოქმედებას. 2 ნოემბერს დაიწყო „შეთქმ
ლების“ საქმის გამოძიება; შეთქმულებაში უნდა მი
ღოთ მონაწილეობა თვით პარნელს, დილონს, ბიგგარ
სიულივანს, სექსტონს (ყველა პარნელიტებია). ამ სა
მის დაწყება შეცდომა იყო მთავრობის მხრივ, რადგანა
პარნელი იმდენად თავ-ჯაჭერილი და ფრთხილი კაც
იყო, რომ მისი ამისთანაებში დაჭერა შეუძლებელი იყ
პარნელი ხშირად მისულა თავის მოღვაწეობაში იმ ხ

ამდე, რომელიც კანონიერს არა კანონიერისაგან ჰყოფს, მაგრამ არასოდეს არ გადასცილებია მას.

24 იანვარს 1881 წ. ნაფიც მსაჯულებმა ვერ იპოვეს დანაშაული ბრალდებულთა მოქმედებაში და გაამართლეს ისინი. გამართლებული დეპუტატები დამშვიდებულის გულით დაუბრუნდნენ პარლამენტის საქმეებს. ამორეგ ამათი გამართლების დღეს ირლანდიის გამგელმა ფორსტერმა (რომლის დანიშვნა ეგრე უხაროდა ოგიერთ ირლანდიელს) შემოიტანა პალატაში კანონპროექტი შესახებ იმ ზომებისა, რომელთა შემოღება, ფორსტერის აზრით, აუცილებელი იყო აღელვებულ ქვეყნის დასამშვიდებლად.

როგორც პარნელისმი, ისე ფენიების მოძრაობაც ერთ და იმავე პოლიტიკურ და ეკონომიურ ნიადაგზე ალიზარდნენ და ერთმანერთს შესამჩნევ ზნეობრივ დახმარებას უწევდნენ. ჰომრულიორები არასოდეს არ ყოფილან ისეთ რადიკალურ მიმართულებისა, როგორც ფენიელა, და არც ფენიების მოძრაობა ასე განცხოველებული და სისტემატიური. პარნელის მიერ დაწყებული ბრძოლა იყო ბრძოლა á outrance (უკიდურესობამდე); ფენიელი ირლანდიის ერი უნდა ჩარეოდა ამ ბრძოლაში. ვისაც შეუძლია პარლამენტის წევრობა, პარლამენტში ბრძოლოვიდეს; ვისაც არ შეუძლია, ბოიკოტი გამოუცხადოს მოღალატეებს და დემონსტრაციებში მონაწილეობა მიიღოს; ვისაც სურვილი აქვს თავისი ძალა პირდაპირ ბრძოლ-ახდილ ომს მოახმაროს, იომოს". აი ლოზუნგი, ... მელიც პარნელმა ირლანდიას მისცა. მარტო პარნელს დროს იგრძნეს ფენიებმა, რომ ისინიც ჰომრულიო-

რების ჯარის ნაწილს შეადგენდენ და, შეიძლება, ეს გა-
რემოება იყო ერთ-ერთი მიზეზი ფენიების მოძრაობის ა-
ხანებში განცხოველებისა. უმთავრესი მიზეზი კი ხში-
შიმშილობაში, ხალხის გაღატაკებაში და მის სიბრაზეში
უნდა ვეძიოთ. აგრარულ დანაშაულობათა რიცხვი 188
წელს მეტად დიდი იყო და ირლანდიის გამგებელმა ფორს-
ტერმა მდიდარი სტატისტიკური მასალა წამოაყენა თავის
კანონ-პროექტის დასასაბუთებლად. საქმე პარლამენტში
იმით დაიწყო, რომ 6 იანვარს 1881 წელს ლორდ
კანცლერმა წაიკითხა დედოფლის სეფე-სიტყვა, რომელ-
შიაც სხვათა შორის ნათქვამი იყო: „...საუბედურო
მოვალე ვარ გამცნოთ, რომ ირლანდიის მდგომარეობა
საშიში ხასიათი მიიღო. აგრარულ დანაშარლობათა რიცხ-
ვი შესამჩნევად გაიზარდა. კუნძულის სხვა-და-სხვა ადგი-
ლებში გამეფდა ტერორის ვრცელი სისტემა“... სიტყვის
ბოლოში ნათქვამი იყო, რომ აუცილებელი საჭიროება
ირლანდიაში ახალ-საკანონ-მდებლო ზომების შემოღებაა.

სიტყვის წაკითხვა სათანავე დაიწყეს საპასუხო ადრეს-
სების გარჩევა, რომელმაც, პარნელიტების ობსტრუქ-
ციის მიზეზით, მთელი ორი კვირა გასტანა. მხოლოდ 2
იანვარს შემოიტანა პალატაში ფორსტერმა თავისი კა-
ნონ-პროექტი „ირლანდიაში პიროვნებისა და საკუთრე-
ბის დაცვის შესახებ“. ფორსტერმა განაცხადა, რომ 188
წელს აგრარულ და სხვა ბოროტ-მოქმედებათა (ლენდ-ლორ-
დების მკვლელობა, ცეცხლის წაკიდება, ლენდ-ლორდ-
ბის სახლებზე დაცემა) რიცხვი ავიდა 2,500-მდე. ეს ცო-
ტაა, არასოდეს არ მომხდარა ამდენი დანაშაულობა ირლან-
დიაში; ესეც ცოტაა, უკანასკნელ სამ თვეში—ოქტო-

ერში, ნოემბერში და დეკემბერში მოხდა მეტი ბო-
ოტ-მოქმედება, ვიდრე იანვრიდან ოქტომბრამდე. მაგ-
ამ ესეც არ კმარა: დეკემბერში მოხდა მეტი დანაშაუ-
ლობა, ვიდრე ოქტომბერში და ნოემბერში ერთად. საქ-
ის ამ გვარი მიმდინარეობა შეუძლებელია! ციფრები ამ-
ტკიცებენ, რომ აგრარულ დანაშაულობათა რიცხვი სა-
ბერაარის სისწრაფით იზრდება. ფორსტერი, ირლანდიის
ამგებელი, დიდი ხანია შეუდგა ამ მოვლენის მიზეზების
ებას და გამონახა კიდეც აგრარულ ბოროტ-მოქმედე-
ანი პირდაპირი შედეგია იმ რჩევისა, რომელიც მისტერ
არნელმა მისცა ირლანდიელებს ენისში წარმოთქმულ
ტყვაში: ებრძოლეთ ლენდ-ლორდებს და განდევნეთ
აზოგადოებიდან ყველა, ვინც კი არენდატორის გაგდე-
ის შემდეგ დაიჭერს ფერმასო. ნამდვილ კანონების მა-
ერ ირლანდიაში გამეფდნენ აგრარულ ლიგის და მისი
ავმჯდომარის — პარნელის — დაუწერელი კანონები; ამი-
ომ ფორსტერის აზრით, საჭიროა ძველის წესების შე-
ოლება და ირლანდიის გამგებლის უფლებების გადიდე-
ა. გამგებელს უნდა შეეძლოს დატუსაღება ყოველ
ეცხოელისა, თუ იგი საჭირო დოკუმენტებს ვერ წარ-
ოადგენს, აგრეთვე ყოველ იმ პირისა, რომელსაც საეჭ-
ო გარემოებებში და პირობებში მიასწრებენ. გარდა
მისა, გამგებელს უნდა ჰქონდეს უფლება შეაჩეროს
habeas corpus"-ის მოქმედება იმ ადგილებში, სადაც ეს
�ის შეხედულებით საჭირო ინნება.

პარნელი და მისი ამხანაგები წინააღუდგნენ ბილს.
4 იანვრის სხდომამ უნაყოფოდ ჩაიარა და კითხვა გა-
ადებულ იქნა 27 იანვრისათვის. 27 იანვარს სხდომა

გაგრძელდა მთელი 15 საათი, მაგრამ პარნელის მიზე-
ზით კითხვა ისევ კითხვად დარჩა. ბოლოს წამოდგა გლად-
სტონი და წარმოსთქვა გრძელი სიტყვა, რომელშიაც
იგი საშინელის აღელვებით ბრალს სდებდა პარნელს, რო-
მან ენისში წარმოთქმულ სიტყვით ააღელვა ხალხი დ
გაუღვიძა მას გულისთქმანი. პარნელი ყოველს წამ
უწყვეტდა სიტყვას ორატორს და ბრალს სდებდა მას,
რომ იგი ასხვაფერებს მის სიტყვას. დეპუტატებმა წეს
რიგის აღდგენა მოსთხოვეს სპიკერს; სპიკერი შენიშვნა
აძლევს პარნელს, რომ სხვისი სიტყვის გაწყვეტა აღკრ
ძალულია კანონით. პარნელმა ყურადღებაც არ მიაქცი
სპიკერის შენიშვნას, იგი წინანდებურად უშლიდა გლად
სტონს ლაპარაკს. გლადსტონს თან და თან მეტი მღელ
ვარება ეტყობოდა. „აგრარულ ლიგის მოქმედებასო —
ამბობდა იგი, — პირდაპირი დამოკიდებულება აქვს აგრ
რულ ბოროტ-მოქმედებებთან. 1879 წელს ლიგას ცო
ტა სხდომები ჰქონდა და ამ წელში ბოროტ-მოქმედება
ცოტა მოხდა; 1880 წელს მიტინგებიც ბევრი მოხდა
და ბოროტ-მოქმედებამაც შესამჩნევად იმატა“. ამ დრო
პარნელიტმა ო'გილიმ მიაძახა ორატორს: „რამდენი გა
დევნეს 1880 წელს? ცოტა თუ ბევრი?“ პარნელიტე
არსებითს კამათს არ უწევდნენ სამინისტროს. პარნელ
აზრით სანამ გლადსტონი ჰომრულისა და აგრარულ ლ
გის მოთხოვნათა წინააღმდეგი იქნებოდა, ისინი ერთ
ნეთისას ვერას გაიგებდნენ. ამიტომაც იგი მხოლოდ ხე
უშლიდა ბილის მიღებას. 32 საათის გაცხარებულ
მათის შემდეგ ფორსტერის პროექტის ახალი განხილ
გადადვეს 31 იანვრისათვის.

31 იანვრის უმაგალითო სხდომა დაიწყო იმითი, რომ ლიბერალურ პარტიის ერთი ნაწილი გადაუდგა ბლადსტონს და წინააღუდგა ფორსტერის ბილს. ცოტა ხნის კამათის შემდეგ დაიწყო ობსტრუქცია. პარნელი ახალ-ახალ კითხვებს იგონებდა, რომ რამე ნაირად შეეჩერებია ბილის განხილვა: დაწვრილებით მოუყვა პარლამენტს ირლანდიის ისტორიას; ლაპარაკობდა ისეთ საგნებზე, რომლებსაც სრულებით არაფერი კავშირი ექონდა წარმოდგენილ ბილთან; განზრახ ეკამათებოდა თავისსავე ამხანაგებს; უშლიდა სხვას ლაპარაკს, ხელ-ხლავ გაამეორებიებდა მთელს სიტყვას. ბოლოს პარნელმა ამოაცხადა, რომ ყველა პარნელიტი (30) თითო სიტყვას არმოსთქვამსო.

გაიარა ორშაბათმა (31 იანვ.), სამშაბათმა, ბოლოს ოთხშიბათს ორ თებერვალს, 41 საათის განუწყვეტელ სხდომის შემდეგ წამოდგა სპიკერი და მოახდინა ცნობილი coup d'etat. მან განაცხადა, რომ პარნელი და მისი მომხრეები განზრახ აჭიანურებენ სხდომას, რომ ამითი ისინი შეურაცხყოფენ პარლამენტს, რომ უმრავლესობა ბილის მომხრეა და ამიტომაც მას შემოაქვს წინადადება ბლავე შეუდგნენ კენჭის ყრას. კონსერვატორები და ლიბერალებიც დიდის ტაშის ცემით მიეგებნენ ამ სიტყვას; ირლანდიელები კი გაოცდნენ, — ისინი სრულებით ვერ მოელოდნენ საქმის ამ გვარად დატრიალებას. სპიკერის წინადადება მიღებულ იქნა. ცეცხლ-მოკიდებული ირლანდიელები მოკუმულ მუშტებით ემუქრებოდნენ პარლამენტს. შემოვიდა მკვდარსავით გაფითრებული გლადსტონი და დაჯდა სამინისტრო სკამზე. ვინ იცის, რას არ

ჩაიდენდნენ. გაბრაზებული ირლანდიელები, რომ პარნელი არ მიშველებოდა. პარლამენტში დარჩენას აზრი აღარ ჰქონდა: მან დაამშვიდა თავისი ამხანაგები და მათთან ერთად გამოვიდა სხდომის ზალიდან. ფორსტერის ბილი ერთხმად იქმნა პირველად მიღებული.

ბილის მეორე წაკითხვა დანიშნეს 3 თებერვალისათვის. ინგლისელებზე წარსულმა სხდომამ მოახდინა დიდი მაგრამ მასთან გამოურკვეველი შთაბეჭდილება. ინგლისელები ერთობ უფრთხიან ტრადიციისა და კანონის დარღვევას და სპიკერის ქცევა კი პარლამენტის ტრადიციების დარღვევა იყო. მართალია ამით პარნელის ობსტრუქციას ბოლო მოეღო, ბილიც გავიდა პირველად, მაგრამ ბევრი ჰფიქრობდა, რომ ეს გამარჯვება ძვირად დაჯდა. რაც შეეხება ირლანდიას, აქ პარნელი ნამდვილი ეროვნული გმირი შეიქნა; სპიკერის უკანონო მოქმედებაში კი ფენიების ძალ-მომრეობის პოლიტიკის სრულ ამართლებას ჰხედავდნენ: თვითონ პარლამენტი ადენიებს ადამიანს დანაშაულს, რადგან ნებას არ იძლევა კანონიერის საშუალებით იბრძოლოს მთავრობის წინააღმდეგო. სამინისტრომაც გადასწყვიტა არ დაზოგოს თავის მტრები: 3 თებერვალს, სხდომის დაწყების წინ, პარნელს მოუვიდა ცნობა, რომ მიხეილ დევიტი, აგრარულ ლიგის ინიციატორი, დააპატიმრეს რევოლიუციურ სიტყვების წარმოთქმისათვის. სხდომა ნაშუადღევს აიწყო. მაგრამ სანამ პროექტის მეორედ განხილვას ეუდგებოდნენ, პარნელი უილიამ გარკურს დაეკითხა, მართალია თუ არა დევიტის დაპატიმრებაო. გარკურმა პასუხა, მართალიაო, და დაუმატა, რომ დევიტი რო-

გორც კატორღაში ნამყოფი განთავისუფლებული იყო პირობით, რომელიც მან ეხლა დაარღვიაო.

ამის შემდეგ წამოდგა გლადსტონი და დაიწყო თავისი სიტყვა; მაგრამ სიტყვის დაწყებისათანავე უცბად წამოდგება დილონი (პარნელიტი) და დაიწყებს რაღაცა ლაპარაკს. შეიქნება საშინელი ხმაურობა; პალატამ დაინახა, რომ პარნელს რაღაც ახალი ხრიკისათვის მიუგნია სპიკერის გუშინდელ coup d'état'ს საპასუხოდ. სპიკერი მაღლა უყვირის დილონს, რომ ეხლა სიტყვა გლადსტონს ეკუთვნისო. დილონი ყურს არ უგდებს სპიკერს და გულხელ დაკრეფილი ყვირის: „მე მაქვს უფლება ვილაპარაკო!“ არეულობას საზღვარი არ ჰქონდა; პალატა დილონის გაგდებას ითხოვდა. „რადგანაც მე თქვენ არ მეამორჩილებით, გაგდებთ სხდომიდანო“,—ეუბნება სპიკერი დილონს. კანონის თანახმად ესეც კენჭით უნდა გადაწყვეტილიყო; უყარეს კენჭი და 395 ხმის უმეტესობით 35 წინააღმდეგ გადაწყდა დილონის პალატიდან განდევნა. დილონმა განაცხადა, რომ იგი „უპატივცემულესად უარს ამბობს გასვლაზე“. შემოვიდა ბოქაული, დაადო დილონს მხარზე ხელი და სთხოვა წაჰყოლოდა; დილონი უარს ამბობს. ბოქაული იძულებულია დაუძახოს და რაჯებს. ბოლოს, დილონი გაჰყავთ პალატიდან.

როგორც კი გავიდა დილონი, წამოდგა მეორე პარნელიტი სიულივანი და საშინელის სიმკაცრით ჰკიცხავდა დილონის წინაღმდეგ მიღებულ ზომას. სპიკერი თავს იმართლებდა, სიულივანი ადარებდა გლადსტონის გამგეობას ნაპოლეონ მესამის რეჟიმს; ამასობაში კაი ძალი დრო გავიდა. ბოლოს ისევ გლადსტონმა დაიწყო

ლაპარაკი. მაგრამ იმ წამსვე წამოდგა პარნელი და ჩვეულებრივის აღუშფოთველობით უთხრა სპიკერს: „მე ითხოვთ კენჭი უყაროთ შემდეგ ჩემ წინადადებას—ყურს ეუ ვუგდებთ ამ პატივცემულ ჯენტლმენს“ და თან თითით გლადსტონზე უჩვენებდა. პალატა ერთს წუთს გაჩუმდა, მაგრამ მალე მთელი პალატა მრისხანედ ჰყვიროდა: „გააგდეთ პარნელი, გააგდეთ პარნელიო.!“ ხმაურობამ და არეულობამ დიდხანს გასტანა. პარნელი ფეხზე დგა და მოწყენილის სახით ათვალიერებდა პალატას. ოგორც კი ცოტა წეს-რიგი ჩამოვარდა და სპიკერმა ამოაცხადა, სიტყვა გლადსტონს ეკუთვნისო, პარნელმა ელახლავ განაცხადა: „მე ვითხოვ ჩემ წინადადებას კენჭი უყაროთო“.

სპიკერი აფრთხილებს პარნელს და ეუბნება, რომ ანდევნილ იქნება პალატიდან, თუ გლადსტონს სიტყვის ქმას არ დაანებებს. ლაპარაკში ჩაერევა ერთი პარნელიტი კიდევ; ბოლოს სპიკერი აცხადებს მეორეთ, რომ ტყვა გლადსტონს ეკუთვნის. გლადსტონმა დაიწყო: ამ მძიმე სცენების შემდეგ მე მინდა განვაგრძო ჩემი ერი. მოვალეობა, რომელიც მე მაწევს, მეტად დიდია“... გრამ აქ კიდევ წამოდგება პარნელი თავის ახმახის ტაით; გლადსტონი გაჩუმდება. „შემომაქვს წინადადება— ეუ ვუგდებთ ყურს ბ-ნ პირველ მინისტრს“. მოთმინებინ გამოსული სპიკერი ითხოვს პარნელის განდევნას. ყარეს კენჭი და, რასაკვირველია, პალატის დიდი უმეესობა განდევნის მომხრე გამოდგა. პარნელი უარს ამბს გასვლაზე; დაუძახეს ბოქაულს და პარნელიც გადის.

ეხლა კი ყველამ დაინახა, თუ რა ხერხი მოიგონა

პარნელმა: დეპუტატის პალატიდან განდევნისათვის სა
ჭიროა ჯერ გაფრთხილება, შემდეგ კენჭის ყრა, კენჭი
დათვლა, ბოქაულის დაძახება, თუ დეპუტატი ნებით ა
მიდის. მთელი ამ პროცედურისათვის ნახევარი საათ
მაინც არის საჭირო. პალატაში 30 პარნელიტი იყო
მაშასადამე მათ განდევნას მოუნდებოდა 15 საათი, თ
არც ერთი მათგანი არ ეცდებოდა ლაპარაკს, ლაპარ
კით კი 20—25 საათიც იქნებოდა საჭირო. მართლა
ეგრე მოხდა: სანამ ყველა პარნელიტები არ გაიყვანეს
გლადსტონმა თავის სიტყვა ვერ გაათავა. ბოლოს, ბ
ლი მეორედ მიღებულ იქმნა და სამინისტრომ გადასწყვ
ტა ძველი საპარლამენტო წესების იმ გვარად შეცვლ
რომ ობსტრუქცია შეუძლებელი გამხდარიყო. შემოიღ
17 ახალი წესი; ამათგან უმთავრესი ის იყო, რომ სპ
კერს ეძლეოდა უფლება გაეწყვიტა ორატორის სიტყ
და კითხვა მაშინვე კენჭის ყრით გადაეწყვიტა; დეპუტ
ტის განდევნის პროცედურაც ძალიან გააადვილეს. ახ
პირობებში ობსტრუქცია მეტად გაძნელდა და ამიტომ
ფორსტერის ბილი მალე (2 მარტს 1881 წელს) ა
ნონად იქცა.

მაგრამ გლადსტონი არ იქნებოდა ის გლადსტონ
რომელსაც ისტორია იცნობს, რომ მას ირლანდიის ფ
მშვიდების საქმე ფორსტერის ბილით გათავებული ჰგ
ნებოდა. მან გადასწყვიტა წამოეყენებია აგრარული კით
ვა და 7 აპრილს (ფორსტერის ბილის მიღების ერ
თვის შემდეგ) სამინისტრომ შემოიტანა პალატაში კანო
პროექტი ფერმერებისა და ლენდ-ლორდების დამოკიდ
ბულებათა გაწეს-რიგების შესახებ. მთავრობა თხოულო

და განსაკუთრებულ აგრარულ (საადგილ-მამულო) სასა-
ართლოების დაარსებას; ამათი დანიშნულება იქნებოდა
ჯარის ფულის რაოდენობის სამართლიანი განსაზღვრა,
თუ ფერმერი და ლენდლორდი თვითონვე ვერ მორიგ-
ებებოდნენ. გარდა ამისა, ბილში სასტიკად იყო გან-
საზღვრული ორივე მხრის უფლებანი და მოვალეობანი;
ეს რომ ლენდ-ლორდს არ ჰქონდა განუსაზღვრელი უფ-
ლება ფერმერის განდევნისა; ამასთან ფერმერს არენდის
აყიდვის უფლებაც ეძლეოდა.

ასეთი ბილი სიზმრადაც არ მოსჩვენებია ისააკ ბიუტ-
ს და მის თანამოაზრეებს. პარნელმა კი ისე ასწია და
ამაღლა ირლანდიელების იდეალი, რომ ეხლა, 1881
ელს, გლადსტონის ბილს გულ-ცივად შეხვდნენ. თვი-
ონ ირლანდიელ პარტიის ლიდერი ისეთის სიმკაცრით
აეტაკა ბილს, რომ თვით მის მომხრეებსაც უკვირდათ.
გრამ პარნელის პრაქტიკულ პოლიტიკის უმთავრესი
რინციპი იყო, რომ რამდენს მეტს დაუთმობდნენ, იმ-
ენი მეტი მოეთხოვა. მისი სურვილი იყო—ირლანდია
ირლანდიელების საკუთრება ყოფილიყო; ნახევარ ზო-
ბს იგი არ ურიგდებოდა. აგრარული ლიგა თხოულობ-
ა, რომ იჯარის ფასში ადგილის ღირებულობის წილიც
ოფილიყო; ისე რომ, 30 წლის განმავლობაში მიწა
ერმერის საკუთრება გამხდარიყო. გლადსტონმა არ შეი-
ნა ეს თავისს ბილში და პარნელმაც მისს პროექტს
„ესაბრალისი ხრიკი“ და „ნახევარი წამალი“ დაარქვა.
ი შეგონებით 35 ირლანდიელ დეპუტატს ხმა არ მიუ-
ა კენჭის ყრის დროს. ბილი მიიღო პარლამენტმა

და 22 აგვისტოს დედოფალმა მას-ხელი მოაწერა. 2
აგვისტოს პარლამენტის სესიაც გათავდა.

იანვრიდან აგვისტომდე მთელი პარლამენტი პარნ
ლის მიზეზით მოუსვენარ მდგომარეობაში იყო, და ი
დროს, როცა მისი წევრები დასვენებას აპირობდნენ
პარნელი ირლანდიაში წავიდა სააგიტაციოდ.

VI

ის საქმე, ის პრობლემა, რომელიც პარნელს ირ
ლანდიაში მოელოდა, არ იყო ადვილი. გლადსტონი
ახალმა კანონმა მშვენიერი შთაბეჭდილება მოახდინ
ფერმერებზე და სხვა წრის ირლანდიელებზედაც. პარ
ნელს ინგლისელ მთავრობის არაფერი სწამდა და გლად
სტონის ქცევასაც ფენიების და ობსტრუქციის შიშს აწერ
და. მას ეშინოდა ირლანდიის დამშვიდებისა, რადგან ასე
პირობებში ინგლისის პარლამენტი არაფერს გააკეთებდ
ირლანდიელებისათვის. ომი და საომარი დამოკიდებულებ
ინგლისთან, მტრის ფრთხობა და ომისთვის ყოველთვ
მზად ყოფნა,—აი რა იყო საჭირო ირლანდიელებისათვ
მათი ბელადის შეხედულებით. მაგრამ როდესაც ზოგიერ
მა უკიდურესმა პარნელიტმა აზრი შემოიტანა, ვუქად
გოთ ფერმერებს, ნუ მიმართავენ ახალ სასამართლოებს
პარნელმა განაცხადა, რომ ეს უანგარიშობა იქნებოდ
ისარგებლონ ფერმერებმა მითი, რაც გლადსტონმა მისც
მაგრამ ნუ დაივიწყებენ, რომ ყველა ეს მთავრობის „შ
საბრალისი ხრიკებია“ და რომ უმთავრესი მიზანი წ
არის. „აგრარულ ლიგის“ გაზეთი, რომელიც პარნელ

რჩევით დაარსდა, დიდის ენერგიით ავრცელებდა ამ აზრებს.

პარნელს დიდის ოვაციებით შეხვდნენ ირლანდიაში. 15 სექტემბერს დუბლინში შესდგა მიტინგი, რომელსაც „ლიგის“ 1700 დეპუტატი დაეს. რომ. მიტინგს პარნელი თავმჯდომარეობდა. ამ მიტინგზე მან დიდი სიტყვა წარმოსთქვა. ნურა გწამთ-რა ინგლისის სამინისტროს კეთილ განზრახვებისაო,—ეუბნებოდა პარნელი. იქ შეკრებილ ხალხს; ახალი აგრარული კანონი არ სწყვეტს აგრარულ კითხვას; მთავრობას განზრახ არ უნდა გადასწყვიტოს ეს კითხვა, რადგან, თუ ირლანდიაში მიყურჩდა კლასური ბრძოლა, მაშინ ირლანდიის ყველა მცხოვრები—ლენდ-ლორდები და ფერმერები—შეერთებულის ძალებით მოითხოვენ ჰომრულს; ინგლისს კი ყველაზე უფრო ამის ეშინია: „სანამ აგრარული კითხვა გადაუწყვეტელია, იგი ყოველთვის იქნება წყარო უკმაყოფილებისა და განხეთქილებისა კლასთა შორის; და მე ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ, როცა ინგლისის მთავრობას შემოჰქონდა ახალი ბილი, რომელიც კითხვას არა სწყვეტს და არ აწეს-რიგებს, მიზნად ჰქონდა ირლანდიის სოციალურ კლასების გაყოფა, რათა ჩვენ ვერ ვისარგებლოთ ჩვენის შეერთებულის ძალებით დაკარგულ უფლებათა აღდგენისათვის — თვით-მართველობისათვის“. პარნელის აზრით, სანამ ირლანდიელი მიწის ღალას იხდის, ჰომრული ვერ დაიჭერს პირველ ადგილს მის გულში. მტკიცე ეკონომიური ნიადაგია საჭირო დამოუკიდებელ პოლიტიკურ არსებობისათვის. ეს სიტვვა პარნელმა მეტ-ქარით დაათავა: „არაფერია! ჩვენ გვაქვს საიმედო პრინციპები, რომელთა გამოსადეგრობა გამოცდილი და და-

ტკიცებულია, და ეს პრინციპები იქნებიან ჩვენი ძვირ-
ფასი ხელ-მძღვანელნი მომავალშიაც. საჭიროა მხოლოდ
ირლანდიელების თანხმობით, ერთ-სულად მოქმედება.
ერიდეთ ცალკ-ცალკე მოქმედებას. არც ერთი ფერმერი
არ უნდა იქნეს კმაყოფილი, სანამ ყველას არ დააკმა-
ყოფილებენ".

მიტინგმა და პარნელის სიტყვამ დიდი შთაბეჭდი-
ლება მოახდინეს ინგლისში. ის ზნეობრივი გამარჯვება,
რომელსაც სამინისტრო ამზადებდა ამ ახალის ბილით,
ირულებით გააქარწყლა პარნელის სიტყვამ; ირლანდია
ერთგულებული იყო და მისი უკმაყოფილების კმაყოფილე-
ად შეცვლა შეუძლებელი იყო. პარნელის ყოველი სი-
ტყვა სახარებასავით სწამდათ ირლანდიელებს და მთა-
ვრობის ყოველ მოქმედებას სჯიდნენ და უყურებდნენ
ასე, როგორც აგიტატორის სურვილი იყო. ხალხში
ერტვინვა თან-და-თან უფრო ძლიერდებოდა. ირლან-
ეიის გამგებელი ფორსტერი, რომელიც განსაკუთრებუ-
ლის უფლებებით იყო აღჭურვილი, ენერგიულად ხმა-
ობდა თავის პროგრამტივებს და ბევრი ირლანდიელი
ეამწყვდია სატუსაღოში. მაგრამ ეს ზომები ვერ იყო პარ-
ელის პასუხი: პარნელი ირლანდიის „უგვირგვინო მეფე"
ყო და d'égal à égal (სწორი სწორს) შეეძლო მასთან გა-
ოკამათება მხოლოდ ინგლისის სამინისტროს პრემიერს.

7 ოქტომბერს, 1881 წელს, სწორედ დუბლინის
ტინგის ორის კვირის შემდეგ, გლადსტონმა წარმოს-
ქვა საპასუხო სიტყვა ლიდსში. „ბატონი პარნელი
ცდილობს დაარწმუნოს ირლანდიელები, რომ ჩვენ ისი-
ი მოვატყუილეთ. თუ ეს სამართლიანი კანონი (აგრა-

რული ბილი) სისრულეში არ იქნა მოყვანილი, მ
უყოყმანოდ ვამბობ, რომ „ჯერ კიდევ არ დაშრეტილა
ის საშუალებანი, რომელთაც ჩვენ ცივილიზაცია გვაძ
ლევს“. აქ პრემიერი თითქმის პირდაპირ ემუქრებოდ
პარნელს მის წინააღმდეგ რეპრესიულ ზომების მიღ
ბას. აუდიტორია დიდის თანაგრძნობით და აღტაცები
ისმენდა მთავარ მინისტრის სიტყვას. წინად კონსერვა
ტორული პრესა უსაყვედურებდა ლიბერალურ კაბი
ნეტს სისუსტესა და სირბილეს ირლანდიელების შესახებ
ლიდსში წარმოთქმულმა სიტყვამ კი მეგობრები შესძინ
გლადსტონს კონსერვატორებ შორისაც.

პარნელმა უეკსფორდში წარმოსთქვა 10 ოქტომ
ბერს საპასუხო სიტყვა. ქალაქი სადღესასწაულოდ იყ
მორთული; უამრავი ხალხი აღტაცებით შეხვდა აგიტა
ტორს. საღამოს ბანკეტი გამართეს და პარნელმა მეტა
ღირს-შესანიშნავი სიტყვა სთქვა: „პირველი აუცილებ
ლი ზომა ირლანდიის აყვავებისათვის არის ინგლისის ბა
ტონ-პატრონობის თავიდან მოშორება. როგორ უნდ
მოხერხდეს ეს? დემოკრატიამ, მუშა ხალხმა უნდა განა
თავისუფლოს ირლანდია. თუ თქვენ შეიძლებთ ემორ
ჩილოთ დაუწერელ კანონებს, თუ დაამტკიცებთ
რომ უმცირესობას არ შეუძლია იყმოს უმრავლესობა
თქვენ ამით დაანახვებთ ყველას, რომ ღირსნი ხარ
თვით-მართველობისა. ჩვენ გვინდა, რომ ირლანდიელი
ნიჭს, ჭკუას და ძალას შესაფერი სამართლიანი ჯილდ
ეძლეოდეს. ეს კი შეუძლებელია, სანამ არ განვდევნ
მისტერ გლადსტონსა და მის ყიზილბაშებს“.

ყველა ამაებს პარნელი ამბობდა იმ ქვეყანაში, სა

ია აგრარული ბოროტ-მოქმედებანი არ შეწყვეტილა
ა სადაც ფენიების მოძრაობის განცხოველ ების ცხადი
ნიშნები იყო. ფორსტერს, მისგან გაყვანილი ბილის
ალით, უფლება ჰქონდა დაუყოვნებლივ დაეჭირა პარ-
ელი, მაგრამ გლადსტონს არ უნდოდა მიემართნა ამ
ომისათვის, სანამ ერთხელ კიდევ არ გააფრთხილებდა
ავის მოპირდაპირეს. 12 ოქტომბერს გილდჰოლში (ლონ-
ონში) პრემიერმა რამდენჯერმე გაიმეორა ფრაზა „დაუ-
რეტელ საშუალებებზე“, რომელთაც ცივილიზაცია
ძლევა პარნელისთანა კაცების წინააღმდეგ. მაგრამ პარ-
ელი მაინც დატუსაღებას ვერ გადარჩებოდა.

ეხლა თავი დავანებოთ საპოლიტიკო კრებებისა და
ებატების ანგარიშებს და მივმართოთ სხვა გვარ წყა-
ოს. 1892 წლის ოქტომბერში ლონდონში გამოვიდა
რთი პატარა წიგნაკი—„25 წელი საიდუმლო პოლი-
ციაში. მოგონებანი ჯაშუშისა“. ექვს დღეში გამოვიდა
ამი გამოცემა და ერთი წლის განმავლობაში კი გაიყი-
ა 16 ვამოცემა, იმდენად საინტერესო იყო ამ წიგნა-
ს შინაარსი ავტორი ამ საინტერესო წიგნაკისა ტო-
ს ბიჩია, რომელიც მაიორ ლეკარონის სახელით ინგლი-
ს საიდუმლო პოლიციაში მსახურებდა და რომელსაც
ირლანდიელების საქმე ებარა. მან მოახერხა ფენიების
რეებში შესვლა, ახლო გაეცნო ლეგალურ და არა
ეგალურ ოპოზიციის უმთავრეს მოღვაწეებს და დი-
ი და დაუფასებელი სამსახური გაუწია ინგლისის მთავ-
ობას. რომ ტომას ბიჩი არ ტყუის თავის წიგნაკში, ეს
ქიდან სჩანს, რომ არავის მის წინააღმდეგ არა დაუწე-
ია რა, თუმცა ბიჩის წიგნში ნახსენები პირები დღესაც

თითქმის ყველა ცოცხლები არიან. ტომას ბიჩი ბევრ
მნახველი და ბევრის მცოდნე იყო. 80-იან წლების ირ
ლანდიელების მოძრაობის შესასწავლად ეს წიგნი მა
ცილებელი მასალაა. ჩვენთვის იგი საინტერესოა იმ
ნად, რამდენად პარნელის ცხოვრებას ეხება.

ტომას ბიჩი გაეცნო პარნელს 1880 წელში,
რადგანაც ბიჩი წარუდგინეს აგიტატორს, როგორც
ურიგებელი და ფანატიური რევოლუციონერი, პარნე
გულ-ახდილად ლაპარაკობდა მასთან. ბიჩმა გაიგო, რ
პარნელს დამოკიდებულება აქვს ირლანდიელ რესპ
ლიკელების საიდუმლო საზოგადოებასთან. 1881 წ.
ჩი პარნელს არ მოშორებია, რასაკვირველია, სამსა
რის მოვალეობის მიზეზით, და ისე მოაწონა თავი წ
დახედულ პოლიტიკოსს, რომ აჩუქა მას თავის სურ
წედ წარწერით: „გულ-წრფილად თქვენი ჩარლზ პარ
ლი“. 1881 წელს საეკვო პირებისა და პარნელის და
კიდებულება უფრო მჭიდრო და განცხოველებული
ხდა; შემოდგომის აგიტაციის დროს პარ ელი იძუ
ბული შეიქნა საქმე დაეპირა ამერიკაში მყოფ „სარ
ლუციო მართველობასთან“ და გაუგზავნა მას ტ
ბიჩი ზოგიერთ ინსტრუქციების გადასაცემად. „ინგ
სის მთავრობამო,—ამბობს ტომას ბიჩი,—ყველაფერი
წვრილებით იცოდაო“.

ამ გვარად ირლანდიის გამგებელს ფორსტერს ხე
ჰქონდა ნამდვილი ცნობები და საბუთები პარნელის
ნონო დამოკიდებულებათა შესახებ. თვითონ პარნ
კი ამავე დროს სასტიკად ჰკიცხავდა თავის სიტყვ
ინგლისის მთავრობის პოლიტიკას. 12 ოქტომბერს

ინის მიტინგზე პარნელი ერთხელ კიდევ დაეტაკა ადსტონს და მეორე დღეს, 13 ოქტომბერს, იგი დატუსაღეს და კილმანგემის ციხეში ჩასვეს. აგიტატორს ულებით არ ეტყობოდა აღელვება დატუსაღების დროს, დგანაც ეს მისთვის მოულოდნელი არ ყოფილა. ამას ყვა „საადგილ-მამულო ლიგის“ დახურვა (18 ოქ-მბერს). ირლანდიისა და ინგლისის ერები ერთმანეთს პირდაპირდნენ; თვითოელი მათგანი ერთი სული და ი ხორცი იყო. „ინგლისში ერთი ხმაც არ ამოღებუ-პარნელის სასარგებლოდ, ისე როგორც ირლანდია-ფორსტერის სასარგებლოდ“. რამდენიმე დღის განლობაში დატუსაღებულ იქნენ ბიგარი, ო'გილი და ურულ „ლიგის“ სხვა თვალსაჩინო წევრები.

მიუხედავად პარნელის დატუსაღებისა, მოძრაობა ირ-ნდიაში არ შეწყვეტილა. აგიტატორის შემოდგომის მო-ურობამდე ირლანდია შედარებით დაწყნარებული იყო; ა კი მღელვარება თან-და-თან უფრო ძლიერდებოდა დიდ შიშსა ჰგვრიდა ფორსტერს. ირლანდიის გამგეელი მისი თანაშემწე ბორკი გულ-მოდგინედ ამუშავებდ-განსაკუთრებულ კანონებს, მაგრამ ამაოდ. პარნე-დის, ანნა პარნელის, თავმჯდომარეობით დაარსდა ლთა საადგილ-მამულო ლიგა', რომელიც სასტიკად ეხავდა ინგლისის პრემიერსა და ირლანდიის გამგე-ს. აგრარულ დანაშაულობათა რიცხვი თან და თან ულობდა. 23 ოქტომბერს თვითონ ლონდონში შეს-ირლანდიელების დიდი კრება, რომელმაც საჯაროდ ტესტი განაცხადა პარნელის დატუსაღების წინააღმდეგ. დადგა გაზაფხული 1882 წლისა და საქმის მიმდი-

ნარეობა იგივე იყო; ლენდ-ლორდების ცემა-ტყეპა, ცე
ლის წაკიდება კიდევ უფრო გაბშირდა. ლონდონის ყ
ლა პოლიტიკური წრეები იმ აზრისანი იყვნენ, რომ გ
საკუთრებული კანონები და ფორსტერი თავის მიზ
ვერ მიაღწევდნენ. სწორედ ამ დროს პარნელიტმა ო
მისწერა წერილი გლადსტონსა და ჩემბერლენს. ამ
რილში იგი ამბობდა, რომ ირლანდიის აღელვების
ზეზი ფერმერების უბედური მდგომარეობა და განსაკ
რებული კანონების შემოღება არისო. თანაც ავტო
თხოულობდა, რომ მთავრობას ყურადღება მიექცია
სი წერილისათვის. გლადსტონი და ჩემბერლენი, რ
კვირველია, მაშინვე მიხვდნენ, რომ ეს წინადადება,
პირველი ნაბიჯი თვითონ პარნელს ეკუთვნოდა. მ
რობას შეეძლო ორნაირად მოქცეულიყო: არ მ
პარნელისათვის სრულებით პასუხი ან წარედგინა
ვისი პირობები. პირველი გზა ნიშნავდა არსებ
მკაცრ კანონების საშუალებით ირლანდიის მართვას
მთელ ლიბერალურ პარტიის და მის ტრადიციების
ხელის გატეხას, და მერე სრულებით უსარგებლოდ
გლადსტონი მაშასადამე იძულებული იყო მორიგ
გზას დასდგომოდა. დიდი ბრიტანიის მთავარი მინისტ
ურიგდება როგორც სწორი სწორს კილმანგემის პა
მარს. პარნელს შეეძლო მიელოცნა თავის თავისათ
გამარჯვება. ისააკ ბიუტს, რომელიც მთელი თავისი
ცოცხლე ინგლისის თანაგრძნობის მოპოვებას სცდილ
და, ოცნებაც კი არ შეეძლო იმაზე, რასაც პარნელ
მიაღწია ოთხის წლის სასტიკის ბრძოლით.

10 აპრილს, 1882 წელს, პარნელი გამოუშვეს ც

ნ დისწულის დასაფლავების დასასწრებლად. აქ მან
ეკისი პოლიტიკური მეგობრები ნახა, მაგრამ საქმეებზე
ულაპარაკნიათ, რადგანაც სიტყვა ჰქონდა მიცემული
ეგრობისათვის. 26 აპრილს ერთმა პარნელიტმა წინადადე-
შეიტანა პალატაში; ეს წინადადება ეხებოდა იმ ფერ-
ების მდგომარეობის შემსუბუქებას, რომელნიც გლადს-
ანის ბილის გამოცემამდე იყვნენ პირობით შეკრულნი
ენდ-ლორდებთან. გლადსტონი დიდის თანაგრძნობით
ეკიდა ამ პროექტს და დაკანონებულ იქნა კიდეც.

მთავარ მინისტრის ქცევა ამ ბილის გარჩევის დროს
ად საგულისხმიერო იყო და ინგლისის ალლოიანმა
ოგადოებამ შესაფერი მსჯავრი დასდო მას. შეიქნა
ქმა-მოთქმა პარნელისა და გლადსტონის კავშირზე;
ნსერვატორებმა ნაღარა დაჰკრეს; ფორსტერი, ბორკი
ბევრი სხვა ლიბერალებიც ცუდის თვალით უყურებ-
ენ სამინისტროს პოლიტიკის გამოცვლას. პარნელი
ავდა თავის გამარჯვებას და ყოველ ღონისძიებას
ობდა, რამე შეურაცხყოფა არ მიეყენებინა გლადს-
ანის თავმოყვარეობისათვის. სატუსაღოში დაბრუნების
დეგ პარნელმა მისწერა ო'შის წერილი, სადაც იგი
ტა ბუნდად და გამოურკვეველად ლაპარაკობდა რე-
რმებზე და მათ მნიშვნელო'აზე ირლანდიის დამშვი-
ის საქმისათვის. შემდეგ პარნელმა გადასცა გლადს-
ნს შემდეგი დამატებითი პირობები: დევიტის განთა-
უფლება, გაქცეულთ შერიდანის და ბოიტონის სამ-
ბლოში დაბრუნება. ფორსტერი, რასაკვირველია, წი-
ღმდეგი იყო ამ პირობების მიღებისა, რადგანაც, მისი
ით, ეს პირები იყვნენ ირლანდიის ამღელვებელნი.

მაგრამ პარნელი მტკიცედ ადგა თავის პირობებს. „თუ ისინი გავლენიანი ხალხია, შემოიღოს სამინისტრომ სა ჭირო რეფორმები, და ეს პირები მოახმარებენ თავიანთ ვა ლენას მშვიდობიანობის საქმეს“. ბოლოს პარნელმა მო ითხოვა ფორსტერის გამოცვლა და განსაკუთრებულ კ ნონების მოსპობა. მთავარ მინისტრი დასთანხმდა.

2 მაისს (1882 წ) პარნელი და ზოგიერთი სხ პოლიტიკური პატიმრები გამოუშვეს კილმანგემის საპ საღოდან. ისინი გამარჯვებულნი გამოვიდნენ იქიდან სამინისტრო პარნელის მორჩილი იყო; ჰომრულის პრო ექტი, აგრარული რეფორმები ახლო თვეებში უნდა გარ ჩეულიყო. პარნელის განთავისუფლების დღეს გლად ტონმა გამოაცხადა პალატაში, რომ ფორსტერი სამს ხურს თავს ანებებსო. ირლანდიის ახალ გამგებლად დ ნიშნეს ლორდი კავენდიში. ქვეყანა „კილმანგემის ხელ შეკრულებაზე“ ლაპარაკობდა მაგრამ იმ თავითვე ხელ-შეკრულებას შეხვდა ისეთი განსაცდელი, რომლ გაძლება ყოველ ტრაქტატს გაუჭირდებოდა.

ლორდი კავენდიში ირლანდიელების დიდი ძეგობ რი იყო და მისი დანიშვნა ირლანდიის გამგებლად ახა ხანის დადგომის პირდაპირი ნიშანი იყო. კავენდიში დ უყოვნებლივ გაემართა ირლანდიისაკენ. ექვს მაისს ი უკვე დუბლინში იყო; დილით ჩვეულებრივი ფიცი მ იღო და სადილის შემდეგ წავიდა ეტლით ფენიქს-პარკ საკენ, სადაც მისი სადგომი იყო მომზადებული; გზა ბორკს, ფორსტერის მდივანს, შეხვდა. ჩამოვიდა ეტლ დან და ის ეა ბორკი ფეხით წავიდნენ ერთად ფენიქ პარკისაკენ. ბულვარი სავსე იყო ხალხით; როცა კავე

ლიში და ბორკი უმთავრესს ალეიაზე მიდიოდნენ, ჩირ-
ვებიდან გამოხტნენ შეიარაღებული პირები და ხანჯ-
ლებით აკუწეს გამგებელი და მდივანი. სანამ ხალხი
ლონს მოვიდოდა, მკვლელები გაიქცნენ და დასტოვეს მოკ-
ლული კავენდიში და ბორკი.

შეუძლებელია გადმოცემა იმ შთაბეჭდილებისა, რო-
ელიც ამ მკვლელობამ მოახდინა ლონდონში. როგორც
ლიბერალების, ისე კონსერვატორების აღშფოთებას სა-
ზღვარი არ ჰქონდა. ფორსტერის მომხრეებს შეეძლოთ
ამარჯვება ედღესასწაულნათ: არ გასულა სამი კვირა
ველ რეჟიმის შეცვლიდან და აი ნაყოფიც ამ ცვლი-
ებისა. „Times“-ი და სხვა გავლენიანი გაზეთები ამტ-
ოცებდნენ, რომ ფორსტერის გამოცვლა და პარნელთან
ერიგება—უდიდესი შეცდომა იყო პრემიერის მხრივ;
ონსერვატორების პრესა თხოულობდა სამინისტროს
ხმსახურიდან გადაყენებას. საზოგადოების აზრი იმითი
ყო კიდევ უფრო აღშფოთებული, რომ მკვლელები
ერ კიდევ ვერ აღმოეჩინა პოლიციას. პარნელის მტრე-
ავრცელებდნენ ფანტასტიურ ხმებს მის მონაწილეო-
ს შესახებ ექვს მაისის მკვლელობაში რასაკვირველია,
ხმები არავის სარწმუნოდ არ მიაჩნდა, მაფრამ ყველა-
თვის ცხადი იყო, რომ „კილმანგემის ხელ-შეკრულე-
ს“ პირობების შესრულება ეხლა მეტად ძნელი იყო.

პარნელიტებსა და მათ მეთაურს, ო'კონორის მო-
ობით, არასოდეს არ გამოუცდიათ ასეთი მძიმე და
ძნელი წამები. ირლანდიელ დეპუტატებს გზა-კვალი
ბნათ და არ იცოდნენ რა ექნათ.

მხოლოდ პარნელი არ ჰკარგავდა ჩვეულებრივ აღუ-

შფოთველობას. ფენიქს პარკის მკვლელობამ ერთბაშ
მოსპო მთელი მისი ნაშრომი. ლიბერალურ სამინისტ
როს არ შეეძლო ამ წამში ეფიქრა ირლანდიის რეფორ
მებისათვის, იმდენად აღელვებული იყო ინგლისის ს
ზოგადოება. პარნელს ეს კარგად ესმოდა, მაგრამ
მაინც სცდილობდა უკან დახევის ნება არ მიეცა გლად
ტონისათვის. შვიდ მაისს მან გამოაქვეყნა მანიფესტ
სადაც იგი ფენიქს პარკის მკვლელობას საზიზღარ სა
მეს უწოდებდა. 8 მაისს გლადსტონის შემდეგ წამოდგ
პარნელი და წარმოსთქვა პატარა, მაგრამ გრძნობიერ
სიტყვა, რომელშიაც იგი სხვათა შორის ამბობდა, რო
ყოველი ირლანდიელი უთუოდ ზიზღს იგრძნობს
მკვლელობისადმიო. სიტყვის ბოლოს პარნელმა გამო
თქვა იმედი, რომ კავენდიშის მკვლელები ვერ გამოაც
ლევინებენ მთავრობას იმ გზას, რომელიც მან ეხლახა
აირჩიაო.

ფორმალური წესი შესრულებული იყო, მაგრამ ირ
ლანდიელების ლიდერი იმდენად გამოცდილი პოლიტ
კოსი იყო, რომ არაფერ რეალურ სარგებლობას არ მო
ელოდა თავის განცხადებისაგან. ერთ დღეს გადააყ
ნებდნენ ლიბერალურ მთავრობას, რომ მას პარლამენ
ტის სურვილის წინააღმდეგ ჩაედინა რამე. პარლამენტი
სურვილი კი ეხლა ირლანდიასთან შერიგება კი არ
რეპრესალიები, განსაკუთრებული ზომები იყო. 11 მაის
კაბინეტის წევრმა გარკურმა შემოიტანა პალატაში შ
საფერი ბილი. პარნელი ისევ ძველებური პარნელ
გახდა, ესე იგი, გლადსტონისა და ინგლისის მტერ
„ამ ბილითო, ამბობდა იგი, ათჯერ, ასჯერ უფრ

ეკირცხვენთ თავს, ვიდრე ფორსტერის ბილით. ამ გვა-
ბს პროექტები ამტკიცებენ მხოლოდ მას, რომ ინგლისს
ერ აღმოუჩენია აუსსნელ ამოცანის ახსნის კლიტე:
„ოგორ უნდა მართოს ერთმა ერმა მეორე". დაიწყო
ონსტრუქცია, რომელმაც სრული ორი თვე გასტანა;
ერივე მხარე საშინლად მოიქანცა; ბოლოს, როგორც
ენა, ბილი დამტკიცდა: ირლანდიაში არსდებოდა გან-
ალკუთრებული სასამართლოები პოლიტიკურ დამნაშავე-
ბთვის და პოლიციას ეძლეოდა საეკვო პირების დაპე-
ის განუსაზღვრელი უფლება.

აგვისტოში სესია გათავდა; მდგომარეობა ისეთივე
ყო, როგორც ერთი წლის წინად (აგვისტო 1881):
ნაყოფო სესია, სასტიკი განსაკუთრებული კანონები,
ერნელისა და სამინისტროს შეურიგებელი მტრობა და
ამშეული და აღელვებული ირლანდია. ახალი იყო
ოლოდ გულ-დაწყვეტილობა: უდიდესი, უამაყესი იმე-
ები უნდა განხორციელებულიყვნენ და საკმარისი იყო
ერთი უბედური შემთხვევა, რომ ისინი კვამლსავით გა-
ქრალიყვნენ.

მე-80-ე წლებში ირლანდიის ცხოვრება მეტად ტრა-
იკული იყო და დიდი გავლენაც ჰქონდა ირლანდიელ
ასის საპარლამენტო პოლიტიკაზე.

რა შედეგი მოჰყვა ფენიქს-პარკის მკვლელობას, ეს
ენ კიდეც ვნახეთ. იგი მხოლოდ ფენიების მოძრაობის
აწყება იყო. პარნელი მთელის ერის თაყვან-საცემი ნა-
ციონალური გმირი იყო და ამიტომაც იგი მოვალე იყო
ა თუ ის პოზიცია დაეკავა ფენიების შესახებ. აქამდე
ევრი ეპვის თვალითაც უყურებდა მას; სხვათა შორის,

ისააკ ბიუტი ფიქრობდა, რომ პარნელი თანაუკრძნობდ ფენიებს. ეხლა დრო იყო, საქვეყნოდ გამოეთქვა თავი სი შეხედულება და ის კი გაჩუმებული იყო. მის მანი ფესტს ფენიქს-პარკის მკვლელობის შესახებ ინგლისელ ბი ცივად შეხვდნენ. მისი სიტყვა პარლამენტში ამავ შემთხვევის გამო სრულებით არ შეხებია კითხვის პრინ ციპიალურ მხარეს. სასტიკი ბრძოლა, რომელიც მან გლადსტონს გამოუცხადა თითქმის მკვლელობის მეორ დღეს, რასაკვირველია, ვერ გააქარწყლებდა არსებულ ეჭვებს. ინგლისის გაზეთები განუწყვეტლივ, ხან პირდა პირ, ხან გადაკვრით, ბრალსა სდებდნენ მას, მაგრა პარნელი არას ამბობდა ფენიების შესახებ.

ირლანდიის ბელადი სიკვდილამდე ერთს ტაქტიკას ადგა: რამდენადაც მტერი ბრაზდებოდა და სასტიკი იყო იმდენად მრისხანე იყო პარნელის ოპოზიციაც. როდე საც მოწინააღმდეგენი ფენიქს-პარკის მკვლელობაზე ჩა მოაგდებდნენ ლაპარაკს, პარნელი უპასუხებდა: მოსძებ ნეთ კავენდიშის და ბოკრის მკვლელები და მათ მოსთ ხოვეთ ანგარიში ამ საქმისაო. პარნელს აზრადაც არ მოსვლია, რომ პატარა მაინც დაემდაბლებინა თავის ლა პარაკის კილო, ან დაეთმო რამ თავის პროგრამიდან მარ ტო იმიტომ, რომ ფენიებიც ირლანდიისათვის იბრძოდნენ. დარცხვენა და ბოდიშის მოხდა სხვის მაგიერ არ შედი ოდა პარნელის პროგრამაში. ირლანდიაში მოსვლის შემდეგაც არას ამბობდა აგიტატორი ფენიების შესახებ. მდგომარეობა ქვეყნისა კი მეტად მძიმე იყო: ახალ განსაკუთრებული კანონი ძალაში შევიდა და მეტად სა ბრძნობელი შეიქნა ირლანდიელებისათვის; მიუხედავად

ბისა გაზაფხულიდან მეტად გახშირდა აგრარული დანა-
ბულობა. მკვლელობა, ცეცხლის წაკიდება და თავ-
ბასხმა მოსვენებას არავის აძლევდა. 17 აგვისტოს
(№ 882), სწორედ პარლამენტის სესიის გათავების დღეს,
ოოკლიტეს ჯონსის ოჯახი (ექვსი სული). ამ საშინელ
კვლელობის მიზეზი ის იყო, რომ ჯონსებმა იცოდნენ
ენ იყვნენ ერთ, წინად მომხდარ, მკვლელობის ჩამდენ-
ები და ფენიებს გაცემისა ეშინოდათ. ერთ მკვლე-
ობას მეორე მოსდევდა და ბოლო კი არ სჩანდა. არც
ავრობა იყო ნაკლებ გაცხარებული: ფენიების ტე-
ორის პასუხი სახრჩობელა იყო: მკვლელობა, სახრჩო-
ელა და კიდევ მკვლელობა—აი რა ფაქტები იყო
ბატონებული ირლანდიის საზოგადოებრივ ცხოვრე-
ბაში იმ დროს, როცა პარნელი ირლანდიაში მივიდა.

შეშინებული და შეძრწუნებული საზოგადოება მა-
�ე დაამშვიდა პარნელის დამშვიდებულმა და ნუგეშიან-
ელ კილომ: კანონიერი, ლეგალური ოპოზიცია პასუხს
ურ აგებს ფენიების მაგიერ; რა ოპოზიციის საქმეა, თუ
ენიებსაც ჰომრული და აგრარული რეფორმები სურთ.
ირნელის მთელი ზრუნვა იმაზე იყო მიმართული, რომ
ელ-ახლა შეექმნა აგრარული ლიგა. გარდა ფენიების
და მთავრობის შეურიგებელ ბრძოლისა, რომელიც სულს
ლხუთავდა ირლანდიას, ფერმერების მდგომარეობაც მე-
ად გაჭირვებული იყო: ლენდ-ლორდები სარგებლობ-
ნენ გამწვავებულ პოლიტიკურ მდგომარეობით და მეტად
ანონოდ და უსამართლოდ ექცეოდნენ ფერმერებს; და
ეუ საწყალი ფერმერი პროტესტის განცხადებას გაბე-
ავდა, მებატონე პოლიციას და ჯარს მიმართავდა.

ამ დროსა და ამ გარემოებებში პარნელმა დაიწყ
ჩვეულებრივი სააგიტაციო მოგზაურობა: მიტინგებზე
კრებებზე იგი ლაპარაკობდა ჩვეულებრივ აღუშფოთ
ლად; უმტკიცებდა აუდიტორიას, რომ ფენიების მოქმ
დებისათვის პასუხი უნდა აგონ თვითონ ფენიებმა და ა
სხვა ვინმემ; ჩვეულებრივ საქმიანი კილოთი ურჩევ
ირლანდიელებს ახალ ლიგის დაარსებას. რა საკვირვ
ლია, რომ სასოწარკვეთილნი ირლანდიელნი დიდის ა
ტაცებით ეგებებოდნენ თავიანთ საყვარელ, ნუგეშის
იმედის მომცემ გმირს! პარნელი მალე სიტყვებიდან ს
მეზე გადავიდა. დუბლინში შემდგარ კრებაზე (17 ო
ტომბერს) ჯერ ინგლისის მთავრობის და გლადსტონ
მოქმედება გაატარეს სასტიკ კრიტიკის ქვეშ, და შემდ
გადასწყვიტეს ირლანდიის ეროვნულ ლიგის დაარსებ

ახალ ლიგის მიზანი და დანიშნულება უნდა ყ
ფილიყო პირველად ყოვლისა — 1) ჰომრული, ეროვნ
ლი თვითმმართველობა; 2) აგრარულ დამოკიდებულებ
თა ძირითადი რეფორმა—საარენდო მიწა არენდატორ
საკუთრება უნდა გამხდარიყო; 3) ადგილობრივ თვით
მმართველობის განვითარება (დეცენტრალიზაცია), 4
საარჩევნო უფლების გავრცელება (სანამ საჭირო იქნ
ბოდა ინგლისის პარლამენტში წარმომადგენლების გზა
ნა); 5) შრომისა და მრეწველობის განვითარებისათვ
მფარველობის გაწევა.

პირველად ყოვლისა ამ „ეროვნულ ლიგისათვის
საჭირო იყო ფული. როცა „აგრარული ლიგა“ არსდ
ბოდა, პარნელი ამერიკაში წავიდა ფულის შესაკრეფად
ეხლა კი იმდენად აწეწილი იყო ირლანდიის საქმეებ

ომ პარნელი ვერ მიატოვებდა თავის ქვეყანას. მან წე-
ილით მიმართა ამერიკელებს და ამერიკაში მცხოვრებ
რლანდიელებს, და ფულებმაც დაიწყეს იქიდან დენა.
ეროვნულ ლიგის“ აგიტაცია გაგრძელდა მთელი შე-
ოდგომა და ზამთარი (1882—1883). ირლანდიის გამ-
ებელი სპენსერი და მისი თანაშემწე ტრევილიანი ყო-
ელ ღონისძიებას ხმარობდნენ „ლიგის“ მოქმედების წი-
ააღმდეგ. მაგრამ პარნელის ირლანდიაში მოსვლის შემ-
ენ ირლანდიელი საზოგადოება გამხნევდა, იმედი მიე-
ცა და მისი დაშინება ეხლა ძნელი შეიქნა. მთავრობის
რძოლა ირლანდიელებთან ისე მოეწყო, როგორც ეს
არნელს სურდა: ადმინისტრაცია და ფენიები ერთმა-
ერთს ებრძოდნენ, დანარჩენი ხალხი კი, რომელსაც
უფლებაცა და შეძლებაც ჰქონდა მხარი მიეცა ლეგა-
�ურ მოღვაწეებისათვის, აკეთებდა იმ საქმეს, რომელიც
ხალ ლიგისათვის აუცილებელი იყო.

როგორც ადმინისტრატიული, ისე რევოლიუციო-
ური (ფენიების მხრივ) ტერორი თანდათან უფრო
ლიერდებოდა. დიდ საფიქრებელში ჩააგდო მთავრობის
რეები რევოლუციონურ აზრის ახალმა მიმართულებამ:
ენიები აცხადებდნენ თავიანთ ორგანოში (რომელიც
მერიკაში გამოდიოდა), რომ მათ განზრახვა აქვთ გა-
ეაიტანონ ბრძოლა თვით ინგლისში. ამ გვარ საშიშ გა-
ემოებათა შორის შეხვდა დიდი ბრიტანია 1883 წელს.
ანვარში, როგორც იქნა, შეიპყრეს კავენდიშის ერთი
კვლელთაგანი, სახელდობრ კერი. კერის ჩვენებით,
ენიებს ბევრი სხვა მსხვერპლები ჰყავდათ სახეში, მათ
ორის ფორსტერიც. ჯერ კიდევ საზოგადოება გონს არ

იყო მოსული ამ აღმოჩენით, რომ გლეზგოში ფენი-
მა აფეთქება მოახდინეს; უფრო წვრილმან ბოროტ-მ
ქმედებას საზოგადოება ყურადღებას არ აქცევდა. ფ
ნამიტის აფეთქებამ მთავრობის სხვა-და-სხვა დაწესებ
ლების ახლო და თანამდებობის პირების მკვლელო
განზრახვამ სასტიკი ზომები გამოიწვია, მაგრამ ფენი
მაინც არ სცხრებოდნენ.

პარლამენტში მეტად მტრულად უყურებდნენ პა
ნელიტებს. პარნელი კი, როგორც ყოველთვის ამისთ
გარემოებებში, მშვენივრად ჰგრძნობდა თავს და ყოვე
მის ქცევას და სიტყვას შეურყეველი თვით-რწმენის
ჰედი ესვა. 22 თებერვალს (1883 წ.) პალატაში უ
განეხილათ სასეფისწულო სიტყვის საპასუხო ადრეს
პროექტი და ფორსტერმა ისარგებლა ამ შემთხვევ
გამოეთქვა თავის აზრი ირლანდიის მდგომარეობის შე
ხებ. რასაკვირველია, სიტყვის უმთავრესი საგანი პარ
ლი და მისი მოქმედება იყო: ორატორი დაცინვით ლ
პარაკობდა „უგვირგვინო მეფეზე“ და იმ პირებზე, რ
მელთა ჩაგონებით ირლანდიელები გიჟურ საქმეებს
დიან; პარნელი კი ამ დროს „უსმინეთ, უსმინეთს
გაიძახოდა. ბოლოს ფორსტერი დოკუმენტებზე გადა
და; დაიწყო კითხვა „irish world“-იდან (გაზეთია) სხ
და-სხვა ადგილებისა, რომელნიც ისე იყვნენ ამორჩეუ
ნი, რომ ფენიების სრული აპოლოგია გამოდიოდა. მ
რამ ეს გაზეთი ამერიკელ ემიგრანტების იყო და ჯ
ფორსტერს უნდა დაემტკიცებინა პარნელის ამ გაზ
თან თანაზიარობა, რაც ცოტა ძნელი იყო. ამიტომ
ორატორი „შეერთებულ ირლანდია“-ზე გადავიდა;

ზეთის ერთი უმთავრესი ხელმძღვანელთაგანი პარნელი ყო. „შეერთებულ ირლანდია“-ში აგრარულ ბოროტ-ქმედებას „სოფლის შემთხვევებს“ ეძახდნენ; ბოროტ-ქმედების მსხვერპლებს გაზეთი ყოველთვის მეტად სას-ოკად ეკიდებოდა, თვით დამნაშავეთ კი მეტის სირბილით.

ფორსტერმა პირდაპირ ჰკითხა პარნელს: „წაგიკით-ვთ ეს წერილები“?—წამიკითხავს,—იყო პასუხი. „თა-უგრძნობთ მათ?“—თანავუგრძნობ.—„მე მინდა კითხვა ინციპიალურად დავსვა: ბევრჯელ იყო შენიშნული, რომ აგრარულ ლიგის მიტინგებს თან მოჰყვებოდა ყო-ელთვის აგრარული ბოროტ-მოქმედებანი. უარს ჰყოფს ას პატივცემული ჯენტლმენი? (პარნელი) მე კიდევ ემეორებ, რა ბრალსაც ვდებ მე მას (პარნელს). მე მგო-ია, არც ერთ პარლამენტის წევრს არ წამოუყენებია ეთი ბრალდება მეორე პარლამენტის წევრის წინააღმ-ეგ: მე იმას როდი ვამბობ, რომ თვით ბ. პარნელს ჰყავდეს სისრულეში ძალ-მომრეობა და მკვლელობა, გრამ იგი ან თანაუგრძმობს მას ან და... აქ პარნელ-ი გააწყვეტინა ლაპარაკი ორატორს და რაც ძალი შეს-ევდა, დაიძახა:—„ეგ სიცრუეა“. ატყდა ხმაურობა; ერთმა პარნელიტმა მანამდე იყვირა:—„სიცრუეა, სიც-ეა“, სანამ ძალით არ გაიყვანეს ლხდომის ზალიდან.

ერთობ დამახასიათებელია პარნელის შემდეგი ქცევ-ა: მას აზრათაც არ მოსვლია, დაუყოვნებლივ პასუხი �ეცა ფორსტერისათვის, რამაც მეტად გააკვირვა და აბრაზა ინგლისელები. ამ გვარ ქცევაში ისინა ჰხედავ-ენ განზრახულ შეურაცხყოფას როგორც ბრალმდე-ელისას, ისე ტრიბუნალისასაც, რომლის წინაშე ბრალ-

დება იყო წარმოთქმული. მეორე დღეს პარნელმა ყო-
ველი ღონისძიები იხმარა, რომ ეს აზრი კიდევ უფრო
განემტკიცებია. „სერ,—მიმართა მან სპიკერს,—მე ნებ-
მივცემ ჩემ თავს წარმოვთქვა რამდენიმე სიტყვა შესა-
ხებ გუშინდელ ინციდენტისა. შემიძლია უპატივცემ-
ლესად დავარწმუნო სათემო პალატა, რომ მე ამას ჩა-
დივარ არა იმ რწმენით, ვითომც ჩემი სიტყვები იქონიე-
ბენ თვით უსუსტესს გავლენას პალატაზე ან ინგლისის
საზოგადოების აზრზე. ჩემ პოლიტიკურ მოღვაწეობაზ-
მივეჩვიე, ვიზრუნო მხოლოდ იმათ აზრზე, ვისაც მი-
და დახმარება აღმოვუჩინო და ვისის დახმარებით
ვშრომობ ირლანდიის ბედნიერებისა და თავისუფლებ-
სათვის“. ამ სიტყვების შემდეგ პარნელი ჩვეულებრივი-
ცივის და შეურაცხმყოფელის ირონიით, რომელიც მი-
უფრო საგრძნობელი იყო, რომ სრულებით განზრახ გ-
ზვიადებულს არ ჰგავდა, შეეხო ფორსტერის ბრალდებ-
და სთქვა, რომ ირლანდიის ყოფილი გამგებელი მთე-
თავის გამგებლობის დროს საგებლობდა პალატის უ-
ცობით ირლანდიის საქმეებში; შემდეგ კიდევ რამდენ-
მე სიტყვა სთქვა ფორსტერის შესახებ და გადავიდა კი-
ხვის არსებით მხარეზე: მან განაცხადა, რომ იგი საზ-
გადოდ არ არის ფენიების თანახმა შესახებ იმ საშუალ-
ბათა, რომელთაც ისინი ხმარობენ, და კერძოდ არ თ-
ნაუგრძნობს დინამიტის აფეთქებას, რომელსაც ამ უ-
ნასკნელ თვეებში ხშირად მიმართავდნენ ხოლმე ფენიებ-

ამ გვარად პარნელმა, როგორც იქნა, გამოსთქ-
თავისი აზრი, მაგრამ ეს გამოთქმაც რაღაც ყრუ იყ-
აქ აზრთა ისეთი მიხვეულ-მოხვეულობა და მიკიბვ-მოკ-

ვა იყო; რომელნიც ხან-და-ხან სცვლიან სიტყვის კი-
ოსა და ხასიათს. მთელი 1883 წელი სასტიკი ბრძო-
ა იყო ფენიებსა და მთავრობას შუა; იანვარში ისეთი
ღლები იყო, რომ მარტო დუბლინში 20-მდე კაცს
ტუსაღებდნენ, რაც ინგლისისათვის ერთობ დიდი რიც-
ვია; თებერვალში და მარტში მოხდა ფენიების პრო-
ესების მთელი რიგი და ბევრი მათგანი სახრჩობელათი
ათავდა. ივლისში მოჰკლეს ჯემს კერი, რომელმაც
ენიებს თავი დაანება და ამხანაგები გასცა; ამავე
ლის ბოლოს კერის მკვლელი დუბლინში ჩამოაღრჩეს.
უხედავად ამ გამწარებულ ბრძოლისა, ირლანდიის სა-
ოგადოების ყურადღება სხვა საქმეებზედაც იყო მიქ-
ეული.

ახალი „ეროვნული ლიგა“, რომელიც პარნელმა
882 წლის ოქტომბერში დააარსა, ყველას აინტერე-
ებდა, ვინც კი დახურულ „აგრარულ ლიგას“ თანა-
გრძნობდა. მართალია, საქმეთა არა-ნორმალური მდგო-
არეობა დიდად აბრკოლებდა ლიგის მოქმედებას, მაგ-
ამ ლეგალური აგიტაცია და პროპაგანდა შესაძლებე-
ი იყო. რაც შეეხება ხალხის პარნელისადმი სიყვარულს,
ელში იგი კიდევ უფრო გაძლიერდა და ყველასათ-
ის თვალ-საჩინო შეიქნა.

ყველამ კარგად იცოდა, რომ პარნელის ქონებრი-
ი მდგომარეობა მეტად ცუდ მდგომარეობაში იყო; ირ-
ანდიის საზოგადოებამ გადასწყვიტა დაეხსნა გაჭირვე-
ულ მდგომარეობისაგან ირლანდიისათვის თავ-განწირუ-
ი მებრძოლი და ხელის მოწერა გაიმართა. ხელის მო-
ერის დროს აღმოჩნდა, რომ ირლანდიის სასულიერო

წოდება ორად არის გაყოფილი: უმაღლეს ხარისხის მქონ-
ნებელნი პარნელის წინააღმდეგნი იყვნენ, დაბალი სამღ-
დელოება კი მისი მომხრე. თვითონ პაპმა საჭიროდ და-
ნახა ჩარეოდა ირლანდიის საქმეებში და მისი ბრძანები-
კარდინალ სიმეონიმ გაუგზავნა ირლანდიის სამღვდ-
ლოებას მიწერილობა, სადაც იგი აცხადებდა, რომ პა-
ნელის სასარგებლოდ გამართულ ხელის მოწერაში მ-
ნაწილეობის მიღება არ შეჰფერის კათოლიკე სამღ-
დელოებასო. მიუხედავად ამ მიწერილობისა სამღვდელო-
ბამ დიდი მონაწილეობა მიიღო ამ საქმეში და შედეგ-
კარდინალ სიმეონის წერილისა ის იყო, რომ პაპის ა-
ტორიტეტი ირლანდიაში შესამჩნევად დაეცა და სა-
გიეროდ გაძლიერდა სამღვდელოებაში ეროვნული გრძნ-
ბა და სიყვარული ეროვნულ გმირისადმი.

თუ პაპის ავტორიტეტმაც ვერა გააწყო რა პარნ-
ლის გავლენასთან, 1883 წლის ფაქტებმა დაამტკიცე-
რომ დიდებული აგიტატორი ყოვლის შემძლებელია ირ-
ლანდიაში. გლოსტერის საარჩევნო ოლქი, სადაც უმრა-
ლესობას ინგლისელები შეადგენენ, ყოველთვის პარნ-
ლისმის მოწინააღმდეგედ ითვლებოდა; მიუხედავად ამ-
სა, პარნელმა თავის უკიდურეს მომხრის ო'გილის კა-
დიდატურა წამოაყენა და აირჩიეს კიდეც მისი კანდიდ-
ტი. „ვისმე რომ ეთქვა ექვსი თვის წინედ, გლოსტერ-
წარმომადგენელი პარნელიტი იქმნებაო, სასაცილოდ ა-
დებდნენ და სულელს დაუძახებდნენო“, ამბობს ოფ-
ციალური Annual Register'-ი.

ძლიერი და შემაშფოთებელი შთაბეჭდილება მოა-
დინა ამ გამარჯვებამ ინგლისელებზე. „Times“-იც კ-

პარნელის შეურიგებელი მტერი, არ უმალავდა თა-
ის მკითხველებს, რომ ირლანდიის ბელადი არა თუ
ლიერია, არამედ ყოვლის შემძლებელიც. გათავდა ხე-
ის-მოწერა და აღმოჩნდა, რომ ცხრა თვის განმავლო-
ში შეეკრიბათ 380,000 მანეთი. 11 დეკემბერს დუბ-
ინში შესდგა მიტინგი და ფულები ჩააბარეს საყვარელ
�ირს.

ბევრი ფიქრობდა, რომ რადგანაც სესია მეტად
ფერული იყო, პარნელი არ მოინდომებდა სამინისტ-
როს მოქმედების კრიტიკას და გაკიცხვას, მაგრამ ძლიერ
ეცდენ: დიდებულ აგიტატორისათვის, რომელიც
როვნულის ცხოვრებით უფრო ცხოვრობდა, ვიდრე სა-
ერლამენტო ცხოვრებით, 1883 წელი წყნარი და უფე-
ული არ იყო. იმან სასტიკად გაჰკიცხა ირლანდიის
ამგებელი სპენსერი და მისი თანაშემწე ტრევილიანი
ა უნიკო პირები დაარქვა მათ. შემდეგ როცა საქმეე-
ის საზოგადო მდგომარეობას შეეხო, მან სთქვა, რომ
ომავალი წელი უნდა მოხმარდეს საარჩევნო რეფორ-
ას ირლანდიაშიო: ირლანდიას მეტი წარმომადგენლები
ნდა ჰყავდეს ინგლისის პარლამენტში, რომ ამით მან
�ენა იქონიოს სამინისტროს გამოცვლაზე. „თუ ჩვენ
�ება არა გვაქვს ვმართოთ ჩვენი თავი, იმას მაინც მო-
ოხერხებთ, რომ ჩვენი სურვილისამებრ გვმართონო“.
ორატორის ბოლო სიტყვებმა აუწერელი ენტუსიასმი და
ოტაცება გამოიწვია მსმენელებში: „ჩვენ უფლება გვაქვს
ყვნეთ ამაყნი, ენერგიულნი და იმედებით აღსავსენი,
ადგან ჩვენ თაობას მტკიცედ გადაწყვეტილი აქვს,
ე არ ჩამოვიდეს ცხოვრების ასპარეზიდან, რომ ჩვენს

შვილებს უზრუნველი არა ჰქონდეს დიდებული თან
დაყოლილი უფლება—ეროვნული დამოუკიდებლობა ...
ქონებრივი უზრუნველყოფა“.

ამ ნუგეშისა და იმედის მიცემა მეტად საჭირო იყო
ირლანდიელებისათვის: ფენიების თავ-განწირული ბრძო
ლა, რომელიც მხოლოდ სახრჩობელათი თავდებოდ
მეტად მძიმე პოლიტიკურ ატმოსფერას ჰქმნიდა. 10 დ
კემბერს ჩამოაღრჩეს ო'დონელი, 11 დეკემბერს, თვი
პარნელის მიტინგის დღეს, ჟოზეფ პული. ყოველ დღ
მოსალოდნელი იყო ამ გვარი შემზარავი ფაქტები.

VII

1884 წლამდე გლადსტონის სამინისტრო პრინცი
პიალურ პოლიტიკას არ მისდევდა. გარეშე საქმეები
არევ-დარევამ (არაბი-ფაშა ეგვიპტეში, სუდანი, რუსე
ჯარები საშუალო აზიაში), ტერორმა ირლანდიაში ...
მასთან ბრძოლამ შეძლება არ მისცეს გლადსტონს განკ
ხორციელებია ლიბერალურ პროგრამის ერთი უმთავ
რესი პუნკტი—საარჩევნო რეფორმა. მაგრამ ახლოვდ
ბოდა არჩევნები და სამინისტროს უნდა წარედგინა ამო
მრჩევლებისათვის თავის ნამოქმედარის ანგარიში. საჭ
რო იყო საარჩევნო რეფორმის დაჩქარება. თვითო
გლადსტონიც იმდენად მტკიცე და განსაზღვრულ ტრ
დიციებისა და რწმენების კაცი იყო, რომ არ შეეძლ
დაკმაყოფილებულიყო „საქმიან სამინისტროს“ მოთავე
როლით. ყველა ამ მიზეზების გამო, გლადსტონმა შეე
ტანა სათემო პალატაში (თებერვალი 1884 წ.) საარჩ
ვნო რეფორმის ბილი. 1867 წლის კანონით საარჩ

ლ უფლება ჰქონდა დედოფლის ყველა იმ ქვეშევრ-
ომს, რომელიც ან იხდიდა ქალაქში სადგომის წლიურ
ოსს არა ნაკლებ ათი გირვანქისა, ან სოფელში შემო-
ვალი ჰქონდა იჯარით აღებულ მიწიდან არა ნაკლებ
ორმეტი გირვანქისა. ამ კანონის ძალით მოკლებული
ო საარჩევანო უფლებას დიდძალი გლეხობა, რომელ-
ც არ ჰქონდა თორმეტი გირვანქა შემოსავალი. გლად-
ონის ბილით კი საარჩევნო უფლება ვრცელდებო-
ა ყველა ოჯახის უფროსზე მიუხედავად შემოსავლისა,
ე იგი, ინგლისში მყარდებოდა suffrage universelle'-ის *)
ზავსი საარჩევანო წესი. კონსერვატორები, როგორც
ინელ, ეხლაც დიდის სიცხარით წინააღუდგნენ გლადს-
ონის ბილს და სასტიკად ჰკიცხავდნენ მის ინიცია-
ორს. მაგრამ პროექტს არც მომხრეები აკლდა. ლიბე-
ალები ერთიანად სამინისტროს მხარეზე იყვნენ, გარდა
ისა, პარნელიტებიც მათკენ იყვნენ, რადგანაც ეს ბი-
ი მათთვის ერთობ ხელ-საყრელი იყო: გლადსტონის
ლით ინგლისში იქნებოდა 1,300,000-ით მეტი ამო-
ჩეველი, შოტლანდიაში—200,000-ით და ირლანდია-
ი—400,000-ით. ამ რეფორმის ძალით მთელი სახელ-
იფო წეს-წყობილება დემოკრატიული ხდებოდა. ყვე-
ზე ღრმა ცვლილებას იგი გამოიწვევდა ირლანდიაში,
დაც 400,000 უღარიბესი გლეხი ამომრჩეველი ხდე-
ოდა. რასაკვირველია, ეს ახალი ხმები დიდად გააძლიე-
ებდნენ პარნელისმს. ლიბერალების და პარნელიტების
ერთებულ ძალებს კონსერვატორებმა ვერ გაუძლეს
ბილი მიიღო სათემო პალატამ. ლორდებმა სცადეს

*) საყოველთაო საარჩევნო უფლება.

წინააღმდეგობა და უარ-ჰყვეს ბილი; მაგრამ რადგანაც ამან დიდი აღელვება გამოიწვია მთელ ინგლისში, ლორდებიც იძულებულნი შეიქმნენ დასთანხმებულიყვნენ (დეკემბერი 1884 წ.). 1885 წლის გაზაფხულზე მოახდინეს მანდატების განაწილება: ინგლისსა და უელსს ხვდა 495 წარმომადგენელი, შოტლანდიას—72 და ირლანდიას—103. სულ 670 დეპუტატი.

არც ამ რეფორმამ დააახლოვა პარნელი და გლადსტონი; ფენიქს-პარკის მკვლელობისა და ახალ განსაკუთრებულ კანონების შემოღების შემდეგ ირლანდიელებს ბელადი სრულებით გადაუდგა ლიბერალებს და ცდილობდა მათ სამინისტროს გადაყენებას. საარჩევნო რეფორმის შემდეგ, ლიბერალებისა და კონსერვატორების დამოკიდებულება მეტად გამწვავდა და პარნელიტებისა და კონსერვატორების დაახლოვება სამინისტროს გადასაყენებლად შესაძლებელი შეიქნა. ამასთანავე კაბინეტის საქმეებიც ვერ მიდიოდნენ კარგად: გენერალ კომარროვის გამარჯვებამ ავღანელებზე მეტად გაამწვავა ინგლისელებისა და რუსების დამოკიდებულება; არაბი-ფაშის აჯანყება მეტად გაიზარდა და საშიში შეიქნა; პარლამენტშიაც და პრესაშიაც მეტად ჰკიცხავდნენ სამინისტროს პოლიტიკას. პალატის უმრავლესობა მთავრობისაკენ იყო, მაგრამ ქყეყანას კი თან-და-თან გული უგრილდებოდა მასზე.

1885 წელს ვადა უთავდებოდა ირლანდიაში შემოღებულ საგანგებო კანონებს; ირლანდიელებს მეტად აინტერესებდა, თუ როგორ მოიქცეოდა სამინისტროს პრემიერმა დაკმაყოფილა ეს ცნობის-მოყვარეობა ლ

ანაცხადა, რომ იგი საგანგებო კანონების უმთავრესს ულებს მალე წარმოუდგენს პალატას, რათა მან ისინი ეველებრივ კანონად გახადოს. ამ განცხადების შემდეგ ბარნელი კონსერვატორებს დაუახლოვდა. მართალია, ამარჯვებისათვის ერთობ ბედნიერი შემთხვევა იყო საერო, რადგანაც უმრავლესობა სამინისტროსაკენ იყო, აგრამ ყველაფერი ისე მოეწყო, როგორც ეს პარნელს ენდოდა. პარნელის პარტია in corpore ესწრებოდა პარლიატის სხდომებს და ელოდა შემთხვევას სამინისტროს ინააღმდეგ უნდობლობის ვოტუმის წინადადების შეტანისას; და მართლაც მოხდა ამ გვარი შემთხვევი: 8 ივლისს ირჩეოდა პალატაში სამინისტროს პროექტი შესახებ მაგარ სასმელებისა; კითხვა არ იყო მაინც და მაინც ეიდ მნიშვნელოვანი და ამიტომაც ბევრი ლიბერალი არ დასწრებია სხდომას. ყველასათვის მოულოდნელად, ოპოზიცია საშინელის სიცხარით წინააღუდგა პროექტს, ანსაკუთრებით ცხარობდნენ პარნელიტები, და როცა კითხვას კენჭი უყარეს, სამანისტროს უმცირესობა შერჩა. ლადსტონის სამინისტრო მეორე დღესვე გადადგა სამეხურიდან.

თანახმად კონსტიტუციისა ახალ სამინისტროს შეგენა მიენდო ოპოზიციის მეთაურს სოლსბერის. ყველა ს ისე მოულოდნელი იყო, რომ ინგლისშიაც და უცეთშიაც ფიქრობდნენ, რომ გლადსტონი მიუხედავად ემთხვევით დამარცხებისა არ დაანებებდა სამინისტროს ეს, მაგრამ ლიბერალების მეთაურმა პირდაპირი უარი ანაცხადა. შეიძლება, მას უნდოდა მოეშორებინა თავიან აწეწილ-დაწეწილი საქმეები, შეიძლება მას ოპოზი-

ციაში ყოფნა ერჩივნა მომავალ არჩევნების დროს; ასე-
თუ ისე, ლიბერალური სამინისტრო გადადგა და მისი
ადგილი სოლსბერის კაბინეტმა დაიჭირა. დარჩნენ პი-
რის-პირ კონსერვატორები და პარნელიტები. არჩევნე-
ბამდე კიდევ რამდენიმე თვე იყო და ამ თვეების გან-
მავლობაში უპარნელიტებოდ კონსერვატორული სამი-
ნისტრო ვერ გასძლებდა, მისი ბედ-იღბალი პარნელის-
ხელში იყო და სამინისტროც არას ზოგავდა მისი გუ-
ლის მოგებისათვის; ირლანდიის გამგებელად დანიშნე-
გრაფი კერნვარონი, რომელმაც ირლანდიაში მისვლისა-
თანავე განაცხადა, რომ მისი მიზანია ირლანდიის ინგ-
ლისელებთან შერიგება. ეს სიტყვები იყო წარმოთ-
ქმული მას შემდეგ, რაც უელსის პრინცს, ტახტის მემ-
კვიდრეს, ირლანდიაში მოგზაურობის დროს, მეტად მტრუ-
ლად შეხვდნენ ირლანდიელები.*) ცხადი იყო, რომ
სოლსბერის ირლანდიელების გულის მოგება სურდა. 14
აგვისტოს თავდებოდა ირლანდიაში შემოღებულ საგან-
გებო კანონების ვადა, იმ საგანგებო კანონებისა, რომ-
ლის განახლებას აპირებდა ლიბერალური სამინისტრო.
სოლსბერიმ განაცხადა, რომ იგი არ განაახლებს ამ კა-
ნონებს და აასრულა კიდეც თავისი სიტყვა. გარდა ამი-
სა, საკვირველის სიჩქარით გავიდა პალატაში ახალი ბი-
ლი ფერმერების შესახებ: ამ ბილით ფერმერებს უფრო

*) მაგალ. „ღმერთო ჰფარვიდე დედოფალს“-ის მაგიერ მღე-
როდნენ „ღმერთო ჰფარვიდე ირლანდიას“. ბევრგან უსტვენდნენ,
კიდეც. კორკში, რომლის წარმომადგენელი პალატაში პარნელი
იყო, პრინცმა ვერ გაბედა წასვლა.

ადვილათ შეეძლოთ შეეძინათ მიწა სახელმწიფო საადგილ-მამულო ფონდის დახმარებით.

შუა აგვისტოში დაითხოვეს პარლამენტი და ახალი არჩევნები დანიშნეს დეკემბრისათვის. საარჩევნო აგიტაცია პალატის დათხოვნისათანავე დაიწყო; სამივე პარტია განსაკუთრებულის სიმხურვალითა და ენერგიით ეკიდებოდა საქმეს. ლიბერალები სცდილობდნენ ხელ-ახლავ პართებლობის ხელში ჩაგდებას, კონსერვატორები — პალატაში უმრავლესობის შეძენას, პარნელიტები კი — ამდენ მომხრეების გაყვანას, რომ არც ერთ პარტიას უმათობა არ შესძლებოდა. აგიტაცია მით უფრო გაცხარებული იყო, რომ ძნელი იყო გამოცნობა, ვინ გაიმარჯვებდა. ლიბერალებს საარჩევნო რეფორმის იმედი ჰქონდათ, კონსერვატორებს — ლიბერალების გარეშე პოლიტიკის სისუსტისა. პარნელმა კი ისე მოაწყო საქმე, რომ ჯერჯერობით არავინ იცოდა, ვის მიემხრობოდა იგი.

ამ კითხვის გამოსარკვევად კონსერვატორული კაბინეტი იძულებული იყო მოლაპარაკება გაემართა პარნელთან. ლორდ კერნვარონმა, ირლანდიის გამგებელმა, წარმოსცა იგი ამ საქმისათვის: რაზედ ჰქონდათ მათ ლაპარაკი, აქამდის არავინ იცის. შემდეგში პარნელი ამბობდა, რომ კერნვარონი სოლსბერის სახელით შეჰპირდა მას საკუთარ პარლამენტს ირლანდიისათვის და რადიკალურ აგრარულ რეფორმას, თუ პარნელი კონსერვატორებს მიემხრობოდა როგორც არჩევნების დროს, ისე შემდეგშიაც. შემდეგ კერნვარონმა გამოაცხადა, რომ ის არას დაჰპირებია პარნელს და ჰომრულზე მხოლოდ უბრალო ლაპარაკი ჰქონდათ. ასეა თუ ისე, კონსერვატორების

ქცევა პარნელიტების შესახებ ისეთი იყო, რომ კაბინეტის სურვილი მათთან მორიგებისა ეჭვს გარეშეა.

პარნელს შეეძლო ძვირად გაეყიდა თავისი კანდიდატურა. ის აღტაცება და ოვაციები, რომლითაც მას დახვდნენ ირლანდიაში, იმისი მაჩვენებელი იყო, რომ მისი კანდიდატები ამორჩეულ იქმნებოდნენ. როგორც კონსერვატორები, ისე ლიბერალებიც სცდილობდნენ მის მიმხრობას. ბუნებრივია, როცა ამისთანა გარემოებებში მოღვაწე მაინც და მაინც არ ებღაუჭება თავის პროგრამის უკიდურეს მხარეებს, თუ კი იმედია, რომ ეს პროგრამა ასე თუ ისე განხორციელდება. პარნელი ასულ სხვანაირად იქცეოდა: მას იოტის ოდენიც არ შეუცვლია თავისი პროგრამა და ტაქტიკა. იგი გამარჯვებული წარსდგა ამომრჩევლების წინაშე: 1880 წლის აგრარული ბილი, 1885 წლის ბილი შესახებ მიწის შეძენისა ფერმერების მიერ, ფორსტერის და სპენსერის გადმოცვლა, კერნვარონის დანიშვნა—აი ყველასათვის თვალსაჩინო შედეგები პარნელის მოღვაწეობისა. მაგრამ ეს მატერიალური შეძენა კი არ იყო პარნელის უმთავრესი დამსახურება: თავის ობსტრუქციით, დაუღალავის ბრძოლით გლადსტონთან, მოხერხებულის მიდგომ-მოდგომით, მან ჩამოაგდო ლიბერალური სამინისტრო და აიძულა კონსერვატორები, ეცქირათ ირლანდიელებისათვის როგორც სასურველ მოკავშირეებისათვის, ურომლებოთაც შეუძლებელია გამგეობის ხელში შერჩენა. უმნიშვნელო, დაქსაქსულ და უმოქმედო ჯგუფის მაგიერ (ისააკ ბიუტის პარნელმა შექმნა პატარა, მაგრამ დასციპლინის მორჩილი პარტია, რომელმაც გავლენა მოიპოვა დიდი ბრ-

ლანიის პარლამენტში. გარდა ამისა, მხოლოდ პარნელ-
ი აღამაღლა ერის პოლიტიკური და ეკონომიური იდეა-
ლები, გაამხნევა იგი და პირველად, ორმოცის წლის
ბოლოს შემდეგ (40 წლის წინად ო'კონელის მო-
ღვაწეობა), მისის მეოხებით ირლანდია წარსდგა ევრო-
პის წინაშე, როგორც ერი ნაციონალურის თვითცნო-
ბიერებით და ისტორიულის წარსულით, რომელიც მზად
ერის იბრძოლოს უკეთესის მომავლისათვის.

აი რა პასუხის მიცემა შეეძლო პარნელს, თუ მას
ეკითხაკდნენ, რა გააკეთა მან ირლანდიისათვის.

1884 წლის საარჩევნო რეფორმამ დიდი ძალა შეს-
ძინა პარნელს. ამ რეფორმამ სათემო პალატა ნამდვილ
„ახალხო პალატად“ გადააქცია და სახალხო პალატაში
ახალხო გმირს ყოველთვის შეუძლია ძლიერი იყოს.

პარნელმა პირდაპირ გამოაცხადა, რომ იგი მომხ-
ბელია ირლანდიის სრულ დამოუკიდებლობისა, იმისთანა
დამოუკიდებლობისა, რომელიც ჰომრულზე მეტია. „არა-
ვს არა აქვს უფლება უთხრას თავის ქვეყანას: აი აქამ-
დე იარე, უფრო შორს წასვლა კი არ გაბედოვო. მე
ამს დღეში არ ვსცდილვარ, საზღვარი დამედო ირლან-
ელთა ეროვნულ მისწრაფებისათვის და არც შემდეგ-
ი ვიფიქრებ ამას“. პარნელი ყველაზე უფრო იდეალე-
ს ნება-ყოფლობით შეზღუდვას უფრთხოდა. 24 აგვის-
ოს, დუბლინში, პარნელს გაუმართეს ბანკეტი, რომელ-
ზედაც წარმოსთქვა დიდი სიტყვა. აქ მან მადლო-
ბა გამოუცხადა თავის პარტიას ნაღვაწისათვის და მიაქ-
ცია დამსწრეთა ყურადღება იმ გარემოებას, რომ უმთავ-
სი მიზანი ჯერ მიუღწეველია: ირლანდიას ჯერ საკუ-

თარი პარლამენტი არა აქვს. „მე დარწმუნებული ვარო
—სთქვა პარნელმა,—რომ ერთად ერთი დიდი შრომა
რომელიც ჩვენ ეხლა პალატაში მოგველის, არის ჩვენ
საკუთარის, ეროვნულის პარლამენტის აღდგენა. მაგრა
რა უნდა გავაკეთოთ, როცა ჩვენ მივაღწევთ ამ მიზანს
ჩვენ გვინდა საკუთარი პარლამენტი იმისთვის, რომ მო
სპოთ ფერმერების დაჩაგვრა, მათი განდევნა მამულიდან
რომ ფერმერი მესაკუთრე გავხადოთ. ყველაზე უწინ ა
ამისთვის გვინდა პარლამენტი. შემდეგ ჩვენ უნდა ავ
ღორძინოთ მრეწველობა, რათა ხელოსანსაც და ქალ
ქის მუშასაც შეეძლოს ცხოვრება და სულის მოთქმა. ა
გვარად ჩვენ ბევრი საქმე მოგველის ინგლისის პარლ
მენტშიაც—დროებით, და მომავალ ირლანდიის პარლ
მენტშიაც—მუდმივ. მე იმედი მაქვს, რომ ჩვენ ლორდ
ბის პალატა არ გვექნება“.

ამ სიტყვას სხვა სიტყვები მოჰყვა, რომლებშია
პარნელი ამტკიცებდა, აუცილებელი საჭიროებაა ირლან
დია დაიკეტოს ინგლისელ საქონლისათვისო. ეს საქმე ერ
თი უდიდესთაგანიაო,—ამბობდა იგი,—რომელიც ირლან
დიის მომავალმა პარლამენტმა უნდა შეასრულოსო. ა
კილომ მოთმინებიდან გამოიყვანა ინგლისის პრესა, რო
მელიც პალატის დათხოვნის შემდეგ ასე მოფერები
ლაპარაკობდა პარნელისმზე „Daily News“-ი გულ ნატკ
ნად ჰკითხულობდა, როდემდის უნდა ითმინონ კონსერ
ვატორებმა და ლიბერალებმა პარნელის „ტირანიაო“
„Manchester Guardian“-ი იმედოვნებდა, რომ არ არ
ინგლისში ისეთი პარტია, რომელსაც ზიზღს არ ჰგვრ
დეს ირლანდიელთა ლიდერის კადნიერებაო. „Standart“-ი

ძალულებულად სთვლიდა თავის თავს გამოეცხადებინა, რომ სირცხვილია ლიბერალებისა და ტორიებისათვის, რომ ისინი იბრძვიან საშიშ მტრის გულის გასახარებლად და სასარგებლოდ.

მიუხედავად ამისა, პარნელმა წარბ-შეუხრელად გამანიმეორა თავისი სიტყვები უიკლოუში ნ ოქტომბერს; ხალი ახსნაც მიუმატა წინად გამოთქმულ აზრს; მან გამოაცხადა, რომ არაფრის გულისათვის არ შეუიგდება შეზღუდულ თვით-მართველობას: ირლანდიის პარლამენტს უნდა ჰქონდეს განუსაზღვრელი უფლება ეროვნულის საქმეებში. სხვათა შორის, მას უნდა ჰქონდეს უფლება გაეგზავნა დადებისა უცხო (ესე იგი ინგლისურ) საქონელზე. ერთის სიტყვით პარნელი თხოულობდა ირლანდიის პოლიტიკურ და ეკონომიურ დამოუკიდებლობას ინგლისისაგან.

ლიბერალების ერთი ნაწილი მაშინვე წინააღუდგა პარნელს: კავშირის ფასი მეტად ძვირი იყო მათთვის. ბოლოს გარტინგტონმა განაცხადა ერთ მიტინგზე, რომ ასეთი ჰომრული, როგორსაც პარნელი თხოლობს, ჭკუაში მოსასვლელი არ არის და ირლანდია ვერასოდეს ვერ მიიღებს მასო. მაშინ პარნელმა ერთ ახალ სიტყვის წარმოთქმის დროს შეჰნიშნა: „მე ვფიქრობ, რომ თუ სურთ შეუძლებელი გახადონ ჩვენთვის ჰომრული, ჩვენ შეუძლებლად გავხდით ყველა საქმეებს“. ასეთი მუქარა იმისთანა კაცისა, როგორიც პარნელი იყო, სახუმარო არ იყო, და დიდი შთაბეჭდილებაც მოახდინა ლიბერალებზე. კონსერვატორებიც ჰკიცხავდნენ პარნელის რევოლუციონურ სიტყვებს, მაგრამ არა ისე გადაჭრით, რო-

გორც ლიბერალები: ამათ უფრო ეშინოდათ არჩევნ
ბის შედეგისა.

რამდენად ახლოვდებოდა არჩევნები, იმდენად უფ
რო რბილად ეპყრობოდა პარნელს ორივე მებრძოლ
პარტია: ლიბერალმა მორლეიმ გამოაცხადა, რომ იგ
სრულებით წინააღმდეგი არ არის ირლანდიის ვრცელ
თვით-მართველობისა; მეორე ლიბერალმა ჩაილდერს
გამოსთქვა ის აზრი, რომ ირლანდიელებს შეუძლიან
მოაწყონ თავიანთი საქმეები ისე, როგორც ეს მათ ჰსურ
მხოლოდ სადამოჟნო პოლიტიკა ინგლისელების ხელ
უნდა დარჩესო. მაგრამ გლადსტონს არ უყვარდა აუც
ლებლობის გავლენით საჯაროდ შეჰკვროდა ვისმე ჰ
რობით და ამიტომაც უესტ-კელდერში (17 ოქტომბერ
ვამოაცხადა, რომ ჯერ პარნელი მხოლოდ პარნელია
მეტი არაფერი; მისი და ირლანდიის გაერთიანება ნაა
რევია; გამოთქვას ირლანდიამ თავისი აზრი კენჭით
მაშინ ვილაპარაკებთ იმისთანა დიდ-მნიშვნელოვან კ
ხვაზე, როგორიც ჰომრული არისო. 21 ნოემბერს,
იგი, გლადსტონის სიტყვის ოთხი დღის შემდეგ, პა
ნელმა გამოსცა მანიფესტი, სადაც იგი თხოულო
და ირლანდიელებისაგან, რომ ლიბერალებისათვის ე
თი კენჭი არ მიეცათ. ლორდ სოლსბერი გლადსტონ
უფრო ხერხიანად და ფრთხილად მოიქცა. მისი სიტ
„Times“-ის თანამშრომელსაც დააკმაყოფილებდა და ვე
პარნელიტი დასწამებდა მას ჰომრულის იდეის მტრობ
დეკემბერში არჩევნები მოხდა. ლიბერალები ამოა
ჩიეს—335, კონსერვატორები—249 და პარნელიტები
86 (39-ის მაგიერ). თუ პარნელი კონსერვატორებს მ

ხრობოდა, სამინისტროს იმდენივე მომხრე ეყოლებოდა, ამდენიც ოპოზიციას, და როგორც იქნებოდა, მოახერ-ებდა არსებობას. თუ იგი ლიბერალებს მიუდგებოდა, ამინისტრო მიშინვე უნდა გადამდგარიყო. პარნელმა ნაღწია თავის მიზანს: ინგლისის სამინისტროს ბედი მის ელთ იყო.

VIII

გათავდა თუ არა არჩევნები, გავარდა ხმა, რომ ლადსტონს განზრახვა აქვს ირლანდიის ჰომრულის პრო-ექტი წარუდგინოს ახლად არჩეულ პარლამენტსაო. ხმამ მეტად დიდი მღელვარება გამოიწვია ინგლისის ზოგადოებაში. ბევრს არც კი სჯეროდა იგი და საბუ-�იც ჰქონდა: გლადსტონის სამინისტრომ 1880—1885 წ. დაჰხურა აგრარული ლიგა, სდევნიდა და ატუსა-ებდა პარნელს და მის ამხანაგებს, შემოიღო ირლან-დიაში ორი საგანგებო კანონი, უკიდურესობამდე ებრ-ძოდა ობსტრუქციას; გარდა ამისა თვით გლადსტონმა ორმოსთქვა სულ ეხლახან პარნელის სიტყვების გამო, რომ პარნელი ირლანდია არ არისო და ამიტომ არც ეფდა მივაქციოთ ყურადღება მის სიტყვებსო. რას უნდა ნიშნავდეს ამ გვარი ცვლილება?

ვისაც სარწმუნოდ მიაჩნდა ეს ხმა, ისინი ამბობდ-ნენ, რომ გლადსტონი ყოველთვის ჰომრულის მომხრე იყო, და, რომ ფენიები და პარნელის ობსტრუქცია არა, ეს დამოკიდებულება ირლანდიასთან სულ სხვა იქნე-ებოდა; ამ აზრის დასამტკიცებლად მოჰყავდათ აგრარუ-ლი რეფორმა და კილმანგემის ხელშეკრულება პარნელ-

თან. ფიქრი, ვითომ გლადსტონი იმიტომ მიემხრო ჰომ-
რულიორებს, რომ მათი ხმების დახმარებით გადაეყენ-
ბინა კონსერვატორების სამინისტრო, შეეძლო მხოლოდ
იმისთანა კაცს, რომელიც არ იცნობდა სრულიად ლი-
ბერალების მხცოვან მეთაურს: მთელ თავის ხანგრძლივ
მოღვაწეობის განმავლობაში (ტორიების მოშორების შენ-
დეგ) გლადსტონს ერთი სიტყვაც კი არ წარმოუთქვამ
იმისთანა, რომელიც წმინდა ლიბერალების პრინციპებ-
ეწინააღმდეგებოდეს. იგი ებრძოდა პარნელიტებს მანამ-
დე, სანამდე საბუთი ჰქონდა ეფიქრა, რომ პარნელიტ-
ბი უმცირესობას შეადგენდნენ. 103 ირლანდიელ დეპ-
უტატებში პარნელიტი იყო მხოლოდ 39. მაგრამ რო-
ცა 1885 წელს ირლანდიამ 86 პარნელიტი გამოგზავნ-
პარლამენტში, გლადსტონი დარწმუნდა, რომ ჰომრულ-
და აგრარული რეფორმა მთელის ერის სურვილი ყოფ-
ლა. ეხლა რომ გაჯიუტებულიყო გლადსტონი და ყუ-
რი არ ეთხოვა ერის სურვილისათვის, ეს იქნებოდა ნა-
დვილ ლიბერალისმის ძირითად დედა-აზრების ღალატ-
გლადსტონმა, რასაკვირველია, კარგად იცოდა გოშენ-
სა, ჰარტინგტონისა და სხვა გავლენიან ლიბერალებ-
აზრი ჰომრულის შესახებ; იგი მოელოდა განხეთქილებას
თავის დანაკლისს, მაგრამ არ უნდოდა ეღალატნა თ-
ვის დედა-აზრებისათვის, არ უნდოდა განეგრძო სა-
ტიკი ბრძოლა პარნელთან იმისთანა საქმის გულისათვის
რომლის სიმართლე და სამართლიანობა თვითონ მას ა-
სწამდა. 1886 წელს სესიის დასრულებისათანავე ყველ-
დარწმუნებით იცოდა, რომ გლადსტონი პარნელის მხ-
რეს გადავიდა. პარნელმაც, რასაკვირველია, დაინახ-

რომ კონსერვატორები, თუ ისინი არ უღალატებდნენ
ავიანთ პროგრამას, ირლანდიას არაფერს მისცემდნენ,
და უყოყმანოდ გლადსტონს მიემხრო. ყველასათვის ცხა-
ი შეიქნა, რომ სოლსბერის სამინისტრო ერთ თვესაც
ერ გასტანდა.

სესია დაიწყო 12 იანვარს (1886 წ.); სასეფო სი-
ტყვის შემდეგ შეუდგნენ საპასუხო ადრესის განხილვას
და ამ განხილვის დროს ცხადად გამოირკვა პარტიების
ახალი დანაწილება. 26 იანვარს, ლიბერალმა ჯესი კო-
ლინსმა მოითხოვა, რომ ადრესში შეეტანათ შემდე-
ი სიტყვები: „პალატა უპატივცემულესად გამოსთქვამს
წუხარებას იმის გამო, რომ მისმა უდიდებულესობამ არ
უჩვენა იმისთანა ზომები, რომელნიც შეუმსუბუქებ-
დნენ ფერმერებს მიწისა და სახლის საკუთრებად შე-
ენას“. სოლსბერის სამინისტრო წინააღმდეგი იყო ამ
სიტყვების ადრესში შეტანისა; თვრამეტი ლიბერალი,
ჩარტინგტონის მეთაურობით, სამინისტროს მიემხრო;
ბარნელი მთელის თავის ძალით გლადსტონისაკენ გადა-
	და და გადაწყდა კიდეც საქმე. მოხდა კენჭის ყრა და
329 ხმა სამინისტროს წინააღმდეგი იყო და 250 მის
ხარეზე. სოლსბერის უნდა დაეთმო თავისი ადგილი
ლადსტონისათვის.

საქმეები საშინელის სისწრაფით მიმდინარეობდნენ:
6 იანვარს დაეცა სოლსბერის კაბინეტი, 1 თებერვალს
ესდგა ახალი სამინისტრო; ამავე დღესვე ყველამ გაი-
ო, რომ ირლანდიის საქმეების სტატსეკრეტრად (მინის-
ტრად) ინიშნებოდა ჯონ მორლეი, და ეს კი იმას ნიშ-
ავდა, რომ მთავრობა ბზად არის მისცეს ირლანდიას

ყველაფერი, რაც კი სასურველია მისთვის. მეორე დღეს
ვე გაიგეს, რომ ჰარტინგტონი და მასთან ბევრი გაველ
ნიანი ლიბერალი საუკუნოდ თავს ანებებენ გლადსტონ
სო. მართლაც, მაშინ დაიწყო ლიბერალურ პარტი
განხეთქილება, რომელმაც ეს პარტია უღონობამდე მ
იყვანა. ჰარტინგტონი და მისი თანამოაზრეები აღშფ
თებულნი იყვნენ გლადსტონის ყოფა-ქცევით, მისი პა
ნელთან დაახლოვებით, იმ პარნელთან, რომელსაც სძულ
და ლიბერალები და არ ჰფარავდა ამ გრძნობას, და კ
დევ უფრო აღთქმით, რომელიც გლადსტონს ირლა
დიელებისათვის მიეცა. ეს გამოყოფილი ლიბერალე
ინგლისისა და ირლანდიის ერთობის, უნიის, მომხრე
იყვნენ და ამიტომ მათ უნიონისტები ჰქვია და, რადგ
ნაც ისინი თავის-თავს ლიბერალებად სთვლიან, მა
ოფიციალური სახელ-წოდებაა—„ლიბერალ-უნიონისტ
ბი“; ეს ახალი პარტია გაჩნდა 1886 წლის იანვარ
და იზრდებოდა მთელის გაზაფხულის განმავლობაში.

ორ თვეზე, ახალ სამინისტროს შედგენის შემდ
გლადსტონმა გამოაცხადა, რომ რვა აპრილს იგი წ
მოუდგენს პალატას ირლანდიის ჰომრულის პროექ
ამ პროექტით აღძრული ინტერესი იმდენად დიდი იყ
რომ დანიშნულ დღეს დილა ადრიან პარლამენტის
რებს აუარებელი ხალხი მიაწყდა; სათემო პალატაში ტ
ვა აღარ იყო; ელჩებსაც კი უჭირდათ ადგილის შოვ
დიდი ბრიტანიის მთავარ-მინისტრი როგორც ინიც
ტორი ირლანდიის ჰომრულისა მართლა რომ მეტ
საინტერესო მოვლენა იყო. გლადსტონის ბილით,
რანდიის საკუთარი საქმეები უნდა განეგო დუბლი

ალამენტს; პარლამენტი შესდგებოდა ორი პალატისა-
ან; ზემო პალატის წევრები ზოგი არჩეული უნდა ყო-
ფილიყო (საფრანგეთის სენატორი), ზოგიც მემკვიდ-
რეობით (ლორდი ინგლისის პარლამენტისა); ქვემო
პალატა უნდა არჩეულიყო ისე, როგორც ინგლის-
ში; დეპუტატთა რიცხვი 206; ირლანდიას უნდა შე-
ტანა წლიურად იმპერიის ხაზინაში—3,244,000 გირ-
ანქა სტერლინგი; აღმასრულებელი ორგანო—სამინისტ-
რო, რომელიც პასუხის მგებელი უნდა ყოფილიყო დუ-
ბლინის პარლამენტის წინაშე. გარეშე პოლიტიკა რჩე-
ოდა სავსებით ინგლისის პარლამენტის ხელში.

ამ გვარად, გლადსტონის ბილი აძლევდა ირლან-
დიას ვრცელ თვით-მმართველობას და თუ ვერ აკმაყო-
ფილებდა პარნელის ყველა სურვილებს, თუ ზემო-პა-
ლატა და სამ მილიონ ნახევარი გადასახადი ირლანდი-
ათვის მაინცა-და-მაინც საჭირო არ იყო, გლადსტო-
ნს ჰომრული ყოველ-შემთხვევაში ერთობ დიდი ნაბი-
ჯი იყო მტრად გადაკიდებულ ერების შერიგებისაკენ.
ამიტომაც პარნელიტებმა იმ თავითვე მხარი მისცეს მთა-
ვარ-მინისტრს. დიდის ოვაციით შეხვდნენ მხცოვან მე-
ფურს ლიბერალები და ირლანდიელები; უნიონისტე-
ბს მტრობამ კი ისე ცხადად იჩინა თავი, რომ კონსერ-
ვატორებს გამარჯვების იმედი მიეცათ. 7 ივნისს ბილს
ორედ კითხულობდნენ. საჭირო არ არის, მოვიყვანოთ
ლომის ანგარიში. ორი მოპირდაპირე პარტია სულ
ცა-და-სხვა ნაირად უყურებდა კითხვას. მათი აზრე-
ბა შეთანხმება ან შერიგება შეუძლებელი იყო. გლად-
სტონის მომხრეები ამტკიცებდნენ, რომ იმპერიისათვის

სასარგებლოა ირლანდიისათვის ჰომრულის მიცემა; პარ-
ნელიტები ამბობდნენ, რომ ირლანდიის ერთად-ერთ
ხსნა ჰომრულია; კონსერვატორები ჰფიცავდნენ, რომ
ინგლისელების არსებითი ინტერესები უნიის დაცვას თხო-
ულობენო; უნიონისტები გაიძახოდნენ, რომ ისინი არ
მისცემენ პარნელს დიქტატორობას და დიდი ბრიტანიის
პარლამენტის ბრძანებლობის ნებას. კამათი ხანგრძლივი
არ ყოფილა. როცა საქმე კენჭზე მიდგა, 93 უნიონის-
ტი მიემხრო კონსერვატორებს და ამით შეადგინეს უმ-
რავლესობა—93+250=343; გლადსტონის მომხრეებმ
იყვნენ 228 ლიბერალი და 85 პარნელიტი, სულ 313
ხმა. პრესაში ის აზრი იყო გამოთქმული, რომ მთავარ-
მინისტრი გადადგებაო; მაგრამ ეს აზრი არ გამართლდა;
გლადსტონმა დაითხოვა პარლამენტი და კითხვის გადაწ-
საწყვეტად ამომრჩევლებს მიმართა.

ახალმა არჩევნებმა სრულებით შესცვალეს საქმის
მდგომარეობა. საარჩევნო ასპარეზზე პირველად გამოვი-
და ახალი პარტია—ლიბერალ-უნიონისტები, და საარჩე-
ვნო ბრძოლა ჰომრულიორებსა და უნიონისტებ შორის
იყო. პარნელიტები, სადაც-კი შეეძლოთ, ლიბერალებს
ეხმარებოდნენ.

საარჩევნო აგიტაცია პარლამენტის დათხოვნამდე და-
იწყო. 12 ივნისს ჩემბერლენმა ბირმინგამში წარმოსთქვა
სიტყვა ამ სიტყვაში იგი მწარედ უჩიოდა გლადსტონს;
აბრალებდა მას ფრონტის გამოცვლას, შიშს პარნელი-
წინაშე, ამტკიცებდა, რომ პრემიერი პაიკია „ირლანდი-
ის მეფის“ ხელში. გლადსტონმა ამაზე ის უპასუხა, რომ
ჰომრული დააკავშირებს ირლანდიასა და ინგლისს ნაშ-

ვილის კავშირითო. ჰარტინგტონი უსაყვედურებდა ლიბერალების მეთაურს. რომ მას ახსოვს მხოლოდ ირლანდიელები და სრულებით ავიწყდება ირლანდიაში მცხოვრები ინგლისელები, რომელნიც დუბლინის პარლამენტის მინები უნდა გახდნენო. ძველი ლიბერალი ჯონ ბრაიტი უნიონისტებს მიემხრო და დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მისმა ღია წერილმა, რომელიც გლადსტონს მისწერა და რომელშიაც ხაზ-გასმული იყო გლადსტონის აზრების ეგრე ჩქარი გამოცვლა. პარნელიტები ბულ-მოდგინედ და გულ-წრფელად სცდილობდნენ გლადსტონის სასარგებლოდ. მათის წარმოდგენით, გლადსტონის მოქცევა პარნელის ბრწყინვალე გამარჯვება იყო, და როგორც გლადსტონმა გამოსცვალა თავის შეხედულება პარნელზე, ისე ამათ გამოსცვალეს თავიანთი აზრი ინესახებ ლიბერალების მეთაურისა. მაგრამ ეროვნული ერძნობა აღძრული და ამოქმედებული იყო არა მარტო ირლანდიაში და, რასაკვირველია, იმ მხარემ გაიმარჯვა, რომელიც რიცხვით მეტი იყო, ესე იგი ინგლისმა.

არჩევნები 1 ივლისს დაიწყო. პარნელიტები აირჩეს—84, ლიბერალები—191, კონსერვატორები—317 და უნიონისტები 74; ივლისის დამლევს გლადსტონი ხდადგა და მისი ადგილი სოლსბერიმ დაიჭირა.

IX

აქამდე, ესე იგი 1886 წლის არჩევნებამდე, პარნელი ბასტიკად ებრძოდა როგორც კონსერვატორებს, ისე ლიბერალებსაც. ინგლისის ყოველი სამინისტრო და ყოველი პარტია მისი მტერი იყო. თუ იგი ხან-და-ხან უახლოვ-

დებოდა ან უკავშირდებოდა რომელსამე პარტიას (მა
გალითად ვიგებს „კილმანგემის ხელშეკრულების“ დროს)
ეს დროებითი კომბინაცია იყო ყოველთვის. 1886-ი
არჩევნების შემდეგ კი საქმემ სულ სხვა მიმართულებ
მიიღო: გლადსტონმა და მისმა პარტიამ საფრთხეში ჩაა
გდეს თავიანთი პოლიტიკური მომავალი, არ შეუშინდ
ნენ ლიბერალურ პარტიის განხეთქილებას, უღალატე
ინგლისის ეროვნულ ტრადიციებს და ჰომრულის საქმ
წინ წამოაყენეს; ამითი გლადსტონის დასი ირლანდია
თვითმართველობის დასი გახდა და პარნელს თამამა
შეეძლო ხელი მიეცა მისთვის, მით უმეტეს, რომ ლ
ბერალებს ეხლა აღარ შეეძლოთ უკან დახევა და პარ
ნელის დახმარება მათთვის მეტად საჭირო იყო. რა
შეეხებოდა სოლსბერის, პარნელი დარწმუნდა, რომ იგ
ირლანდიას ჰომრულის არასოდეს არ მისცემს, ცხად
იყო, რომ ირლანდიელთა დასი უნდა მიმხრობოდა ლ
ბერალებს და კონსერვატორებისათვის შეურიგებელ
ბრძოლა გამოეცხადებინა.

ამ გვარად წინანდელი მტრები ეხლა პოლიტიკურ
მეგობრები შეიქნენ; ხანგრძლივ რყევის შემდეგ პა
ლამენტის დასები ბუნებრივად დაიყვნენ; ლიბერალებ
იცავდნენ ეროვნულ თვითმართველობის პრინციპს, კო
სერვატორები—იმპერიალისმს (ბრიტანია—ერთი განუყ
ფელი იმპერია). 1886-დან 1891-ამდე არ ყოფილა შ
თხვევა, რომ პარნელიტები გლადსტონს გადასდგომო
ნენ. სესიის დაწყებისათანავე, პარნელმა წარადგინა პა
ლამენტში ბილი ირლანდიის არენდატორების მდგო
რეობის გაუმჯობესობის შესახებ. ამ ბილით იმ პირებ

ბომელთაც მარტო სახლები ჰქონდათ აღებული იჯარით, აგივე უფლებანი უნდა მისცემოდა, რაც მიწის არენდატორებს ჰქონდათ. გარდა ამისა ყველა არენდატორებს უნდა ჰქონოდა შეღავათიანი კრედიტი ხაზინიდან საარენდო მიწის საკუთრად შეძენისათვის. სამინისტრო წინააღმდეგი გაუხდა ამ პროექტს; გიქს-ბიჩმა ჩვეულებრივის შხამიანის ირონიით უთხრა პარნელს: „მე ძალიან კარგად ვიცი, თუ რამდენად საჭიროა მთავრობისათვის ირლანდიელ დეპუტატებთან თანხმობით ყოფნა, მაგრამ ჩვენ უფლება არა გვაქვს ვიყიდოთ ეს თანხმობა უსამართლობით (ლენდ-ლორდების მიმართ)“. პარნელის ბილი ჩაგვიდა; კონსერვატორები და უნიონისტები ლიბერალებზე და პარნელიტებზე მეტ ძალას შეადგენდნენ. ბევრი მწარე სიტყვები ვაგონეს გლადსტონს მოწინააღმდეგეებმა ამ ბილის განხილვის დროს; ხშირად უბრუნებოდნენ მის „მოქცევას“, „ინგლისის სავლის ირლანდიის პავლედ გახდომას“; მის მომხრეებს სწამებდნენ პარნელის წინ ქედის მოდრეკას, თავის ერის ღალატს. ... სხვ. გლადსტონის ერთმა მომხრემ, დაბეჭდა საპასუხოდ ... ბილი, სადაც იგი ამართლებდა თავის პარტიის ქცევას. ... ნ პირდაპირ გამოაცხადა, რომ ლიბერალების წინანდელ ... პოლიტიკა, პოლიტიკა განსაკუთრებულ კანონებისა, ... ცდომა იყოვო. გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ სასტიკ ... ების შემოღება ირლანდიაში სრულებით უნაყოფ ... ია და 86 პარნელიტის არჩევამ ხომ თვალი აგვიხილა ... დაგვანახვა ირლანდიის ნამდვილი სურვილი და საჭ ... როებაო. ამისთანა დეკლარაციების შემდეგ პარნელს

უფლება ჰქონდა ლიბერალები თავის ნამდვილ მომხრეების რიცხვში ჩაეთვალა.

ცოტა ხნით მიწყნარებული ირლანდია ისევ შეინძრა და აღელდა; ხელ-ახლავ გახშირდა არსებულ აგრარულ კანონების დარღვევა, მათ წინააღმდეგ მოქმედება, მთავრობის მომხრეების დევნა და რბევა. როდესაც პარლამენტში ატყდა ლაპარაკი ირლანდიის დამამშვიდებელ ზომების შესახებ, პარნელმა სთქვა დიდი სიტყვა, სადაც სხვათა შორის ამბობდა: „თუ ახალ განსაკუთრებულ ზომებს შემოიღებთ, მერწმუნეთ, ამითი უფრო ააღელვებთ ირლანდიას, ვიდრე ყველა ამერიკის აგიტატორები, ნიუიორკიდან დაწყებული სან-ფრანცისკომდე. ერთად-ერთი ხსნა ჰომრული და აგრარული რეფორმაა“. 28 მარტს 1887 წ. კაბინეტის წევრმა ბალფურმა წარმოუდგინა პარლამენტს პროექტი იმ განსაკუთრებულ ზომებისა, რომლის საშუალებით სამინისტრო მღელვარე ირლანდიის დაწყნარებას ჰფიქრობდა. ბალფური, სხვათა შორის, იმით ამტკიცებდა მთავრობის ბილის აუცილებლობას, რომ სამინისტროს ვალად ადევს დაიფაროს 770 ლენდ-ლორდი განსაკუთრებულ აგენტების დანიშვნითო; თვითეულ აგენტის ჯამაგირი უნდა იყოს 70 გირვანქა სტერლინგიო (700 მ.). ასე რომ მთავრობას მებატონეების უშიშრად არსებობა უნდა დასჯდომოდა 550 ათასი გირვანქა, რაც თვითონ ბალფურის აზრით, ცოტა არ იყო. გარდა ამისა, ბოიკოტმა ისევ თავი იჩინა; 1887-ში ეს ზომა იყო ხმარებული 836 არენდატორის წინააღმდეგო და სხვ. ამაზედ პარნელმა უპასუხა, რომ ლენდ-ლორდები, რომელნიც ჰგრძნობენ, რომ სოლსბერის სა-

მინისტროს მათი მხარე უპირავს, მეტის გაბედულებით არღვევენ კანონს—უმატებენ იჯარის ფასს და აძევებენ არენდატორებსო; ასე რომ აგრარულ უწესოებათა და ბოიკოტის მიზეზი ირლანდიელები კი არა, თვით ლენდლორდები არიანო. ბილის მეორე წაკითხვის დროს კამათი უფრო გაცხარდა. „თქვენი განზრახვა არისო,—უთხრა სხვათა შორის პარნელმა სოლსბერის,—გზავნოთ საღრჩობელაზე და სატუსაღოებში სრულებით უდანაშაულო პირები, რომელთა უბრალოება თვით მთავრობამაც კი იცისო“. გაბედულისა და მოურიდებელის სიტყვებით ბრალსა სდებდა იგი მთავარ მინისტრსა და ბალფურს, რომ მათ სურთ ირლანდიაში ტერორი შეიტანონ. გლადსტონი, მიუხედავად კონსერვატორების მტრულ ხმაურობისა, მხარს აძლევდა პარნელს და, როდესაც აგონებდნენ მის საკუთარ განსაკუთრებულ კანონებს, იგი მტკიცედ ადგა თავისს აზრს და ამბობდა, რომ წინანდელი ჩემი პოლიტიკა ირლანდიაში შეცდომა იყოო.

პროექტის საბოლოო განხილვა გადადებულ იქმნა. პარნელისადმი სიძულვილმა განსაკუთრებულის ძალით იჩინა თავი; მისი მტრები ამბობდნენ, რომ მან, ირლანდიის მოჯადოვების შემდეგ, მოატყუა გლადსტონი და და ლიბერალები და ბებერი უილიამი ვერ ხედავს, რომ ხელს აძლევს მკვლელების მფარველსო. სწორედ ამ სიძულვილისა და მტრულ გრძნობათა დროს, ინგლისის საზოგადოებამ წაიკითხა „Times“-ის 18 აპრილის ნომერში შემდეგი წერილი:

„15—5—82. ძვირფასო ბატონო! მე არ მიკვირს, რომ თქვენი მეგობარი ჩემზე გულმოსულია, მაგრამ თქვენ-

ცა და ისიც უნდა იყვეთ მიხვედრილი, რომ ჩვენ არ შეგვეძლო არ გაგვეკიცხა მკვლელობა. ცხადია, რო. პოლიტიკური მომენტი თხოულობდა ჩვენს ამ გვარ ქცევ ვას. მაგრამ თქვენ შეგიძლიათ გადასცეთ მას და ყველ იმათ, ვისაც ეს ეხება, რომ, თუმცა კავენდიშის სიკვდილ სამწუხაროა, ცოცხალი ბორკი მოკლულ ბორკზე მეტ არ ღირდა. თქვენ შეგიძლიათ აჩვენოთ ეს წერილი თქვენ მეგობარს და ყველა იმათ, ვისაც ენდობით. არავის გაუმ ჟღავნოთ ჩემი ადრესი. მომწეროს პირდაპირ პალატაში. თქვენი ჩარლზ პარნელი“.

წერილი დაწერილია 15 მაის, 1882 წ., ესე იგი ფენიქ პარკის მკვლელობისა და პარნელის მიერ ამ მკვლელობის გაკიცხვის რამდენიმე დღის შემდეგ. წერილი იყო და ბეჭდილი ფაქსიმილეთი—პარნელის ხელით. „Times“-ი რედაქცია დარწმუნებით ამბობდა, რომ ეს წერილი პარნ ლის ხელით არის დაწერილიო. ამ 15 მაისის წერილმა წარ მოუდგენელი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაზე.

გლადსტონის მდგომარეობა მეტად ძნელი და მასთ საეჭვოც შეიქნა. პარნელს დაუყოვნებლივ უნდა გაგ მართლებინა თავი. პალატაში მოსვლისთანავე იმ დღ რა დღესაც წერილი დაბეჭდა „Times“-მა, პარნელმა გ ნაცხადა, რომ „Times“-მა სიყალბე ჩაიდინაო; „მე მზ ვიყავიო,—სთქვა მან,—ჩემი თავი მემსხვერპლა, ოლონ კავენდიში არ მოეკლათო“. ზალაში უკმაყოფილების ხმაუ რობა ასტყდა და მხოლოდ მაშინ დაუმატა: „და ბორკიცო“

მაგრამ რედაქციაზე საჩივრის შეტანას პარნელი ა ჩქარობდა. ამასობაში ბალფურის განსაკუთრებულ ზომ ბის ბილი კანონად იქცა. მიუხედავად ამისა ირლან დიაში საქმე უფრო გამწვავდა, ირლანდია აკან

ებულთ ბანაკს მიემზგავსა; ინგლისის საზოგადოება ღე-
ოავდა. „Times“-მა კიდევ ახალი წერილები დაბეჭდა.
ჭის შემდეგ ლიბერალებმა და პარნელიტებმაც მოსთხო-
ეს პარნელს, რომ თავის გასამართლებლად სასამართ-
ოსთვის მიემართნა. მაშინ პარნელმა მოითხოვა ქვემო
ალატისაგან, რომ დაენიშნათ საპარლამენტო კომისია
ე საქმის გამოსაძიებლად. ამაზე პალატამ უარი უთხრა
ა საქმის განხილვა მიანდვეს სამეფო სასამართლოს წევ-
ების კომისიას.

საქმის გარჩევა დაიწყო 1887 წლის ბოლოს და
ათავდა 22 ნოემბერს 1889 წ. ბევრი ეცადა გენერალ
ტორნეი დაემტკიცებინა პარნელის ფენიებთან კავშირი,
აგრამ ვერ მოახერხა: პარნელი მეტად ფრთხილი და
ულ-ჩახვეული შეთქმული იყო, მას ამ მხრივ სწორი არ
ქავდა მთელ დიდ ბრიტანიაში. ბევრი დაპატიმრებული
ალანდიელი ჩამოიყვანეს ამ საქმისათვის ლონდონში;
ავისუფლებას ჰპირდებოდნენ, ვინც პარნელის წინააღ-
ედ რასმე იტყოდა, მაგრამ ყველაფერი ამაო იყო.

როგორც გამოძიებამ დაამტკიცა, „Times“-ში და-
ეჭდილი წერილები შეეთხზა ვიღაც რიჩარდ პიკოტს.
ი გამოტყდა, რომ სიყალბე ჩაიდინა გუსტონის („Ti-
es“-ის კორესპონდენტი დუბლინში) ჩაგონებით, რომ
ს ამისათვის დიდ ფულებს შეჰპირდნენ. ამ გამოტეხის
ემდეგ პიკოტი გაიქცა მადრიდში, სადაც თავი მოიკლა იმ
როს, როცა შეპყრობას უპირებდნენ.

„Times“-ი საშინლად დამარცხდა, იგი იძულებული
ყო 50,000 მანეთი ჯარიმა გადაეხადა პარნელისათვის.
სი მტრები მეტად ცუდ მდგომარეობაში ჩავარდნენ.

მათი სიძულვილი პარნელისადმი მით უფრო გაძლიერდ
და უცდიდა მოხერხებულ დროსა და შემთხვევას, რო
მიგიერი გადაეხადათ მისთვის. ეს დრო და შემთხვევა
მალე დადგა.

X

არიან პირები, რომელნიც მწუხარების დროს მხი
რულნი არიან და მხიარულობის დროს მწუხარენი—i
tristitia hilares, in hilaritate tristes. პარნელიც ამ გვარ
თაგანი იყო. თავის უძნელეს წამებში იგი აკვირვებდ
მახლობლებს სრულის აღუშფოთვ ლობით, მხნეობით დ
თავის თავ ს იმედით. გამარჯვების, ტრიუმფის დრო
კი სევდიანობა და მოწყენილობა ეტყობოდა. მისი სუ
ლი, გრძნობა ყველასათვის საიდუმლოებას შეადგენდ
რადგანაც ახლო პირებთანაც კი გულ-ჩათხრობილი იყო
პარნელიტები მარტო პალატაში ხედავდნენ მას; თავის
ადრესსაც კი არავის ატყობინებდა. რას აკეთებდა პალ
ტის გარეთ, არავინ იცოდა; მისი კერძო ცხოვრება ყვ
ლასათვის საიდუმლო იყო. არავის არ უნახავს იგი აღელ
ვებული, აღშფოთებული. მიუხედავად ამისა, არავის წ
მოსცდენია, რომ პარნელი, ეს თითქმის ღმერთი ირლა
დიელებისა, საქვეყნოდ სახელგანთქმული გმირი, ბელ
ნიერია და კმაყოფილი თავის ხვედრისო. რაღაც ტრ
ღიკული ბეჭედი ემჩნეოდა მთელ მის არსებას; იგი თავ
დღეში არ ყოფილა სავსებით რითიმე გატაცებული; გ
ცხარებულ კამათის და მსჯელობის დროს, იგი უცბად შე
წყვეტდა ლაპარაკს და მოღუშული ჩაფიქრდებოდა, თი
ქოს რამეს იგონებს ან ყურს უგდებსო.

80-ნ წლების დამლევს მი'ი ყოფა-ქცევა კიდევ
ეფრო უცნაური და გაუგებარი შეიქნა. ხშირად შუა
ღსიის დროს წავიდოდა ლონდონიდან და არავინ
ცოდა, სად წავიდა, ან რამდენის ხნით; ხშირად სხვა-და-
ხვა ადგილას სხვა-და-სხვა გამოგონილ სახელს ირქმევ-
და. თუ პარნელსა და მის პარტიის შორის არასოდეს
ერ ყოფილა მაინც და მაინც ახლო დამოკიდებულება,
ახლა (1888—1890) ის სრულებით შესწყდა. მისი მიხ-
ერა მოხვრა და მოქცევა ყოველთვის უბრალო, მაგრამ
ნოიანი იყო, ეხლა კი მის ხმას რაღაც სიმკაცრე
ტყობოდა, მისი მოქცევა მეტად მკვახე შეიქნა. ზოგი
მას იმ გარემოებას აწერდა, რომ პარლამენტში სიმშვი-
ე ჩამოვარდა და მთავრობასა და მის მომხრეებს სურვი-
ლისამებრ ველარ ებრძოდა; ზოგნი ამბობდენ, რომ პარ-
ელსა და გლადსტონს შორის რაღაც უთანხმოება ჩა-
ოვარდაო... ეს უკანასკნელი აზრი მეტის-მეტი შემცდა-
ი იყო, რადგან გლადსტონმა, „Times"-ის დამარცხე-
ის შემდეგ, არ იცოდა, როგორ და რა რიგ გამოეცხა-
ებინა თავისი თანაგრძნობა და მეგობრობა ახალ მო-
ავშირისათვის.

საზოგადოდ შოტლანდიასა და ინგლისში ბევრნი
ცდილობდნენ დაენახვებინათ პარნელისათვის მისი გამარ-
ვების შემდეგ თავიანთი თანაგრძნობა. მაგალითად, ქა-
ოქ ედინბურგმა საპატიო მოქალაქედ ამოირჩია; ლონ-
ონელ ლიბერალთა კლუბი დიდის აღტაცებით მიეგება
ას სიტყვას ინგლისურ ადმინისტრაციის წინააღმდეგ
ორლანდიელ პოლიტიკურ დამნაშავეებთან ცუდად მოქ-
ცევის გამო. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ „Times"-ის

დამარცხება პარნელზე უფრო ლიბერალებმა გამოიყენეს; ირლანდიელებსაც უნდოდათ ესარგებლნათ პარნელის გამარჯვებით და დიდადაც უკვირდათ, რომ მათი წინა მძღოლი არს ცდილობდა ესარგებლნა სავსებით თავისის მართლაც და ბრწყინვალე მდგომარეობით. მაგრამ პარ ნელს ისე გულწრფელად და ღრმად ეზიზღებოდა მთელ ეს მის წინააღმდეგ გამართული ინტრიგა, რომ მტრე ბის დამარცხებას სრულებით გულ-გრილად უყურებდ და მცირე ყურადღებას აქცევდა მათ. ეს ხომ უფრ დიდს პატივს სდებდა პარნელს ინგლისელ საზოგადოე ბის უმეტესობის თვალში; და რადგან პოლიტიკაში, რა უფრო სწყალობს ბედი ერთს მოკავშირეს, მით უფრ კარგად ეპყრობა მას მეორე, ამიტომ ლიბერალებიც მ ტის-მეტად გრძნობიერად ეკიდებოდნენ პარნელს. 1889 წ გლადსტონმა საშობოდ ჰოვარდინში დაპატიჟა პარნელ და იგიც ესტუმრა და აქ ორთავემ ჰომრულის შესახ იბაასეს. ამ ბაასის დროს აღმოჩნდა, რომ გლადსტონ ჰომრულის ახალი პროექტი ირლანდიის პოლიციის მარ თვას ინგლისის სამინისტროს უტოვებდა, აგრარულ კითხვაც და მისი გადაწყვეტაც იმპერიის პარლამენტ ხელში უნდა ყოფილიყო. პარნელმა ამაზედ შენიშნ რომ საშიშია, ვაი თუ ირლანდიელება ისე გულწრფ ლად არ დაეხმარონ გლადსტონს, როგორადაც საჭ როაო. მაგრამ, რადგან ჰომრულის შესახებ კანონ-პროექტ ახლო-მომავალში შეტანა შეუძლებელი იყო, მათ ბაა უფრო თეორეტიულის მსჯელობის ხასიათი ჰქონდა.

გლადსტონიდან პარნელი ედინბურგში წავიდა; მის პატივსაცემლად გამართულს მიტინგზე მიართვეს მ

3,000 გირვანქა სტერლინგი პროცესის ხარჯის დასაფარავად. მოკლე ხანში „Times“-ის რედაქციას უნდა ეადაეხადა მისთვის 5,000 გირვანქა სტერლინგი; ასე რომ, პარნელის ქონებრივი მდგომარეობა მეტად კარგი ეყო. პარლამენტში კიდევ ერთი ახალი გამარჯვება მოელოდა მას — ეს იყო გლადსტონის სიტყვა; მოხუცმა ლიდერმა წინადადება შემოიტანა: გამოეცხადოს ოფიციალურად გაზ. „Times“-ს პარლამენტის საყვედური და ბულის-წყრომა იმ ცილის-წამებისათვის, რომლის მსხვერპლიც კინაღამ გახდა პარნელი, და ამ უკანასკნელს კი — თანაგრძნობა. ამ წინადადების განხილვის გამო მომხდარ ბრძოლებმა ერთხელ კიდევ დაანახვეს ქვეყანას, თუ რამდენად სძულდათ პარნელი კონსერვატორებს და უნიოლისტებს. ესენი ამტკიცებდნენ, რომ ირლანდიის ბელადმა არ უარ-ჰყო ფენიები, თუმცა მშვენიერი შემთხვევა ქონდა ამისათვის. გარდა ამისა უთითებდნენ ჯაშუშ ტომას ბიჩის ჩვენებას, რომელიც ამტკიცებდა, რომ პარნელს დამოკიდებულება ჰქონდა ფარულ საზოგადოებებთან. უმრავლესობის გრძნობის გამომხატველი იყო კონსერვატორი ფულტონი, რომელმაც სხვათა შორის სთქვა: „არა, ეს ყველაფერი (პარნელის გამარჯვება) სრულებით საკმარისი არ არის, რომ ჩვენ თანაგრძნობა და სიმპატია უძღვნათ მისტერ პარნელს“, და როცა ირლანდიელმა ექსტონმა შენიშნა, რომ პარნელი არ არის ამ გვარეობის მთხოვნელიო, ფულტონმა უპასუხა: „ეს მართალია, მაგრამ მისტერ გლადსტონი თხოულობს მის მაგიერ“-ო. ბალფური და მთელი სამინისტრო ძალიანებით გაიძახოდა, რომ პარნელი ზნეობრივად არ არის გამართლებუ-

ლი და არც სურს გაიმართლოს თავიო. ლიბერალებ
გლადსტონის მეთაურობით, მტკიცედ და მხურვალ
იცავდნენ თავიანთ აზრს. მეტად შესანიშნავი იყო
დღის პარლამენტის სხდომა: მან ყველასათვის თვალ
ჩინო გახადა ის ღრმა ცვლილება, რომელიც პარნელ
მოახდინა ინგლისის პოლიტიკურ დასთა დამოკიდებულ
ბაში: ლიბერალ-უნიონისტები მეტის სისასტიკით ეკან
თებოდნენ თავიანთ ყოფილ ამხანაგებს, ვიდრე კონსე
ვატორები, გლადსტონი და მისი მომხრენი უფრო ცს
რედ და მხურვალედ იცავდნენ პარნელს, ვიდრე ირლა
დიელები. ბოლოს, რასაკვირველია, კონსერვატორებ
და უნიონისტებმა შეადგინეს უმეტესობა და გლადსტ
ნის წინადადება უარ-ჰყვეს. გლადსტონის მოქმედებამ
ტად ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ინგლისშიაც
საზღვარ-გარედაც; კენჭის ყრის ბოლო ყველამ წინ-დ
წინვე იცოდა, მაგრამ ამ გარემოებას არ შეუსუსტებ
ის ძლიერი შთაბეჭდილება, რომელიც მოახდინა ირლა
დიელ სეპარატისტის აპოლლოგიამ. წარმოთქმულმა ი
გლისის ძლიერ დასის მეთაურის მიერ.

მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ დეპუტატებ
უმრავლესობა პარნელის წინააღმდეგი იყო, ირლანდიე
აგიტატორის გავლენა პალატაზე მეტად დიდი იყ
როგორც კი გავარდებოდა ხმა, რომ პარნელი ლაპარა
აპირებსო, ზალა დეპუტატებით აივსებოდა; თვითო
გლადსტონის პიროვნების მომხიბლველი ძალაც კი შ
სუსტდა პარნელის პრესტიჟით, სახელით. „ინგლისში ბ
ლა პარლამენტი კი არ არის, პარნელმენტი არისო,—
ოხუნჯობდა „Punch“-ი.

20 მაისს, 1890 წ., ლონდონში გაიმართა ირლანდიის ეროვნულ ლიგის მიტინგი პარნელის თავმჯდომარეობით: დამსწრენი მეტის გატაცებით, ენტუსიასმით შეხვდნენ აგიტატორს და მის სიტყვას და დაანახვეს ქვეყანას, თუ რამდენად ძლიერია იგი. ერთი კვირის შემდეგ პარნელის დაბადების დღეს პარნელიტებმა საღილი გაუმართეს ლიდერს. აქ თავის სიტყვაში პარნელი შეეხო ლიბერალებთან კავშირს; ამბობდა, რომ გლადსტონის მარჯვებისათანავე ჰომრულის პროექტი უთუოდ წარეკვინება პარლამენტს და ეს ჰომრული იმისთანაა, რომ უთუოდ დააკმაყოფილებს ირლანდიელებსო. ბოლოს მან ულოცა ირლანდიის ერს და თავის პარტიას იმისთანა კავშირების შოვნა, როგორიც გლადსტონი და ლიბერალები არიან დამსწრენი ხშირად შესწყვეტდნენ ხოლმის სიტყვას ვაშას ძახილითა და ტაშის ცემით, თან ებნებოდნენ, რომ ირლანდიამ და ირლანდიელთა პარტიამ თუ რამე ძალა შეიძინეს, ეს მოხდა მხოლოდ მისი, პარნელის, მიზეზითო.

1890-ის შემოდგომაზე პარნელი ირლანდიაში იყო; სია უნდა დაწყებულიყო ნოემბრის დამლევს; პარნელიტები და ლიბერალები საბრძოლველად ემზადებოდნენ. ულოდნელმა შემთხვევამ სრულებით არევ-დარია ყველა პლანები და საპარლამენტო კომბინაციები.

XII

ვისმე რომ 1890 წლის ნოემბრის პირველ რიცხვებში ეთქვა, რომ პარნელი მომავალ ცხრა თვის განსვლობაში დაჰკარგავს მთელ თავის გავლენას და მო-

კვდებაო, ამ გვარ წინასწარმეტყველებას ბევრი ფანტა-
ტიურად ჩასთვლიდა, და მართლაც წარმოუდგენელი იყო
საქმის ამ გვარად დატრიალება: ესეც იყო პარნელ-
ბრწყინვალედ გაიმარჯვა და მისმა მეგობრებმა ამაყ-
მაღლა თავი ასწიეს; შტრები კი შერცხვნენ და არ იცო-
ნენ, რა გზას დასდგომოდნენ. მაგრამ სწორედ ამ დრო-
ეწვია ირლანდიის ლიდერს ისეთი უბედურება, რომლ-
დაფასება და აწონ-დაწონვა იმ წამში შეუძლებელი იყ-

დიდი ხანი იყო მას აქეთ, რაც ირლანდიელ პოლ-
ტიკურ წრეებში და ლონდონის კლუბებში ხმა დადი-
და, რომ პარნელი და კეტრინ ო'ში, ირლანდიელ დ-
პუტატის ცოლი, მეტად დაახლოვებულნი არიანო. ...
ხმა თან-და-თან უფრო ვრცელდებოდა; არავისთვის სა-
დუმლო არ იყო, რომ პარნელი მარტო ქ-ნ ო'შისთ-
დადიოდა, რომ თუ პარნელი ლონდონში არ იყო,
არავისი ნახვა არ უნდოდა, ქ-ნ ო'შის საშუალებით შე-
ძლებოდა მასთან მოლაპარაკების გამართვა. 1886-
კაპიტან ო'შისა და პარნელს შუა უსიამოვნება ჩამოვა-
და და პარნელმა შესწყვიტა მასთან სიარული.

მაგრამ კეტრინ ო'შის მაინც ნახულობდა, თუმ-
იშვიათად და მოკლე ვადით. ეს ქალი ერთად-ერთი ა-
სება იყო, რომელიც პარნელს უყვარდა და რომლ-
მოშორება მას არ შეეძლო, მიუხედავად მრავალ მზ-
რავებისა, რომელნიც თვალ-ყურს ადევნებდნენ ყოვე-
მის ნაბიჯს. რასაკვირველია, ქმარსაც შეატყობინეს
ამბავი; მან ნათესავებს თავი მოუყარა და საოჯახო რ-
ვაზე გადასწყვიტეს, რომ ცოლ-ქმრის გაყრა აუცილ-
ბელია. 16 იანვარს, 1890 წ., კაპიტანმა ო'შიმ თხო-

ა შეიტანა სასამართლოში. ნაფიცმა მსაჯულებმა დანა-
ბაულად იცვნეს კეტრინ ო'ში და დაკმაყოფილეს ქმრის
ბოვნა გაყრის შესახებ. სასამართლოს თავმჯდომარემ
ანაცხადა, რომ პარნელმა „ისარგებლა“ კაპიტან ო'შის
ტუმართ-მოყვარეობით გარყვნილებისათვისაო. პროცე-
ის ანგარიში ყველა გაზეთებში დაიბეჭდა და ქვეყანამ
ბიგო საქმის გარემოება.

ინგლისის საზოგადოება აღშფოთდა, მან შეურაცხ-
ოფილად იცნო თავის თავი, თუმცა 1887-ის, 1888-ის
ა 1889-ის პროცესებმა ბევრად უფრო სამარცხვინო და
ზნეო ფაქტები აღმოაჩინა ინგლისელ დიდკაცობის ცხოვ-
ებიდგან, როგორც მაგალითად მცირე-წლოვან ქალე-
ით ვაჭრობა და მათი გაუპატიურება. პარნელს ყველ-
ან ჰკიცხავდნენ. გაზ. „Times“-ი მკაცრ მორალისტთა
ოთაური გახდა და საკვირველიც არ არის: ამით მას უნ-
�და დაემარცხებინა თავისი მტერი და დაემტკიცებინა
ქვეყნოდ, რომ სიმართლე—იგულისხმე სიყალბე—მიუ-
�დავად დროებით შეფერხებისა, ბოლოს ყოველთვის
ბიმარჯვებს. უსაზღვრო და შეურიგებელმა მძულვარე-
ბამ, რომელიც იძულებული იყო თავი ემალა აქამდის,
ალა ამაყად წამოჰყო თავი და მოსვენებას არ აძლევდა
ავის მსხვერპლს. ინგლისის საზოგადოებას დაავიწყდა
ესპაის იქითა მხრის რკინის გზა, რუსეთის საშუალო
ბიის პოლიტიკა, ეგვიპტეცა და ხართუმიც.

ირლანდიელი დეპუტატები შეშინდნენ, მაგრამ ჯერ
�დევ პარნელი მათი საიმედო ბელადი იყო. „არ შეიძ-
ება ჩარლი დანაშაული იყოს იმ საქმეში, რასაც მას
ბალს სდებენო“, ამბობდნენ ისინი. 20 ნოემბერს (პრო-

ცესი გათავდა 17-ს) დუბლინში კრება შესდგა და ირ-
ლანდიელმა დეპუტატებმა პარნელს ერთგულება და მად-
ლობა გამოუცხადეს. „ლიდერის დაუვიწყარი დამსახურ-
რება და ღრმა რწმენა, რომ მისი შეუდარებელი თვის-
ბები აუცილებელნი არიან ირლანდიის საქმის კეთილად-
დაბოლოვებისათვის, გვაიძულებენ ჩვენ ერთხელ კიდევ
გამოვსთქვათ ჩვენი სურვილი, რომ პარნელი დარჩეს
ჩვენი პარტიის მეთაურად“ ო, იწერებოდნენ ამერიკაში
მყოფი ირლანდიელი დეპუტატები. ამ მხრივ პარნელ-
უზრუნველყოფილი იყო. მაგრამ მას კარგად ესმოდა
თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ამისთანა გარემოებებს
გლადსტონის აზრს. იგი მხნედ და გაბედულად უყურებ-
და ატეხილ ქარიშხალს, დაცინვითა და ზიზღით ლაპა-
რაკობდა მის წინააღმდეგ გამართულ ლაშქრობაზე; მის-
თვის საგულისხმიერო იყო მხოლოდ გლადსტონის აზრი
მარტო ამის სიტყვას შეეძლო ესა თუ ის მიმართულებ-
მიეცა საქმის მიმდინარეობისათვის.

გავიდა მთელი კვირა და გლადსტონი ხმას არ იღებ-
და. „Times“-ი მრისხანებდა ამ დუმილის გამო. „გლად-
სტონის მომხრეებს შეუძლიანთ ყურადღება არ მიაქციონ
სასამართლოს გადაწყვეტილებას, მაგრამ ისინი ვერ შეს-
ძლებენ ბრიტანეთის ერის აზრის შეცვლას ამ საქმის შე-
სახებაო“, სწერდა გაზეთი. სხვა გაზეთებიც თხოულობ-
დნენ გლადსტონისაგან მის შეხედულების გამოქვეყნე-
ბას: რჩება თუ არა პარნელი მისი მოკავშირე. თუ პარ-
ნელი მოუთმენლად ელოდა გლადსტონის სიტყვას, აგ-
რევე მოუთმენლად უყურებდა გოვარდინს მთელი ინგ-
ლისიც. ბოლოს, როგორც იქნა, გლადსტონმა შესწყვი-

ა თავისი დუმილი: გავიდა რვა დღე პროცესის შემ-
ეგ და 24 ნოემბერს მან წერილი მისწერა ჯონ-მორ-
ლეის; აი წერილის შინაარსიც: პარნელის ლიდერად,
თაურად, დარჩენა ირლანდიის საქმის დამღუპველი შე-
ქნებაო; ლიბერალების დასი ირლანდიელების მოკავში-
ე და ჰომრულის მომხრე დარჩება, თუ მათი დასის ლი-
ერი ვინმე სხვა იქნებაო.

თუ ინგლისის ჟურნალ-გაზეთებისა და საზოგადოე-
ის მის წინააღმდეგ გამოლაშქრებას პარნელი არაფრად
ადებდა, გლადსტონის გადადგომა კი სულ სხვა იყო:
უ პირველი მისთვის ჩხვლეტა იყო, მეორე მას პირდა-
ირ სახეში სცემდა. მხოლოდ გლადსტონის ხელს შეეძ-
�ა პარნელის დაძლევა. ძლიერი მოკავშირე სტოვებდა
ს და ეუბნებოდა მის პარტიას: ან პარნელი ან ჩემი
ახმარებაო.

გლადსტონის წერილის გამოქვეყნებისათანავე ირ-
ანდიელთა დასი შეძრწუნდა. პარნელს არ ჰყავდა თა-
ს პარტიაში მეგობრები: მას პატივს სცემდნენ და ემორ-
ალებოდნენ, როგორც ერის არჩეულს და როგორც
ისთანა კაცს, რომელსაც სასწაულების მოქმედება შე-
ძლიან. ამისთანა სასწაული იყო, მათის შეხედულებით,
ომალური კავშირი ლიბერალებთან და გლადსტონის
ომრულიორად გარდაქმნა. ისინი დარწმუნებულნი იყვ-
ენ, რომ ეხლა უმთავრესი საქმე გაკეთებულია, რომ
ათ შეუძლიანთ დამშვიდებით უცადონ სოლსბერის და-
ემას და რომ გლადსტონის გამარჯვებისათანავე ჰომრუ-
ი მათ ხელში იქნება. ამ განწყობილებაში ყოფნის
როს, მათ ეუბნებიან: ან პარნელი ან თქვენი იმედე-

ბიო. ირლანდიის წარმომადგენლებს კარგად ესმოდ
და ამბობდნენ კიდეც, რომ ლიბერალებთან კავშირი
პარნელის საქმეა; სანამ პარნელი გამოვიდოდა პოლ
ტიკურ ასპარეზზე, ამისთანა კავშარზე ოცნებაც კი
შეეძლოთ ირლანდიელებს; მათ ძალიან კარგად იცო
ნენ, რომ მხოლოდ პარნელმა მიიყვანა საქმე ამ ბრწყ
ვალე მდგომარეობამდე თავისი სასტიკისა და შეურიგ
ბელის ბრძოლით ინგლისელებთან.

მაგრამ მეორე მხრივ, ბედკრული ქვეყანა შვი
საუკუნეა ელოდა თავის განთავისუფლებას, ეს განთა
სუფლება ღღეს არა ხვალ უნდა მომხდარიყო, და მხ
ლოდ იმიტომ რომ პარნელი ვერ მოერია თავის გულ
თქმას, ეს იმედები ისევ უნდა გაცრუებულიყვნენ. ა
ტომ იმდენი სიყვარული არ ჰქონდა მის მაღმერთებ
ხალხისა, რომ გულშივე ჩაეკლა ირლანდიისათვის სა
დისწერო გრძნობა. განა მან არ იცოდა, რომ ინგლ
სის საზოგადოება არავის აპატიებდა ამისთანა დან
შაულს! თუ პარნელი ისევ ლიდერად დარჩა, გლად
ტონი ნათქვამს შეასრულებს და გასწყვეტს ყოველ
კავშირს ირლანდიის პარტიასთან: პარნელი თავისივე ხ
ლით დაღუპავს მისგანვე შექმნილ საქმეს. მისი მოვალ
ობაა—ლიდერობას თავი დანებოს.

ირლანდიელების პარტიის კრებებზე უფრო და უფ
მოუხშირეს ამ გვარ ლაპარაკებს; პარნელი კარგად
დავდა, რომ იგი აქ ვერ დგას მკვიდრ ნიადაგზე, და
ნაც ირლანდიას მიჰმართა კითხვის გადასაწყვეტად.
რას ამბობდა იგი თავის მანიფესტში: „...კარგად გასა
ჯეთ, როგორ გეპყრობიან, რას გთხოვენ და მერე მ

ით ჩემი თავი ინგლისელ მგლებს, რომელნიც ღმუიან
ჩემ დაღუპვას თხოულობენ... უკანასკნელ წლებში
ლანდიის პარტიას თავი დამოუკიდებლად ეჭირა, იგი
ავის კუდში არ მისდევდა და თავის შინაურ საქმეებში
ერევის ნებას არავის აძლევდა. ეხლა კი გლადსტონი
დავს ბრძანება მისცეს პარტიას იმისთანა კითხვის შე-
ებ, როგორც მეთაურის ამორჩევაა. თუ პარტიამ და-
ამო, ამით იგი თავისივე არარაობას დაამტკიცებს და
ითონვე გააქარწყლებს ჰომრულის იმედს: ინგლისელ-
მხოლოდ მაშინ იჩენენ გულკეთილობას, როცა ძლიერ
წინააღმდეგესთან აქვთ საქმე, სუსტს კი ისინი ზიზ-
ით უცქერიან... თუ მართლა დარწმუნებულა ლიბერა-
ების მეთაური ჰომრულის აუცილებლობაში, თუ იგი
პირფერობს, მისი მოვალეობაა ირლანდიელების პრო-
ამის განხორციელებას დაეხმაროს, მიუხედავად იმისა,
ქნება პარტიის ლიდერი“.

ამ მანიფესტის შემდეგ ირლანდიელი დასი ორ ბა-
ად გაიყო: უმრავლესობა იმ აზრისა იყო, რომ გლად-
ონის გადაკიდება შეუძლებელიაო, და თხოულობდ-
პარნელისაგან, თავი დაენებებინა ლიდერობისათვის.
რამ პარნელი ნებით არ სთმობდა თავის ადგილს. იგი
თქო გაახალგაზდდა, გამოცოცხლდა და ახალი ძალე-
შეიძინაო. იგი ესწრებოდა პარტიის სხდომებს და
ხარე მონაწილეობას იღებდა დებატებში. ო'შის საქ-
და მის როლს ამ საქმეში, მისი აზრით, არავითარი
შირი არ ჰქონდა ლიდერობასთან, და თუ ასეთი
ნიაქოთი ასტყდა, ეს ინგლისელების პირმოთნეობის
დეგიაო. თუ პარტია გლადსტონს დაეშორჩილა, ამითი

იგი თავს დაიმდაბლებს და საქმეც დაღუპული შეიქნება. მაგრამ ყველაფერი ამაო იყო: დასის უმრავლესობას გლადსტონის კავშირი საიმედო ნავთ-სადგურად მიაჩნდა. ხუთის დღის კამათის შემდეგ, 6 დეკემბერს, კითხვას კენჭი უყარეს და აღმოჩნდა, რომ 45 დეპუტატი პარნელის წინააღმდეგი იყო და 26 მისი მომხრე. ახალ ლიდერად ამოირჩიეს ჯუსტინ მაკ-კარტი.

გლადსტონის გადადგომას, შეიძლება, კიდევ შეელებოდა რამე: ლიბერალებთან კავშირი ძალით იყო ნაშოვნი და, მაშასადამე, შეიძლებოდა კიდევ მისი დაბრუნება. პარტიის ღალატი უბედურება იყო, მაგრამ ესეც არ სწყვეტდა კითხვას საბოლოოდ. ყველაზე უფრო საგულისხმო პარნელისათვის თვითონ ირლანდიის აზრი იყო. ირლანდია ვის გაჰყვება, მას, თუ მის მტერს? ამ კითხვის პასუხი ერთბაშად არ მოსულა.

ო'შის პროცესის, გლადსტონის გადადგომის და პარნელის გადაყენების ამბავი ერთ დროს გავრცელდა ირლანდიაში და ხალხი სახტად დარჩა, არ იცოდა, რა ეფიქრა, რა მოექმედნა. გლადსტონთან კავშირის შეწყვეტას ისე არ შეუშინებია ირლანდიელები: მთელი ინგლისი მათთვის მტრის ბანაკი იყო და გლადსტონთან დაახლოვებას უყურებდნენ როგორც დიპლომატიურ შეთანხმებას, რომლის შეწყვეტა საჭიროების მიხედვით ყოველ დროს შეეძლო მათ „მეფეს“. ხალხი ყველაზე უფრო ო'შის საქმემ შეაძრწუნა. თუ ინგლისში ატეხილი ალიაქოთი პირმოთნეობა იყო, აქ, ირლანდიაში, პირმოთნეობას ადგილი არ ჰქონდა. მორწმუნე კათოლიკენი ღრმად იყვნენ დარწმუნებულნი, რომ პარნელმა მეტად

ამძიმე ცოდვა ჩაიდინა. არც გრატტანი, არც ო'კონელი და არც ერთი მეთაური კათოლიკის სარწმუნოებისა ისე არ ჰყვარებიათ ირლანდიელებს როგორც პარნელი და ამით დაამტკიცეს, რომ პარნელი მათთვის პროტესტანტი კი არა, ეროვნული გმირი იყო. მაგრამ როდესაც ამ პროტესტანტმა დაარღვია მცნება, რომელსაც მისი სარწმუნოებაც აღიარებს, მათ გზა-კვალი აებნათ და შეშინდნენ.

პირველ ხანებში, ო'შის საქმეს ხალხი უყურებდა, როგორც განგებისაგან მოვლენილ უბედურებას; საბოლოოდ ამ საქმის გადაწყვეტა მათთვის მხოლოდ სამღვდელოებას შეეძლო. როგორც წინადაც იყო ნათქვამი, სამღვდელოების როლი ირლანდიაში დიადი და დიდმნიშვნელოვანი იყო. მისი ძალა და გავლენა მარტო სარწმუნოებრივ გრძნობაზე როდი იყო დამყარებული. ირლანდიის ისტორიის უუბედურეს ხანებში ჩაგრულ და ტანჯულ ერის დამხმარე და თანამგრძნობი მღვდლები და ბერები იყვნენ. ეს დახმარება და თანაგრძნობა მარტო სიტყვიერი როდი ყოფილა. სამწყსოსთან ერთად ვხედავთ მათ კრომველის სახრჩობელებზე და ინგლისის საპატიმროებში; სამწყსოსთან ერთად, იტანდნენ ისინი სიღატაკეს და შიმშილს. რამდენიმე საუკუნოების განმავლობაში სამღვდელოება ერის სული და გული იყო. ამიტომ არ უნდა გვიკვირდეს, რომ ეხლაც, ამ გასაჭირის დროსაც, ირლანდიელებმა სამღვდელოებას მიჰმართეს და მისგან ელოდნენ კითხვის გადაწყვეტას. სამღვდელოებასაც პასუხი მზად ჰქონდა: იგი ვერ უღალატებდა დოგმას და ამიტომ იძულებული იყო გადასდგომოდა

პარნელს, რომელსაც ერთ დროს ასე ჰქომაგობდა, მიუ-ხედავად რომიდან მოსულ ბრძანებისა.

სამღვდელოების გადადგომით დიდი ძალა მოაკლ-და პარნელს და 1891-ის გაზაფხულზე ყველასათვის ცხა-დი შეიქნა, რომ მას წინანდელი პრესტიჟისა და გავლე-ნის ნახევარიც აღარ შერჩენოდა. პარნელი თავს არ იტყუილებდა იმედებით. იგი ყველაფერს კარგად ხედავ-და. როდესაც გლადსტონმა გამოაქვეყნა თავისი წერი-ლი, პარნელმა სთქვა; „ჯერ ჩვენ კიდევ ვიბრძოლებთო“. როდესაც ლიდერობიდან გადააყენეს, იგივე განიმეორა, და როცა სამღვდელოების გადადგომის ამბავი გაიგო, მეგობრებს უთხრა: „გადაეცით იმათ, რომ ვიბრძოლებ უკიდურესობამდე“-ო.

ირლანდიაში მოსვლისათანავე, კორკში და დუბ-ლინში გამართულ მიტინგებზე, ორი ცხარე სიტყვა წარ-მოსთქვა გლადსტონის წინააღმდეგ. გლადსტონი მოღა-ლატეაო, ამბობდა იგი, მე კი არა, ირლანდიას ს

ტული. იგი ამას არ იზამს, რადგანაც მას სურს ჩვენ მოგვატყუილოს“-ო.

1891-ში, განსაკუთრებით ზაფხულიდან, ჯანმრთელობა უფრო და უფრო ღალატობდა პარნელს იგი მუდამ აღელვებულ და მოუსვენარ მდგომარეობაში იყო. პარლამენტში თითქმის სრულებით არ დადიოდა, მისი ადგილი მაკ-კარტიმ და მისმა მომხრეებმა დაიჭირეს. ოპოზიცია მეტად უღონო შეიქნა ამ განხეთქილებით. სამაგიეროდ, სოლსბერის გაძლიერება განმტკიცდა. პარნელი ყოველთვის ჯერ დემაგოგი იყო და მერე საპარლამენტო მოღვაწე; ეხლაც იგი ყოველ ღონისძიებას ხმარობდა დაებრუნებინა ხალხის განწყობილება.

ამ დროს კულკენში არჩევნები უნდა მომხდარიყო, რადგან ერთი დეპუტატის ადგილი დაიცალა. დიდი ბრძოლა და შეტაკება მოუხდათ პარნელიტებსა და მაკ-კარტისტებს. გამარჯვება მაკ-კარტისტს ხვდა. ეგრევე მოხდა ირლანდიის ჩრდილო ნაწილში—სლუგოში. ეს პარნელისათვის ცუდი ნიშნები იყო. მაგრამ დუბლინში და კორკში მომხდარ მანიფესტაციებმა დაამტკიცეს, რომ პარნელს ჯერ კიდევ ბევრი მომხრეები შერჩენოდა.

ბრძოლა თან-და-თან უფრო მწვავდებოდა. პარნელს მოცლა და მოსვენება არ ჰქონდა, არ ეძინა, ჭამასმაც უწეს-რიგო ჰქონდა, რადგანაც მუდამ მოგზაურობაში იყო. ერთხელ ამ ხანებში იგი შევიდა სრულებით მოულოდნელად მაკ-კარტის *) სამუშაო ოთახში, უხმოდ მიესალმა მასპინძელს და სავარძელში ჩაჯდა; იგი მეტად

*) მიუხედავად განხეთქილებისა პარნელსა და მაკ-კარტის პირადი დამოკიდებულება არ შეუწყვეტიათ.

გაფითრებული და გამხდარი იყო; ხმა ამოუღებლივ იჯდ
ცოტა ხანს, შემდეგ გამოემშვიდობა მაკ-კარტის და წ
ვიდა; მაკ-კარტიზე ისე იმოქმედა ამ სანახაობამ, რო
ატირდა.

ირლანდიელთა დასის მდგომარეობა მეტად ცუდ
იყო. მაკ-კარტისტები სთხოვდნენ პარნელს დროები
მაინც შეეწყვიტა ბრძოლა, მაგრამ იგი არ თანხმდებოდ
ივლისში (1891 წ.) მან ჯვარი დაიწერა კეტრინ ო'შ
ზედ. ამ გარემოებამ კიდევ უფრო ააშფოთა კათოლიკ
სამღვდელოება. პარნელი მაინც იბრძოდა და, როგორ
სჩანდა, არ აპირობდა იარაღის დაყრას. 22 ივლისს დუ
ლინში შესდგა პარნელიტების დიდი მიტინგი, რომელ
ზედაც პარნელს ისეთის ამბით დახვდნენ, რომ ახლ
წარსულს მოაგონებდა კაცს. მაგრამ სწორედ ამ დრო
მას ჰღალატობს „ფრიმანის ჟურნალი“, ეს მეტად გავ
ცელებული და გავლენიანი ორგანო. ინგლისში კონსერ
ვატორებისა და უნიონისტების სიხარულს საზღვარი ა
ჰქონდა. ლორდ სოლსბერიმ საჯაროდ წარმოთქმულ სიტ
ყვაში გამოაცხადა, რომ მას ახარებს ო'შის საქმის შ
დეგები, რადგანაც ისინი დიდი ბრიტანის ზნეობრიობ
შეურყეველ სიმტკიცის დამამტკიცებელნი არიანო. უნ
ონისტებს მეტად ახარებდა ოპოზიციის დასუსტება; ურ
ჩევდნენ გლადსტონს, თავი დაენებებინა „საჰომრულ
ოცნებებისათვის“ და შეერთებოდა მათ. სექტემბრის და
ლევს პარნელმა ილაპარაკა ბოსკომონში, ურჩევდა მსმ
ნელებს, უკიდურესობამდე ებრძოლათ ირლანდიის თვი
მართველობისათვის, სიმწარით იხსენიებდა გლადსტონ
ყოფა-ქცევას და ჰპირდებოდა აუდიტორიას ერთიან ი

ოშის მიტანას ჰომრულისა და აგრარულ რეფორმის ღწევისათვის. ეს მიტინგი შემოდგომის სააგიტაციო კამპანიის დასაწყისი იყო; მტრები საბრძოლველად ემზადებოდნენ, პარნელიტები შერიგებას სცდილობდნენ, ინგლისის პრესა კორესპონდენტებს ჰგზავნიდა ირლანდიაში. მაგრამ ყველაფერი ეს მეტი შეიქნა.

მიტინგის შემდეგ პარნელი ცუდად გახდა და წავიდა ბრაიტონში, სადაც იგი თავის ცოლით სცხოვრობდა. სახლში მოსვლისათანავე, იძულებული შეიქნა, ლონდონში ჩაწოლილიყო. მას სტანჯავდნენ აუტანელ ქარეხს ტკივილები. სამი დღის ავათმყოფობის შემდეგ პარნელი მიხვდა, რომ მისი მდგომარეობა მეტად საშიში ყო. მისი მოთმინება უსაშინელეს ტკივილების დროს ოცებდა ყველა მასთან მყოფს. ავათმყოფობა მეტის სწრაფით ძლიერდებოდა; შრომითა და ღელვით მოწანცული სხეული ხელს უწყობდა მას. პარნელი დარწმუნდა, რომ ხსნა აღარ იყო, მაგრამ სიმშვიდე მისი საკვირველი იყო. ავადმყოფობის მეშვიდე დღეს ენამ სუსტა, „გადაეცით ჩემი სიყვარული მეგობრებსა და ირლანდიას; რა კარგი იქნებოდა, რომ ტანჯულ ერსაც ისეთი კარგი მომვლელები ჰყავდეს, როგორც მეო“. ეტი მას არა უთქვამს-რა: მხოლოდ ცოლს თვალს არ მორებდა და გაღიმებას სცდილობდა. 7 ოქტომბერს ბრაიტონში საშინელი ქარიშხალი ამოვარდა; ქარისა და ღვის ტალღების მძლავრი ხმაურობა აგონიაში მყოფ ავადმყოფის ოთახში მოდიოდა. ღამის თორმეტის ნახევარზე პარნელი გათავდა.

ამ ამბის გაგონებაზე ირლანდიელებს დაავიწყდათ

უკანასკნელი განხეთქილება და ბრძოლა. მაკ-კარტისტე
ბი სცდილობდნენ თავი გაემართლებინათ და ღრმა მწუ
ხარებას აცხადებდნენ პარნელის სიკვდილის გამო; სა
ღვდელოება ამბობდა, რომ მიცვალებული დიდ
ბული კაცი იყო, რომელიც სამშობლოს საუბედურო
შეაცდინეს ბნელმა ძალებმაო. მთელი ერი გულ-წრფე
და ღრმა მწუხარებას მიეცა. დუბლინში და სხვა ქალ
ქებში დუქნები და თეატრები დაკეტეს, გასვენები
დღეს (11 ოქტომბერს) ორასი ათასი კაცი აცილებდ
მის კუბოს; მაღლა ტირილი არ შეწყვეტილა დუბლინი
სასაფლაოამდე. მთავრობას არეულობის ეშინოდა და პო
ლიციელების რიცხვს მოუმატა. „ფრიმანის ჟურნალის
რედაქციას პოლიციელების რაზმი ერტყა. დუბლინი
ქუჩებში გაკრული იყო აფიშები შემდეგის წარწერით
„ინგლისელებისაგან წამებული“.

ბევრს (მათ რიცხვში გლადსტონსაც) ეგონა, რო
პარნელის სიკვდილი სარგებლობას მოუტანდა ირლან
დიას: იმედი ჰქონდათ, რომ ირლანდიის პარტიის გან
ხეთქილება მოისპობოდა, ამითი გაძლიერდებოდა ოპო
ზიცია, გადააყენებდა სოლსბერის სამინისტროს და ჰომ
რულის პროექტს განახორციელებდა; მაგრამ ამას ინგ
ლისელი ჰომრულიორები ამბობდნენ; ირლანდიის ერ
კი არ ინუგეშებდა თავს ამ გვარის იმედებით. „ყველა
ფერი დაიღუპა,—სთქვა ერთმა ორატორმა,—ის ყვავ
ყორნები, რომელთაც პარნელი მოინელეს, მოინელებენ
ირლანდიასაცაო“.

მწუხარება, სინანული და უიმედობა გამეფდა ი
ერის გულში, რომელმაც ამ მოკლე ხანში თავის ისტო

ი
ეიის უშესანიშნავესი ხანა გამოიარა. „პარნელისთანა
ერც გვყოლია და არც გვეყოლება“,—სწერდა მაკ-კარ-
ი თავის მიცვალებულ მეტოქეზე. პარნელის სიკვდილ-
ა ინგლისშიაც არა ნაკლები მღელვარება გამოიწვია.
რუთხმეტი წლის განმავლობაში პარნელს მეტად დიდი
ადგილი ეჭირა ინგლისის საპარლამენტო ცხოვრებაში.
ირლანდიელების უსუსური დასი პირველ ხარისხოვან პო-
ლიტიკურ ძალად შეჰქმნა; ინგლისის პოლიტიკის არსე-
ით კითხვების გარჩევის და გადაწყვეტის მოხერხებას არ
ძლევდა იგი პარლამენტს; მან თითქმის შეაჩერა თუთხ-
ეტი წლის განმავლობაში პარლამენტის საკანონმდებ-
ლო მოქმედება; გამოაცვლევინა ლიბერალებს პოლიტი-
კური პროგრამა და ამით მათ შორის განხეთქილება გა-
ოიწვია. ერთის სიტყვით ინგლისი ყოველ თავის მო-
�wეს, ყოველ პოლიტიკურ კომბინაციას ისე ვერ ასწონ-
დასწონიდა, რომ პარნელის მათთან დამოკიდებულება
და მისი შეხედულობა არ ჰქონოდა სახეში. ადგილი,
რომელიც მას ეჭირა ინგლისის ცხოვრებაში, იმდენად
დიდი და დიდმნიშვნელოვანი იყო, რომ ინგლისის საზოგა-
დოება ჯერ გონს ვერ მოსულიყო ამ ადგილის მოულოდ-
ნელ დაკარგვებით. პერიოდულ მწერლობის ერთი ნა-
წილი („Daily News“, „Standard“ და სხვ.) დიდად აფასე-
ბდა გარდაცვლილ მტრის ნიჭს და სიამაყით ამბობდა, რომ
პარნელი—ინგლისელი იყო, რომ ინგლისს ეხლა, მისი სი-
კვდილის შემდეგ, შეუძლია იგი თავის პანტეონში ჩა-
ბრიცხოსო. სხვა ორგანოებიც მაღლა აყენებდნენ პარნელის
ნიჭს, მაგრამ ამასთანავე მწუხარებას აცხადებდნენ, რომ
ეან ეს ნიჭი ცუდად მოიხმარა,—ინგლისს მტრობა გა-
ეწიაო.